საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№06 (477)
20 - 26 თებერვალი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

«საქართველო და მსოფლიოს»




## ირანის პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველო ირანის ტერიტორიაა 2



## საქართველოს ხელისუფლება კი დუმს

## უნგრეთი მილიარდებს ხარჯავს დემოგრაფიის გასაუმჯობესებლად 10



## მივბაძოთ უნგრეთს! 11

## ლეგალური ნარკომანია, ექიმები და ფარმაცევტული ბიზნესი







## რისთვის არის სინამდვილეში ჩანაცვლებითი თერაპია 19

## «მონეზამ», — პრემიერის სიტყვა და ქალის ყეფა ჩემთვის ერთიაო 16




## «ყვითელი ჟილეტების აქცია მალე შეიძლება აქაც ვიხილოთ» 3



## რა გითხრათ, რით გახალისოთ? 4



SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰასანას განცხადება უკვე დაგმო და გააპროტესტა სომხეთმა, აზერბაიჯანმა უკმაყოფილება გამოთქვა, საქართველო კი დუმს. დუმს იმიტომ, რომ ისტორიულ მეზობელსა და მოკეთეს ხომ არ ვაწყენინებთ?! აგერ, ამდენი ირანელი შეგვიფარებია, სარჩო მიგვიცია, მიწები მიგვიყიდია, მონებადაც ემსახურება ქართველი ხალხი და ახლა მათი გაბრაზება იქნება?! მართლა გაუგებარია, რას ელოდება საგარეო საქმეთა სამინისტრო და ვერც იმას ვხვდებით, რატომ დუმს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აქტიურად აპროტესტებს სხვა რამეს.**

# ირანის პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველო ირანის ტერიტორიაა

## საქართველოს ხელისუფლება კი დუმს

**1943 წელს თეირანში ჩასული იოსებ სტალინი ირანის შაჰის სასახლეში მისულა. ახალგაზრდა შაჰს სტალინის დანახვაზე ფეხები მოკეცვია და მუხლებზე დაცემულა. სტალინი მას წამოდგომაში დახმარებია, შემდეგ კი დელეგაციის ქართველი წევრებისთვის მშობლიურ ენაზე უთქვამს: აფსუს, ამას გიორგი სააკაძე და ერეკლე მეფე ვერ ხედავენო... ამას გვამცნობენ ისტორიკოსები და ბევრი ამბობს, რომ ამგვარი რაღაც მართლა მოხდა, მაგრამ, ზუსტად ეს ფრაზა თქვა თუ არა სტალინმა, ვერ ადასტურებენ. სამაგიეროდ, ეჭვს არ იწვევს ის, რომ სტალინის წინაშე შაჰი მუხლებზე დაეცა. ახლა ნამდვილად არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, სტალინი უდიდესი მხედართმთავარი იყო თუ დიქტატორი, მაგრამ ფაქტია, რომ მის წინაშე ყველა სახელმწიფოს ლიდერი თრთოდა. ეს ყველაფერი კი 76 წლის წინათ მოხდა.**

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, სტალინის ძეგლიც ზარ-ზეიმით ავიღეთ და ბედმა თუ უბედობამ ისე ინება, რომ სეპარატისტების ძეგლებს ვხსნით. ჰო, კიდევ უცხო ქვეყნების პრეზიდენტებს ვუდგამთ ძეგლს და ქუჩებსაც არაერთი უცხო ქვეყნის პრეზიდენტის სახელი ჰქვია. პრეზიდენტს ვინ ჩივის, ბათუმში არაბი შეიხის სახელობის ხეივანიც გვაქვს, პალმები რომ გვაჩუქა, იმ კაცის, და ხეივანი **შეიხ ნაჰაიან მუბარაქ ალ ნაჰაიანის** სახელს ატარებს. ისე, შეყვარებულს რომ დაპატიჟებ ამ ხეივანი სასეირნოდ, სანამ სახელწოდებას ეტყვი, კი დაგათენდება თავზე...

ირანზე მოგახსენებდით. ისე ჩანს, ფეხზე წამოდგნენ 75 წლის წინათ მიწაზე დამხობილი ირანელები და ამჯერად მათი პრეზიდენტის — **ჰასან რუჰანის** სახელით გამოილაშქრეს საქართველოზე. სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმას, რაც ჰასანამ (და ბოდიში, რომ ბატონობითა და თაყვანისცემით არ ვიხსენიებთ ისტორიულ დამყრობელს და დაუძინებელ მტერს) თქვა. **ჰასან რუჰანის აზრით, ირანს 205 წლის წინათ წაართვეს ისტორიული მიწები, მათ შორის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიები. ეს ირანის პრეზიდენტმა სადღაც მოფარებულ ჰარამხანაში კი არ თქვა, ისლამური რევოლუციის 40 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა. რა თქმა უნდა, რუჰანისთვის არავის შეუხსენებია, რომ 205 წლის წინათ კი არა, აგერ, 75 წლის წინათ, მისი სათაყვანებელი შაჰი ქართველის ფეხებთან გორაობდა და დახმარებას ეაჯებოდა.**

შელამაზების გარეშე რომ ვთქვათ, **მუსლიმანური სამყარო კვლავ გეგმავს საქართველოს დამონებას და ამ გეგმას მიზანმიმართულად მიჰყვება. სხვას ვერაფერს დავარქმევ თურქი და ირანელი „ინვესტორების“ შემოსევას, რომლებიც საქართველოს მიწას ყიდულობენ. ყიდულობენ, რადგან ომით ვერ დაიპყრეს, ვერ დაიმონეს და, მათი სათაყვანებელი შაჰ აბას I-ის მცდელობის მიუხედავად, ქვეყანა ვერ დააჩოქეს.**

სამაგიეროდ, რაც მახვილით ვერ შეძლეს, ფულით აკეთებენ, თანაც საერთაშორისო ყურსაც აჩვევენ იმ ამბავს, რომ თურმე საქართველოს მიწა ირანის ყოფილა. სხვათა შორის, **ჰასანას განცხადება უკვე დაგმო და გააპროტესტა სომხეთმა, აზერბაიჯანმა უკმაყოფილება გამოთქვა, საქართველო კი დუმს. დუმს იმიტომ, რომ ისტორიულ მეზობელსა და მოკეთეს ხომ არ ვაწყენინებთ?! აგერ, ამდენი ირანელი შეგვიფარებია, სარჩო მიგვიცია, მიწები მიგვიყიდია, მონებადაც ემსახურება ქართველი ხალხი და ახლა მათი გაბრაზება იქნება?! მართლა გაუგებარია, რას ელოდება საგარეო საქმეთა სამინისტრო და ვერც იმას ვხვდები, რატომ დუმს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აქტიურად აპროტესტებს სხვა რამეს.**

რას ვგულისხმობ სხვა რამეში?! ახლა წარმოიდგინეთ, რომ ანალოგიური რამ რუსეთის პრეზიდენტს ეთქვა, აქ ამბავი ატყდებოდა, მტერს დაავს! ჯერ ხომ ამერიკისა და ევროპისკენ გავიშვერდით ხელს, — არიქა, გვიშველეთ, რუსეთი გვემუქრებაო. მერე საპროტესტო აქციებს ხომ გავმართავდით, მერე რუსულნომრიან მანქანებს ხომ დავლეწავდით, რუს ტურისტებზეც გავიწევდით და ამ ერთი განცხადების გამო, საომარი მდგომარეობის გამოცხადებასაც მოითხოვდა ზოგიერთი. თუმცა, **აგერ, ირანის პირველმა პირმა თქვა: ქართული მიწა ჩემიაო, და სოციალურ ქსელში რამდენიმე აღშფოთებული ადამიანის გარდა, მიიძინა ერმა (ბერმაც).**

საინტერესო ის არის, რატომ ვუდგებით ორმაგი სტანდარტით საქართველოს წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს?! იქნებ იმიტომ, რომ რუსეთის ლანძღვა მოდურია, ადვილად ავიყოლიებთ ევროპაამერიკიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს... აი, ირანის შემთხვევაში კი, იმ ირანის, რომელსაც ევროპა-ამერიკა სანქციებს უწესებს, დუმილი გვირჩევნია, არ აგვყვებიან, არ არის ირანის ლანძღვა მოდური და, თუ ტელევიზიებმა არ გააშუქეს, თუ ეკრანებზე არ გამოჩნდნენ არასამთავრობოები და „პატრიოტები“, ისე „რაა მამული“?! **სწორედ იმის გამო, რომ თემა ნაკლებაქტუალური იქნება, პირში წყალი ჩაიგუბა ყველამ და ეს იმის ფონზე, როცა ისტორიული მტრის ლიდერი დაუფარავად ამბობს: ჩვენი მიწაა საქართველოო.**

ისე, ჰასანა უფრო შორს არ წავიდა (ჯერ), თორემ აუცილებლად გაიხსენებდა იმასაც, რომ საქართველო საუკუნეების წინათ ხარკსაც უხდიდა ირანს და ქართველი ქალ-ვაჟების გარეკვასაც მოითხოვდა. აკი მათმა მომღერალმა, **მოჰსენ ნამჯოუმ** კლიპიც კი გადაიღო ეროტიკული სცენებით, სადაც წარსულს მის-



**ჰასან რუჰანის აზრით, ირანს 205 წლის წინათ წაართვეს ისტორიული მიწები, მათ შორის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიები. ეს ირანის პრეზიდენტმა სადღაც მოფარებულ ჰარამხანაში კი არ თქვა, ისლამური რევოლუციის 40 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა. რა თქმა უნდა, რუჰანისთვის არავის შეუხსენებია, რომ, 205 წლის წინათ კი არა, აგერ, 75 წლის წინათ, მისი სათაყვანებელი შაჰი ქართველის ფეხებთან გორაობდა და დახმარებას ეაჯებოდა**

ტირის და რუსეთს ამუნათებს ტექსტით, „რატომ წამართვი, რუსეთო, გურჯი ხათუმები?!“ ჰო, რუსეთო, რატომ წამართვიო, ანუ ირანი იმ სახელმწიფოს ამუნათებს, რომლის გინებაც დღეს მოდურია. რა გამოდის? **დღეს რომ დამოუკიდებლები ვართ და არა ირანის მონები, ირანი რუსეთს ადანაშაულებს, ჩვენ კი რუსეთს ვუტევთ, თქვენ დაგვღუპეთ და დაგვაქციეთ, თორემ ისე რა გვიჭირდაო?!** იმავე კლიპში ირანელ მომღერალს ის კადრებიც აქვს აღებული, რომელშიც ქართველი **ლუკა კურტანიძე** ირანელ ფალავანს ეჭიდავება. სწორედ ირანელი მეტოქე იყო კურტანიძის მთავარი კონურენტი და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალებში პრაქტიკულად მუდმივად მას ხვდებოდა. ესეც ვერ აიტანა ირანმა, ვერ აიტანა, რომ ჭიდაობაში კონკურენციას ქართველი უწევდა და, სავარაუდოდ, ნამჯოუს **ლევან თედიაშვილი** აღარ გაახსენდა, ირანის შაჰის კარზე რომ ათრია ირანელი სახელგანთქმული მოჭიდავეები.

ისე, თუ ასე გაგრძელდება, ირანის ან თურქეთის გამოგზავნილ ამირას დავსვამთ მალე თბილისში და გვერწმუნეთ, ხმის ამომღებიც არავინ იქნება. იმაზე ხომ არავინ იღებს ხმას, ფერეიდანში საქართველოდან შაჰ აბასის მიერ გარეკილი ქართველები ადგილობრივი ირანელებისგან განსხვავებით შავ დღეში რომ ჰყავთ და აქ ირანელებს სასათბურე პირობებს რომ ვუქმნით. არც იმაზე ამოულია ხმა ვინმეს, ირანიდან უხარისხო ცემენტი რომ შემოვიდა იაფად და მერე მშენებელმა კომპანიებმა ერთი ამბავი რომ ატეხეს: ცემენტი კი არა, მტვერია, მაგით აშენებული კორპუსები ორ წელსაც ვერ გაძლებსო. ხომ შერჩათ?! შერჩათ! ისიც ხომ შერჩათ, იმავე ირანიდან შემოტანილი უხარისხო და იაფი არმატურის გამო რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ 400 თანამშრომელი რომ დაითხოვა და ერთი ღუმელი გააჩერა, ჩვენი ხარისხიანი არმატურა აღარ იყიდებაო?!

**არც იმაზე იღებს ხმას არავინ, თბილისში მცხოვრები ირანელების უმრავლესობას აივნებზე სახელმწიფო დროშები რომ აქვთ გადმოფენილი. დროშას კი არაფერს ვერჩით, მაგრამ როგორ გგონიათ, რა მოხდება, ქართველმა ირანში ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა რომ გადმოფინოს?**

შერჩათ! მართალია, ახლა, ცემენტის მსგავსად, არმატურაზეც ჩივიან მშენებლები: ტყუილად შევიძინეთ, მშენებლობაში ეგ არ გამოდგებაო, მაგრამ კონტროლის მექანიზმი არ არის და ირანელებიც სარგებლობენ. პრინციპში, როცა მათი პრეზიდენტი სარგებლობს, რიგითმა მოქალაქეებმა რატომ არ უნდა ისარგებლონ?!

თუ ის დაგვავიწყდა, სულ რაღაც ერთი თვის წინათ, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ვინმე **ბაჰრამ ქასემიმ** რომ განაცხადა: როგორ გაბედა საქართველომ და ჩვენი მოქალაქეები ქვეყნიდან გამოაძევა, მაგას არ ვაპატიებთ და საერთაშორისო სკანდალში გავხვევთო! არადა, ქასემი იყო ის კაცი, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ნარკოდანაშაულისთვის, ანუ ნარკოტიკების გასაღებისთვის ირანის არაერთი მოქალაქე დააკავეს, მაგრამ ამაზე არაფერი უთქვამს. არ უთქვამს იმიტომ, რომ ირანში ნარკოტიკების გასაღებაზე სიკვდილით დასჯაა და ეს ქვეყანა ამტკიცებს, რომ ნარკოტიკების გამსაღებლები და ნარკომანები არ ჰყავს. აი, საქართველოში თუ დააკავეს ირანის მოქალაქე ნარკოტიკებით, ეს თურმე მხოლოდ ჩვენი პრობლემაა, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის გამო, რომ, თუ რომელიღაც უცხოელი კეთილი სურვილებით არ მოდის, ეს უკვე საერთაშორისო სკანდალი ყოფილა. და **არც იმაზე იღებს ხმას არავინ, თბილისში მცხოვრები ირანელების უმრავლესობას აივნებზე სახელმწიფო დროშები რომ აქვთ გადმოფენილი. დროშას კი არაფერს ვერჩით, მაგრამ როგორ გგონიათ, რა მოხდება, ქართველმა ირანში ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა რომ გადმოფინოს?** ამის ნებას არც სახელმწიფო მისცემს და არც ადგილობრივი მოსახლეობა, ზუსტად ისე, როგორც საქართველოში რუსეთის დროშის გადმოფენას გააპროტესტებენ. რატომ? მოდურია რუსეთის გინება და იმიტომ. ტელევიზორში გამოჩნდება დამატებით რუსეთის ლანძღვის გამო რომელიმე არასამთავრობო და იმიტომ... მანამდე კი ირანის პირველი პირი პირში გვეუბნება: ჩვენს მიწაზე ცხოვრობთო, და როდის მოატრიალებს ჩვენკენ იმ იარაღს, რომლისთვისაც სანქციები აქვს დაწესებული, კაცმა არ იცის... თუმცა ჩვენ ხომ „ჯაველინები“ გვაქვს და ეგ გვიშველის!

**ბესო ბარბაქაძე**

**ლინდერმანის განცხადება არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმის, რომ „ლიბერალური“ მედიის მიერ ნაქადაგები პროპაგანდა, თითქოს „დემოკრატიული დასავლეთი“ არაფერს გვაძალებს და მხოლოდ კეთილ რჩევებს გვაძლევს, რომლის შესრულება-არშესრულებაც ჩვენი საქმეა, სრული აბსურდია. სინამდვილეში დგანან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ოროსანი მოსწავლეებივით და თავჩაღუნული ისმენენ მუქარას, რომ, თუ რაღაც არ ან ვერ შესრულდა ისე, როგორც ეს დასავლეთს უნდა, გავქრებით.**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნიკოლოზ მჟავანაძე: «ყვითელი ჟილეტების» აქცია მალე შეიძლება აქაც ვიხილოთ

**რამდენიმე დღის წინათ ორგანიზაცია „ატლანტიკური საბჭოს“ წარმომადგენელმა ლარა ლინდერმანმა რადიო „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა საქართველოზე და „მეოცნებე“ ხელისუფლებას დასავლეთიდან ნაკარნახევი „დემოკრატიული რეფორმების“ განუხრელად გაგრძელებისკენ „მოუწოდა“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლინდერმანის განცხადებით, საქართველო შეერთებული შტატების დღის წესრიგიდან გაქრება, საერთაშორისო მხარდაჭერის არარსებობა კი ქვეყნის უსაფრთხოებას მნიშვნელოვნად შეამცირებს, რაც მის წინსვლასა და განვითარებას, როგორც ევროინტეგრაციის, ისე ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის თვალსაზრისით, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს: „საქართველო რეგიონში და მის მიღმა დემოკრატიული მახასიათებლებით გამოირჩევა...**

**თუ დემოკრატიის კუთხით უკუსვლა მოხდება, საქართველო ამით დაკარგავს მთავარ კომპონენტს, ის რთულ სამეზობლოშია, უსაფრთხოების კუთხით — რთულ მდგომარეობაში; ეკონომიკა იზრდება, თუმცა სხვა ქვეყნებთან შედარებით არც ისე დიდია, ამიტომ თუ დემოკრატიულ ნაწილს დაკარგავს, ის დასავლეთის ბევრი ქვეყნის, მათ შორის, შეერთებული შტატების დღის წესრიგიდან გაქრება“. ლინდერმანის განმარტებით, ცივილიზებული სამყარო დღეს ყურადღებით აკვირდება აქ მიმდინარე ცვლილებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ის ცვლილებები იწვევს, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებების გაზრდისა და თანასწორუფლებიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ...**

**რას ნიშნავს თანამედროვე „ლიბერალური“ გაგებით „დემოკრატიული ნაწილი“ სახელმწიფო პოლიტიკაში და არის თუ არა გარკვეულწილად მუქარა ლინდერმანის განცხადება დასავლეთის დღის წესრიგიდან საქართველოს გაქრობაზე?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, ამას წინათ „ატლანტიკური საბჭოს“ წარმომადგენელმა ლარა ლინდერმანმა მედიასთან განაცხადა, რომ, თუ საქართველო დემოკრატიულ ნაწილს დაკარგავს, დასავლეთის და მათ შორის შეერთებული შტატების, დღის წესრიგიდან გაქრება. რას ნიშნავს ეს განცხადება?**

— **ლინდერმანის** განცხადება არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ „ლიბერალური“ მედიის მიერ ნაქადაგები პროპაგანდა, თითქოს „დემოკრატიული დასავლეთი“ არაფერს გვაძალებს და მხოლოდ კეთილ რჩევებს გვაძლევს, რომლის შესრულება- არშესრულებაც ჩვენი საქმეა, სრული აბსურდია. სინამდვილეში დგანან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ოროსანი მოსწავლეებივით და თავჩაღუნული ისმენენ მუქარას, რომ, თუ რაღაც არ ან ვერ შესრულდა ისე, როგორც ეს დასავლეთს უნდა, გავქრებით. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? პირველი, აქ საუბარია იმაზე, რომ საქართველო უნდა იყოს დასავლეთის ინსტრუმენტი პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ მუდმივად უნდა ვიყოთ განტევების ვაცი, რომელსაც, სად როგორც დასჭირდებათ, ისე გამოიყენებენ. მეორე, აქ საუბარია ძირეულ საკანონმდებლო და სტრუქტურულ ცვლილებებზე, რომლებმაც მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე არ უნდა დაამკვიდროს და ყოველდღიურობად აქციოს ლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის, გლობალისტური პრინციპები. მათ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ესმით, რომ ქვეყანაში, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ტრადიციები და მყარად ჩამოყალიბებული ეროვნული თვითმყოფადობა, მსგავსი იდეოლოგიის დამკვიდრება რთულია. იმიტომ სჭირდებათ ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, რომ დასჯის მექანიზმები არსებობდეს. ისე, დღის წესრიგიდან გაქრობას რაც შეეხება, ვფიქრობ, რაც უფრო მალე დაგვანებებენ თავს, მით უკეთესი ჩვენთვის, იმიტომ, რომ მათთან თანამშრომლობის შედეგად, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ მიიღო სრული პოლიტიკური კრახი, რომელმაც სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოებრიობას...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ დაკარგული გვაქვს ორი რეგიონი, რაც ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, გავღატაკდით და გავნადგურდით ეკონომიკურად, დავსუსტდით პოლიტიკურად და ა.შ. არადა, გვახსოვს, რომ თავის დროზე, როცა დასავლეთისკენ სწრაფვა ახალი პოლიტიკური ხილი იყო და ამით მარტივად შეიძლებოდა საზოგადოების მოტყუება, გარკვეული ძალები ხალხს ეკონომიკურ-პოლიტიკურ სასწაულებს ჰპირდებოდნენ. რა მივიღეთ — **ევროკავშირში ხომ ვერასოდეს შევალთ, ნატოზე ხომ ფიქრიც ზედმეტია, დღეს, ფაქტობრივად, იმაზე გვიწევს საუბარი, როგორმე მათი დღის წესრიგიდან არ გავქრეთ. კიდევ ვიმეორებ, მით უკეთესი ჩვენთვის, თუ გავქრებით.** რაც შეეხება კონკრეტულ განცხადებას, ცხადია, დემოკრატიულ ნაწილში აქ იგულისხმება საკანონმდებლო ცვლილებები, რომელმაც უნდა გაზარდოს ადამიანის უფლებები, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს სექსუალური უმცირესობების სამართლებრივი სტატუსი, დააჩქაროს მიგრაციის პროცესები და ა.შ.



> **«ხალხს ყელში ამოუვიდა «ლიბერალური» ელიტის ბოგინი. არ შეიძლება, ქვეყნის ბედს მუდმივად განაგებდეს უცხოეთიდან მართული ადამიანების ჯგუფი, რომელიც უმცირესობების უფლებების დაცვის სახელით უგულებელყოფს საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს»**

**— განცხადება იმის თაობაზე, რომ „დემოკრატიული ნაწილის“ დაკარგვის შემთხვევაში საქართველო დასავლეთის დღის წესრიგიდან გაქრება, მუქარაა?**

— რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირ იდეოლოგიური პრესინგი სახელმწიფოზე, მაგრამ მე ერთი რამ მიკვირს: ხელისუფლებას, რომელიც ისედაც ზედმიწევნით ასრულებს დასავლეთიდან მიღებულ ყველა მითითებას, რისთვის სჭირდება მსგავსი თითისქნევა. ისე, გარკვეული თვალსაზრისით კარგია, თუ კიდევ უფრო გააქტიურდებიან საქართველოში „ლიბერალური“ ძალები და, როგორც აქამდე აკეთებდნენ, საზოგადოების ნების საწინააღმდეგოდ განაგრძობენ ცვლილებებს. ეს, ადრე თუ გვიან, გამოიწვევს სამოქალაქო აფეთქებას და მერე „ატლანტიკური საბჭოს“ განცხადება ვერ უშველის ხელისუფლებას... ახლა რაც შეეხება დასავლეთის დღის წესრიგში ყოფნას, რაც თურმე ჩვენთვის დიდი შვება და მხარდაჭერა ყოფილა. **იმ დროს, როცა საქართველოს ცაზე რუსეთის ავიაცია ბატონობდა და თბილისი ნანგრევებად შეიძლებოდა ქცეულიყო, სხვა ქალაქებზე არაფერს ვამბობ, შეშფოთებისა და აღშფოთების გარდა არაფერი მოგვისმენია. რით გვემუქრებიან დღეს, საინტერესოა, — აღარ შევშფოთდებითო?!**

**— სხვათა შორის, 13 თებერვალს ამერიკის კონგრესში სენატორების ერთმა ჯგუფმა შეიტანა კანონპროექტი, რომელიც რუსეთისთვის ახალი სანქციების ამოქმედებას გულისხმობს. ამ დოკუმენტში ნახსენებია საქართველო და უკრაინა...**

— რა სარგებლობის მომტანია ეს ყველაფერი, ვინმეს სჯერა, რომ ამით კრემლის პოზიციები შესუსტდება?! სხვათა შორის, ახლახან რუსეთმა, თურქეთმა და ირანმა სოჭში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც უახლოეს მომავალში სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს რეგიონში. ეს ერთი და მეორე — **ვთქვათ, მიადგა რუსეთის ეკონომიკას სერიოზული ზიანი, რაც მას არაერთხელ გამოუცდია და გადაუტანია, ამით საქართველო რას მიიღებს? — იმ საფრთხეზე მეტს, რასაც დასავლეთის პოლიტიკური ინტერესების ბრმა მსახურება გვიქმნის.** თუმცა მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში ყველა მოწყვეტილია რეალობას. არა, არიან მმართველ გუნდში გარკვეული სუბიექტები, რომლებიც სწორად აფასებენ მოვლენებს, მაგრამ მათთვის პრიორიტეტი პოლიტიკური კეთილდღეობაა. არის ხალხი, რომელსაც გააზრებული აქვს, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩვენთვის გარე ძალების ინტერესთა ბრმად მსახურებას, მაგრამ თვალს ხუჭავს. რატომ? იმიტომ, რომ სიმართლე და სწორი პოზიციის გამოხატვა ამ შემთხვევაში მათი კარიერის დასამარებას გამოიწვევს. საერთოდ, მე ყველაზე დიდ საფრთხედ ჩვენი ქვეყნისთვის დღეს მიმაჩნია ის, რომ, მიუხედავად პოლიტიკური წარუმატებლობებისა და უშედეგობისა საერთაშორისო ასპარეზზე, „ქართული ოცნება“ ვერ გამოვიდა „ნაცმოძრაობისდროინდელი“ პარანოიიდან. ეს პარანოია მდგომარეობს იმაში, რომ, თუ ჩვენ, დასავლეთთან ერთად, რქებით მივაწვებით რუსეთს, ის დასუსტდება და დაიშლება. არ დაიშლება! პირიქით, ეს სანქციები აძლიერებს რუსეთს და, თუ იქ რაღაც პროდუქციის არშეტანაზეა საუბარი, ამ პროდუქციით თვითონვე ამარაგებენ თავიანთ ბაზარს.

**— დავუბრუნდეთ ლინდერმანის განცხადებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეშია და მხარდაჭერა სჭირდება. თქვენი აზრით, რით არის დღეს ჩვენთვის უკეთესი, თუ დასავლეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში აღარ ვიქნებით?**

— საქმე ის არის, რომ ჩვენ უნდა მოვინდომოთ მათი დღის წესრიგიდან გაქრობა, რადგან რეალურად არავინ მოგვცემს პოლიტიკური კონიუქტურიდან გამოსვლისა და სხვა მოცემულობაში გადასვლის საშუალებას. თუმცა იმედს მაძლევს ის, რომ დასავლეთში ნაციონალიზმი იღვიძებს. მჯერა, რომ გლობალისტური ლიბერალური დიქტატის რღვევის პირობებში, ადრე თუ გვიან, აქაც ძირეული პოლიტიკური და, რაც მთავარია, იდეოლოგიური ცვლილებები დაიწყება...

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? საქართველოში ჯერჯერობით არ არის სერიოზული წინაპირობა, რომ მსგავსი მოძრაობა დაიწყოს...**

— ის, რაც დღეს დასავლეთში ხდება, მხედველობაში მაქვს საფრანგეთში, იტალიაში, ბრიტანეთში მიმდინარე პროცესები, უკვე არის იმის წინაპირობა, რომ, ადრე თუ გვიან, კონსერვატული ფრთა აქაც სერიოზულად გაძლიერდება. მეტსაც გეტყვით, საფრანგეთი ვახსენე და ყვითელი ჟილეტების აქცია, რომელიც დიდი ხანია, პარიზში პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკებების ფონზე მიდმიდნარეობს, მალე შეიძლება აქაც ვიხილოთ. ახლა ვიღაცას ეს შეიძლება ძალადობად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია: ხალხს ყელში აქვს ამოსული „ლიბერალური“ ელიტის ბოგინი. **არ შეიძლება, ქვეყნის ბედს მუდმივად განაგებდეს უცხოეთიდან მართული ადამიანების ჯგუფი, რომელიც უმცირესობების უფლებების დაცვის სახელით უგულებელყოფს საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს...**

**— დასავლეთის ქვეყნებში ნაციონალისტურ მოძრაობას კონკრეტული ლიდერები უდგანან სათავეში: საფრანგეთში — მარინ ლე პენი, იტალიაში — სალვინი, უნგრეთში — ვიქტორ ორბანი, ინგლისში კი უფრო ფართო სპექტრია კონსერვატული სუბიექტების... საქართველოში თუ ხედავთ მსგავს ძალებს?**

— დღეს საქართველოში ისეა მომწიფებული ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობები, რომ აღარაა საჭირო კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის მოწოდებები. ამიტომ მჯერა, რომ ხალხი გააკეთებს ყველაფერს. **ამ ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, „ნაცმოძრაობაზე“ უფრო საზიზღარი გახდა. მათ ოცნება აუხდინეს თურქებს, არაბებს, ირანელებს, სექსუალურ უმცირესობებს და ა.შ. რეალურად ეს არის „ლიბერალების“, პედერასტების, ნარკობარიგებისა და მათი დამცველების „ოცნება“...** რაც შეეხება შეკითხვას, არიან თუ არა ჩვენს ქვეყანაში დასავლეთის მსგავსი ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ პროცესების გაძღოლა, საქართველოში ყოველთვის იყო და იქნება ეროვნული სულისკვეთება, მაგრამ იმ პირობებში, როცა საინფორმაციო ველი, მათ შორის, ჩვენი ჯიბიდან დაფინანსებული ტელევიზიაც კი ჩვენივე მტრების ხელშია, ამ სულისკვეთების მქონე ხალხი არ ჩანს. ამიტომაა ამ მიმართულებითაც სერიოზული ბრძოლა საჭირო, რათა ეს საინფორმაციო ბლოკადა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს. ისე, „ლიბერალური“ პროპაგანდა ბოლო პერიოდში ისეთი ისტერიკული შეიქნა, რაც უფრო დიდი დოზით მიაწვდიან მას მოსახლეობას, მით უკეთესი. დაე, ნახოს ფართო საზოგადოებამ, რასთან გვაქვს საქმე და რას ნიშნავს რეალურად, როცა ესა თუ ის დასავლური ორგანიზაცია ჩვენგან „დემოკრატიულ რეფორმებს“ ითხოვს. მერწმუნეთ, ეს დააჩქარებს პროცესებს და ძალიან მალე აქ დიდ სოციალურ აფეთქებას ვიხილავთ. ვერ გაასწრებენ აქედან, ისეთი დიდი ტალღა წალეკავს ყველაფერს. ასე რომ, ვშიშობ, ზოგიერთმა ჩაუშესკუს ბედი არ გაიზიაროს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღეიდან კიდევ 11 წლის განმავლობაში ბედნიერებისა და აყვავების ხალისიანი მოლოდინი გარანტირებული გვაქვს. რა სჯობს ასეთი ხალისით ცხოვრებას და ვურჩევ ბატონ მილიარდერს, 2030-შიც ნუ მოგვაკლებს ხალისს და კიდევ 10 წლით მაინც, 2040 წლამდე, გადაგვიტანოს ეს ხალისიანი მოლოდინი.**

# რა გითხრათ, რით გახალისოთ?

**ვინაიდან გაზეთის დაარსებიდან 10 წლის იუბილეს ვზეიმობთ, რედაქციის თხოვნაა, დღევანდელ სტატიაში ჩემთვის ჩვეული „მუშტების ქნევა“ არ დავიწყო და შედარებით უფრო მსუბუქი, სახალისო მასალა მოვამზადო. ერთი ეგაა, რომ მე ამ რედაქციასთან 10 წელი არ ვთანამშრომლობ, მხოლოდ 5-ოდე წელი თუა, რაც დავიწყე მასალების გამოქვეყნება, ამიტომ მხოლოდ ბოლო 5 წელიწადზე ვიხალისებ და არ დამძრახოთ.**



სახალისო კი მართლაც ბევრი რამ მოხდა 2012 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში. მართალია, ეს 5 კი არა, 7 წელი გამოდის, მაგრამ არა უშავს, 2 წელი მაპატიეთ. ნუ, ახლა სადაც ბიძინა ივანიშვილს აგერ, უკვე მესამე წელს მივუტევებთ, ალბათ, მეც მეპატიება ორიოდე წელი.

ამ გაზეთში პირველი წერილი რომ გამოვაქვეყნე, იქიდან მეორე წელს უნდა ავყვავებულიყავით და „გვეგრძნო“ ყველას „საკუთარ ჯიბეზე“, რაოდენ დიდი ბედნიერებაა გაბრწყინებულ იბერიაში ცხოვრება. 4 წელია, ამისთვის საჭიროო, — გვითხრეს და, თუ 2012 წლიდან ვიანგარიშებთ, ეს 2016 წელს უწევდა, მაგრამ, თუ ხალისია, ხალისი იყოსო და უცებ გადაგვიტანეს ეს ამბავი, არც მეტი არც ნაკლები, 2030 წლისთვის. მესმის, რომ ეთქვათ: 2016 წელს ვერ მოვასწარით და ერთი 4 წელი კიდევ გვაცალეთო, და 2020 წლისთვის გადაეტანათ ჩვენი გაბედნიერება, მაგრამ, არა! ბატონი ბიძინა ხომ ყველაფერში ორიგინალურია და 4 წელიწადში ვერშესრულებული დაპირება ასე სახალისოდ გადასწია კიდევ, სულ რაღაც, 14 წლით.

გამოდის, **დღეიდან კიდევ 11 წლის განმავლობაში ბედნიერებისა და აყვავების ხალისიანი მოლოდინი გარანტირებული გვაქვს. რა სჯობს ასეთი ხალისით ცხოვრებას და ვურჩევ ბატონ მილიარდერს, 2030-შიც ნუ მოგვაკლებს ხალისს და კიდევ 10 წლით მაინც, 2040 წლამდე გადაგვიტანოს ეს ხალისიანი მოლოდინი.** დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. თუმცა ბევრი მათემატიკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოვრჩეთ ახლა წლებისა და თარიღების დაზუტებას და ისე, უმათემატიკოდ ვიხალისოთ.

ძალიან სახალისო იყო, მაგალითად, რესპუბლიკელების მოულოდნელი გაბრაზება საზოგადოდ „ქართული ოცნებისა“ და კონკრეტულად ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერებზე. კიდევ უფრო ვიხალისე იმაზე, რომ რესპუბლიკელთა ყოფილი ლიდერი ცოლ-ქმარი უცებ გადაიქცა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა თუ მომხრეთა ყველაზე სასტიკ „ინკვიზიტორად“.

2012-დან 2016 წლამდე **ბიძინა ივანიშვილი დავით უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელისთვის** იყო ადამიანი, რომელმაც იხსნა ქვეყანა გველეშაპისგან და მასზე ცუდის მთქმელი ყველა უმადური და ცუდი იყო. ამასთანავე, **„ქართული დემოკრატიის ნომერ პირველ ამოცანას წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა და შენარჩუნება პოლიტიკურ სპექტრში“,** — გვმოძღვრავდა პარლამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარე.

ახლა კი რა ხდება? ბოლო ერთი წელია, უსუფაშვილი გვიმტკიცებს, რომ, **„თუკი არ დაისჯებიან „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერები და მომხრეები, მაშინ ხალხს ვერ ექნება სამართლიანობის განცდა და ასე სახელმწიფო ვერ აშენდება!“** ხოლო თინა ხიდაშელს გადაავიწყდა, რა „დაავალა“ მას თავის დროზე „ქართველმა ხალხმა“ და მთელი ენერგიითა და ლექსიკური მარაგით ცდილობს გაჯოროს ბიძინა ივანიშვილი იმის გამო, რომ მან „ხალხს თავს მოახვია ეს დამღუპველი კოაბიტაცია“.

ხალისობთ ხომ? ჯერ სად ხართ!

**ტიპი, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში „კაზანტიპს“ აკეთებდა, ახლა ლიეჟში მიშა სააკაშვილის ემიგრანტებთან შეხვედრის „ორგანიზებას აკეთებს“. სახალისოა: „ოცნება“ რომ არა, არც არავის ეცოდინებოდა, ვინ არის გიორგი სიგუა. ხოლო ახსნა, რატომ დანიშნეს ის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირველ წლებში ტურიზმის სახელმწიფო სამსახურის უფროსად, ჯერაც ვერავისგან მოვისმინეთ.** პრინციპში, ამ ფაქტის ახსნაზე რაღა პრეტენზია უნდა გვქონდეს, როდესაც, პროკურატურაც კი ვერ ხსნის, რატომ და როგორ აღმოჩნდა ბელგიაში საქართველოს ის მოქალაქე, რომელსაც ქართულმა სასამართლომ პირობითი სასჯელი მიუსაჯა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩამოართვა. საუბარია ნაციონალების ზონდერ **გიორგი სამუშიაზე,** რომელიც სასამართლოდან, ფაქტობრივად, პირდაპირ იუსტიციის სახლში მივიდა და, მოსამართლის მიერ ჩამორთმეული პასპორტის ნაცვლად, უპრობლემოდ აიღო ახალი საერთაშორისო პასპორტი. ასე და ამგვარად, **პირი, რომელსაც „მეგის ქარდავას პირადი უკანონო დავალებების შემსრულებლად“ მოიხსენიებენ და რომელიც სწორედ ამ ბრალდებით არის გასამართლებული, ახლა ევროპაში ისე დასეირნობს, როგორც სურს, და ქართველ ჟურნალისტებთან კაიფის, ღადავისა და ღლაბუცის განწყობაზეც არის.**

ამაზე მეტი ხალისიც გსურთ? — კი, ბატონო!

სახალისოს რა გამოგვილევს ამ მართლა უნიათო და ტინგიცა ხელისუფლების პირობებში?!

ძალიან ვიხალისე, მაგალითად, თბილისის სამტრედიელ-მილანელმა მერმა რომ „გადაშენებულებს“ „გამოქანებისკენ“ მოუწოდა. აქ ყველაზე სახალისო იყო ის, რომ „გადაშენდით აქედან“-სა და „გამოექანეთ იქიდან“-ს შორის, სწორედ იმავე მერმა დააფინანსა ნაცების ყოფილი ფავორიტი მომღერლის **სტეფანე მღებრიშვილის** სოლო კონცერტი დედაქალაქის ბიუჯეტიდან და სხვა არაერთი ყოფილი ნაცი და ნაცაქტივისტი ჩაიხუტა გულში. მოკლედ, **კახა კალაძეც** შესანიშნავად ხალისობს — ნაცებს, როცა უნდა, „გადააშენებს“; როცა უნდა, „გამოაქანებს“ და, როცა უნდა, გულშიც ჩაიხუტებს.





ლაშა ბუღაძე





რატი ამაღლობელი

საზოგადოდ, ასეთი ტიპის ხალისი არ არის უცხო „მეოცნებეებისთვის“.

ყველაზე მთავარი ხალისი, რა თქმა უნდა, მაინც მოსამართლეთა უვადო დანიშვნის გარშემო ატეხილი ხმაურია. ამ ამბავში ბევრი რამაა სახალისო. მაგალითად, ის, რომ **ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძესა** და მათ თანამოაზრეებს მხოლოდ ახლაღა გაახსენდათ, რომ პარლამენტში ისეთი ოდიოზური ფიგურების გვერდით სხედან და ერთ გუნდში არიან ისეთ ყოფილ ნაცებთან, როგორიცაა **ვანო ზარდიაშვილი, მამუკა მდინარაძე, არჩილ თალაკვაძე** და სხვ. დამეთანხმებით, მართლაც ძალიან სახალისოა, როდესაც მთელი 3-წლიანი „ჩახუტების“ შემდეგ ხვდები ამას. სხვათა შორის მუდამ უემოციო და გაუღიმარ პარლამენტის თავმჯდომარესაც ვერ დავწამებთ უხალისობას — მან ძალიან გაახალისა სრულიად ქართველი ერი, როდესაც განაცხადა: **„ცუდი და კარგი ადამიანები არ არსებობენ, არსებობს ცუდი და კარგი სისტემა. ცუდი სისტემის პირობებში ადამიანები ცუდად იქცევიან, ხოლო კარგი სისტემის დროს — კარგად. ასე იყო მოსამართლეების შემთხვევაშიც, ადამიანები, რომლებიც მიშას დროს ცუდ საქმეებს აკეთებდნენ, ახლა უკვე კარგ საქმეებს აკეთებენ და ამიტომ მათი უვადოდ დანიშვნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს“.**

მართალია, ასეთი თეორია პირველად საქართველოს მთავარმა მოხალისემ და „შუტნიკმა“ ბიძინა ივანიშვილმა ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 2013 წელს, მაგრამ ყველაზე მსხვილი ჯოხი მაინც **ირაკლი კობახიძეზე** გადატყდა. ეტყობა, იმიტომ, რომ კობახიძის შემთხვევაში ეს საკუთარი თავისა და საკუთარი საქციელის „გაპრავებაც“ იყო — აკი, ნაცების დროს თვითონაც ემსახურებოდა მიშას და ნაცრეჟიმს. სწორედ ამიტომ არის, რომ კობახიძე და სხვა მისნაირნიც ასეთ მსოფლმხედველობას ყველაზე დიდი ხალისით აიტაცებენ ხოლმე და ტელეეთერებიდანაც ავრცელებენ. ისინი „ყოფილ ცუდებსა“ და „აწ უკვე კარგებში“, პირველ რიგში, საკუთარ თავს გულისხმობენ და ძალიან უახრიათ, რომ მათ გაიძვერობას, ნაძირალობასა და ქვემძრომობას რაღაც გამართლებას რომ უძებნიან.

რა თქმა უნდა, ბოლო 5 თუ 7 წლის განმავლობაში მომხდარ ყველა სახალისო ამბავს ამ ერთ სახალისო სტატიაში ვერ ჩავატევ, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, ბოლოს მაინც არ მეხსენებინა ერთ-ერთი ძალიან სახალისო ამბავი, რომელიც „თი-ბი-სი ბანკისა“ და მისი შეფის, **მამუკა ხაზარაძის,** გარშემო ხდება. თითქოს არაფერი — სახელმწიფო რაღაცას ედავება კერძო ბიზნესმენს და, წესით, ამბავიც ყველა იურიდიული და საპროცესო ნორმის დაცვით მიმდინარეობს, მაგრამ აქ უკვე ძალიან ხალისობენ ჩვენი „სასიქადულო“ ლიტერატორები. **რატი ამაღლობელი, ლაშა ბუღაძე** და ის სხვა მწერალ-პოეტები, რომლებსაც, დიდი ხანია, რატომღაც „პრივატიზებული“ აქვთ ლიტერატურის სფერო ჩვენს ქვეყანაში და მათ დაუკითხავად ამ მიმართულებით ბუზიც კი ვერ გაფრინდება საქართველოში. მოგეხსენებათ, მათ მიერ დაარსებულ ლიტერატურულ პრემია „საბას“ სწორედ მამუკა ხაზარაძე აფინანსებს. ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ **სახალისო ისაა, რომ ისინი სრულიად ქართველი ერისგან მოითხოვენ, მამუკა ხაზარაძეს მადლობა ვუთხრათ იმისთვის, რომ ამ „ლიტერატორებს“ წლების განმავლობაში აფინანსებს. ვერ გავიგე, მე რატომ უნდა ვუთხრა მადლობა ვინმეს იმისთვის, რაც რატი ამაღლობელმა „მიირთვა“? თუმცა სახალისო ნამდვილად რომ არის ეს ყოველივე, ამაზე შევთანხმდეთ.**

საზოგადოდ, ამ ვითომ „მწერალ-პოეტებს“ ახასიათებთ ასეთი სახალისო გამოხდომები. მაგალითად, ცნობილი ტრაგიკული მოვლენების დროს, როდესაც ზოოპარკიდან გაქცეულმა ვეფხვმა თბილისის ცენტრში ადამიანი იმსხვერპლა, სწორედ ამ „ლიტერატორებმა“ მოაწყვეს სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია „ხელები შორს ზოოპარკის დირექტორისგან“. არადა, პროკურატურამ ზოოპარკის დირექტორი მხოლოდ გამოკითხვაზე დაიბარა და 2 საათში გამოუშვა. აი, ის ორი საათიც კი გააპროტესტეს ჩვენმა „ლიტერატორებმა“, ოღონდ სახალისო ის იყო, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გიპასუხებდათ, თუ რას აპროტესტებდნენ კონკრეტულად. თუკი ზოოპარკიდან გაქცეული ვეფხვი ადამიანს მოკლავს, ვინ უნდა გამოჰკითხოს, ნეტავ, პროკურატურამ: ცირკის დირექტორი თუ ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე?

ყველაზე მეტად სახალისო კი, რა თქმა უნდა, მაინც ის არის, ჩვენს ქვეყანაში ამათ ლიტერატორები რომ ჰქვიათ, იმათ — პოლიტიკოსები, სხვებს — ექსპერტები, ზოგიერთებს — ლექტორები და პროფესორები... რა თქმა უნდა, არ უნდა გამოგვრჩეს ქართულ სინამდვილეში ყველაზე სახალისო ხალხი — ცნობილი ქართველი ჟურნალისტები. თუმცა, ვინაიდან მაინც ჩვენი გაზეთის იუბილეა და, ვინაიდან რედაქციამაც ასე მთხოვა, ამ ეტაპზე ჩვენს კოლეგებს დავინდობ და მათზე სხვა დროს უფრო ვიხალისებ...

„გუნდი ბრძოლაში ნაწრთობი, გამოცდილ-გამობრძმედილი, ზოგი ათი წლით გაზრდილი, ზოგი ათი წლით შებერებული, მაგრამ დაუღლელი, კვლავაც შემართული, კვლავაც მოჭიმული, კვლავაც ერის სადარაჯოზე მდგარი — ესაა „საქართველო და მსოფლიო“.

იუბილე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველო და მსოფლიო» 10 წლისაა!

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ დაარსებიდან 10 წელიწადი გავიდა.**

**ამ ხნის განმავლობაში გაზეთის შემოქმედებითმა ჯგუფმა გაუძლო ორგზის დარბევას და ბევრ სხვა ზეწოლას, რომელიც მუდმივად თან სდევს, მაგრამ სიმართლისა და ობიექტურობის მსახურებისთვის არასოდეს უღალატია. მეათე წლისთავზე „საქართველო და მსოფლიომ“ დიდი დანაკლისი განიცადა, სრულიად მოულოდნელად დაკარგა გაზეთის მთავარი რედაქტორი, უნიჭიერესი ჟურნალისტი ირაკლი თოდუა...**

**საინტერესოა, რას ფიქრობს გაზეთის მკითხველი ჩვენზე, რას ფიქრობენ ჩვენი რესპონდენტები ჩვენ მიერ განვლილ გზაზე. გაზეთის პატივისმცემელთა არმია ძალიან დიდია, გამოცემის ფორმატი ვერ დაიტევს ყველა მათგანის მოლოცვას, მაგრამ რამდენიმე ადამიანის გულწრფელ სიტყვებს მაინც შემოგთავაზებთ.**

**«ჩემ გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც ოთხშაბათს ელოდებიან, ელოდებიან, რათა «საქართველო და მსოფლიო» შეიძინონ და შეიტყონ სიმართლე, სიმართლე საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ. დიახ, ეს ლიტონი სიტყვები არ არის, თქვენ ახერხებთ ისევე გააშუქოთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, როგორც საქართველოსი»**



## „წერთ სიმართლეს, წერთ იმას, რასაც ვამბობ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წერთ ყველაფერზე“

**მერაბ ბლადაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი:**

— მოთხოვნად იქცა საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება, სამწუხაროდ, ბევრი გაზეთი ისე ავრცელებს სტატიასა თუ ინტერვიუს, რომ მე, როგორც რესპონდენტი, ხშირად იძულებული ვყოფილვარ, „ახსნა-განმარტება“ გამეკეთებინა და საზოგადოება დამერწმუნებინა, რომ, რაც იქ წერია, არ მითქვამს. ეს ძალიან ცუდია...

პატივს ვცემ თქვენს გაზეთს იმიტომ, რომ სიმართლეს წერთ და არ „მეშინია“ ინტერვიუს მიცემა „საქართველო და მსოფლიოსთვის“. წერთ სიმართლეს, წერთ იმას, რასაც ვამბობ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წერთ ყველაფერზე... გისურვებთ წარმატებებსა და წინსვლას!



## „საქართველო და მსოფლიო“ მართალი გაზეთია“

**ზურაბ კვარაცხელია, მოძრაობა „სამეგრელოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი:**

— უწინარესად, დიდი მადლობა რედაქციას, რომ მეძლევა შესაძლებლობა, გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება გაზეთის მიმართ. მინდა გითხრათ, რომ წლებია „საქართველო და მსოფლიოს“ მუდმივი მკითხველი ვარ და ყოველ ოთხშაბათს მოუთმენლად ველოდები მის ახალ ნომერს. გაზეთს უკვე 10 წელი შეუსრულდა. 10 წელია, საქართველოში „საქართველო და მსოფლიოს“ სახით არსებობს გაზეთი, რომელიც უდავოდ არის ფლაგმანი ქართულ ბეჭვდით მედიასივრცეში. თუ რატომ მიმაჩნია „საქართველო და მსოფლიო“ ქართული მედიასივრცის ფლაგმან გაზეთად, შევეცდები, ლაკონურად ავხსნა: ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებზე ორიენტირებულია, ინფორმაციულ-ანალიტიკურია, თემატურად მრავალფეროვანია, გაზეთის ფურცლებზე გაშუქებული თემატიკა უაღრესად აქტუალურია... ბოლოს და ბოლოს, მაღალპროფესიონალურია.

მართალი გაზეთია „საქართველო და მსოფლიო“ და სწორედ ამაშია ამ გაზეთის უმთავრესი ხიბლიც და ღირსებაც. სამწუხაროდ, ქართულ მედიასივრცეში დეფიციტია სიმართლის და, ამ სავალალო მოცემულობაში მით უფრო მნიშვნელოვანია და დასაფასებელიც, რომ არსებობს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — საზოგადოებრიობის ინფორმირებას ერთი და ორი გაზეთი რომ ვერ გასწვდება, აქსიომაა, მაგრამ ქვეყანაში, ასე თუ ისე, ამჟამად არსებობს საზოგადოების მეტ-ნაკლებად მაინც სწორად ორიენტირებული და არადეზორიენტირებული ნაწილი. ეს კი, მნიშვნელოვანია სტრატეგიული თვალსაზრისითაც, რადგან მომავალში ჩვენ გავხდებით მოწმენი იმისა, რომ სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე ეს იქნება უაღრესად საჭიროც და გამოსადეგიც. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ გათვითცნობიერებული ადამიანები იტყვიან გადამწყვეტ სიტყვას საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის საკრალურ საქმეში. აი, ამ კონტექსტშიც უნდა დავინახოთ ჩვენ ქვეყნის მომავლის წინაშე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სარედაქციო კოლექტივის ისტორიული მნიშვნელობა. შემხვედრია ბევრი ადამიანი, რომლებსაც უთქვამთ: მადლობა ღმერთს, ეს გაზეთი მაინც რომ არსებობს ერთ-ორ გაზეთთან ერთად, თორემ სრულ წკვარამში ვიქნებოდითო. მსურს, მივულოცო „საქართველო და მსოფლიოს“ კოლექტივს ათი წლისთავი და ვუსურვო შემდგომშიც ასეთივე შემართებით ელვაწოთ მამულის საკეთილდღეოდ!

**«თუ რატომ მიმაჩნია «საქართველო და მსოფლიო» ქართული მედიასივრცის ფლაგმან გაზეთად, შევეცდები, ლაკონურად ავხსნა: ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებზე ორიენტირებულია, ინფორმაციულ-ანალიტიკურია, თემატურად მრავალფეროვანია, გაზეთის ფურცლებზე გაშუქებული თემატიკა უაღრესად აქტუალურია... ბოლოს და ბოლოს, მაღალპროფესიონალურია»**



## „საქართველო და მსოფლიო“ არის გაზეთი, რომელსაც კითხულობს ყველა, ვისაც სიმართლის გაგება უნდა“

**ვახტანგ გვარამია, გენერალ-მაიორი:**

— ათი წელიწადი გაზეთისთვის არ არის დიდი დრო, მაგრამ თქვენ უკვე შეძელით, მიგეღწიათ წარმატებისთვის. „საქართველო და მსოფლიო“ არის გაზეთი, რომელსაც კითხულობს ყველა, ვისაც აზროვნება შეუძლია, ყველა, ვისაც სიმართლის გაგება უნდა. წერთ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც საღად მოაზროვნე საზოგადოების ნაწილს აინტერესებს, ალტერნატიულ ინფორმაციას სთავაზობთ ქართველს საზოგადოებას. გახსოვთ წარსული, ფიქრობთ მომავალზე და რეალურად აშუქებთ აწმყოს.

ჩემ გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც ოთხშაბათს ელოდებიან, ელოდებიან, რათა „საქართველო და მსოფლიო“ შეიძინონ და შეიტყონ სიმართლე, სიმართლე საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ. დიახ, ეს ლიტონი სიტყვები არ არის, თქვენ ახერხებთ ისევე გააშუქოთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, როგორც საქართველოსი.

უაღრესაც გონიერი, საქმეში გათვითცნობიერებული, ნიჭიერი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი ხართ. საქმე იცით და რესპონდენტებიც შესაბამისად საქმის მცოდნე და საინტერესო გყავთ. არასოდეს წამიკითხავს თქვენს გაზეთში არაპროფესიონალური, საფუძველსმოკლებული ინფორმაცია და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საქმის არსში კარგად ერკვევით. ზუსტად სვამთ აქცენტებს, იცით, რა არის კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, რა აინტერესებს ხალხს — ეს თითქმის შესისხლხორცებული გაქვთ.

წარმატებებს გისურვებთ. ვიცი, ბევრი დაბრკოლება გაქვთ, მაგრამ უძლებთ, რადგან იცით, რომ მართალ საქმეს აკეთებთ და, რაც მთავარია, გწამთ იმის, რასაც აკეთებთ.

გისურვებთ ბევრ ერთგულ მკითხველს, რომლებიც ისედაც არ გაკლიათ.



## „კვლავაც პირუთვნელად გაგვეშუქებინოთ საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები!“

**გულბაათ რცხილაძე: „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— კარგად მახსოვს, რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ პირველი ნომერი 2009 წელს გამოვიდა, გამიხარდა, რომ ისეთი გაზეთი გამოიცა პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელიც პასკვილებს არ ავრცელებს მეზობელი სახელმწიფოს მიმართ, არამედ ცდილობს, ანალიზი გაუკეთოს მოვლენებს და პრობლემების არსი გამოავლინოს. „საქართველო და მსოფლიომ“ იმთავითვე კეთილშობილური მიზანი დასახა — აღდგეს მეგობრობა და ურთიერთგაგება საქართველოსა და რუსეთს შორის, გააზრებულ იქნას საქართველოს ეროვნული ინტერესები, საქართველოს ფუნქცია და როლი მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში. ოდნავ მოგვიანებით შევიტყე, რომ „საქართველო და მსოფლიო“ ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის, პატრიოტისა და დიდად პატივცემული პიროვნების — **ალექსანდრე ჭაჭიას** თაოსნობით დაარსებულა. ბატონმა ალექსანდრემ იმთავითვე სრულიად ახალი, თავისუფალი სარედაქციო პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა შემოქმედებით კოლექტივს, რაც დღემდე გრძელდება. გაზეთის დაარსებიდან მალე გავიცანი ეს კოლექტივი და გამომცემლები. დიდი სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის ქვეშ გმინავდა. ეს იმიტომ, რომ იყო ერთი მიზანი, ნდობა ადამიანებს შორის და შესაბამისად, ოპტიმისტური განწყობა. რედაქციაში ჩემს კოლეგებთან ურთიერთობის არც ერთი ეპიზოდი არასდროს დამხვედრია წინ ცუდად. ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ წარმოუდგენელი იქნებოდა შესანიშნავი პროფესიონალის, ახალგაზრდა და ენერგიული რედაქტორის — **ირაკლი თოდუას** გარეშე. მას ყოველთვის ჰქონდა საკუთარი მოსაზრება, ყოველთვის კრიტიკული თვალით კითხულობდა გამოსაქვეყნებელ მასალებს. უდიდესი დანაკლისია ირაკლის მოულოდნელი გარდაცვალება, გარდა იმისა, რომ უდიდესი ადამიანური ტრაგედიაა. ვფიქრობ, რომ გაზეთის რედაქციის ამჟამინდელი შემადგენლობა კვლავაც გააგრძელებს აწ განსვენებული მთავარი რედაქტორის მიერ დანერგილ საუკეთესო ჟურნალისტურ ტრადიციებს.

ჩემს კოლეგებს ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს, კვლავაც პირუთვნელად გაგვეშუქებინოთ საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები!



## „ვისურვებ, უფრო ღრმად ჩაგვეხედოთ ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრებაში“

**მერაბ ზურაბაშვილი, გურჯაანის მკვიდრი, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ აქტიური მკითხველი:**

— გილოცავთ გაზეთის დაარსებიდან 10 წლისთავს! თუკი ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის ვინმე რამეს აკეთებს ამ ქვეყანაში, ეს თქვენი გაზეთი „საქართველო და მსოფლიოცაა“. მინდა ისიც ▶

იუბილე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის ვინმე რამეს აკეთებს ამ ქვეყანაში, ეს თქვენი გაზეთი „საქართველო და მსოფლიოცაა“. ვისურვებ, უფრო ღრმად ჩაგეხედოთ ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრებაში, რადგან ქართველი გლეხის შრომამ უნდა შექმნას ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ფეხზე დააყენებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ ყველაზე მტკივნეულ საკითხზე აქტიურად წეროს „საქართველო და მსოფლიომ“, გაზეთმა, რომლის გამოსვლასაც ყოველ ოთხშაბათს, ჩვენ, მშრომელი ხალხი, სულმოუთქმელად ველოდებით.**

**«მინდა, როგორი ფლაგმანებიც იყავით ჩვენი ყოფის მანკიერებათა მხილებაში, ასეთივე ფლაგმანები დარჩეთ ამ მანკიერებათა გამომწვევი მიზეზების მხილებაშიც, რაც საზოგადოების კონსოლიდაციისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა. მწამს, ერისა და ქვეყნისთვის ამ უკიდურესად გაუსაძლისი ყოფისა და ძნელბედობის ჟამს კვლავ უკომპრომისოდ დაიცავთ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს»**




გითხრათ, რომ მიუხედავად თქვენი დიდი ძალისხმევისა, დაუღალავი შრომისა, ეს საკმარისი არ არის. ვისურვებ, უფრო ღრმად ჩაგეხედოთ ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრებაში, რადგან ქართველი გლეხის შრომამ უნდა შექმნას ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ფეხზე დააყენებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ ყველაზე მტკივნეულ საკითხზე აქტიურად წეროს „საქართველო და მსოფლიომ“, გაზეთმა, რომლის გამოსვლასაც ყოველ ოთხშაბათს, ჩვენ, მშრომელი ხალხი, სულმოუთქმელად ველოდებით. ქვეყნის გადარჩენა მშრომელ გლეხს შეუძლია და ამიტომ მინდა, ამ საკითხებით უფრო მეტად დაინტერესდეთ; მეტად ჩაერთოთ სოფლის ცხოვრებაში, გახვიდეთ რაიონებში, აღწეროთ სოფლად მცხოვრები ადამიანების ყოფა. სოციალურ თემებზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილება გაცილებით დიდ პოპულარობას მოგიტანთ, ყველას ოჯახში შეაღწევთ, შვებას მოჰგვრით უბრალო ხალხს. ჯერ კიდევ გლეხის შრომაზე დგას საქართველო, ეს თქვენ არ გესწავლებათ და ამიტომაც ვამბობ თქვენთან. მინდა, ისეთ წარმატებას მიაღწიოთ, რომ იყოთ ყველგან და ყველასთან.

ყველა გაზეთი თუ ტელევიზია ვიღაცის ინტერესების გატარებით არის დაკავებული, ისინი მხოლოდ, გარყვნილებზე და წყალწაღებულებზე საუბრობენ, ამიტომ თქვენი იმედი გვაქვს, რომ მშრომელი ხალხის ინტერესებს დაიცავთ, გისურვებთ წარმატებებს გურჯაანში მცხოვრები თქვენი გაზეთის ყველა გულშემატკივრის სახელით.



## „ძალიან თავისუფლები ხართ, ასე განაგრძეთ!“

**რამაზ გერლიანი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი:**

— გილოცავთ 10 წლისთავს! ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი, რადგან უყურადღებოდ დეტალსაც კი არ ტოვებთ. გაქვთ კრიტიკული შენიშვნები, სწორად სვამთ აქცენტებს, შეკითხვებს, რაც თქვენს მაღალპროფესიონალიზმზე მეტყველებს. ძალიან თავისუფლები ხართ, ასე განაგრძეთ!.. არის საკითხები, რომლებზე საუბარსაც ხშირად ბევრი გაზეთი და ტელევიზია თავს არიდებს, მაგრამ თქვენ ინტერესდებით. იყო ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც სხვას უმნიშვნელოდ მოეჩვენა, მაგრამ თქვენ წარმოაჩინეთ მნიშვნელოვნად და საზოგადოების ყურამდე მიიტანეთ. ამ სიტყვებს ჰაერზე არ ვამბობ, ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. ასე რომ, მთელი გულით მინდა წარმატება გისურვოთ. მკითხველი არ მოგკლებოდეთ, იყავით მართალი, როგორიც დღეს ხართ, დარჩით ობიექტურები. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. კიდევ ბევრი საიუბილეო თარიღი მოელოცოს ქართველ მკითხველს „საქართველო და მსოფლიოსთვის“.

**«არის საკითხები, რომლებზე საუბარს ხშირად ბევრი გაზეთი და ტელევიზია თავს არიდებს, მაგრამ თქვენ ინტერესდებით. იყო ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც სხვას უმნიშვნელოდ მოეჩვენა, მაგრამ თქვენ წარმოაჩინეთ მნიშვნელოვნად და საზოგადოების ყურამდე მიიტანეთ. ამ სიტყვებს ჰაერზე არ ვამბობ, ეს საკუთარ თავზე გამოვცადე»**



## „მემკვიდრე წარსულისა, სარკე დღევანდელობისა და ორიენტირი მომავლისა — ესაა „საქართველო და მსოფლიო“

**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

ათი წელი გასულა... ისტორიისთვის წამია, გაელვებაა ათი წელი, ადამიანისთვის სერიოზული მონაკვეთია ცხოვრებისა, გაზეთისთვის კი ეპოქაა მთელი.

ეპოქა, არა მხოლოდ ბრძოლით გამოვლილი, არამედ ბრძოლით შექმნილი და მოპოვებული. ეპოქა — მის მიერ წაკითხული და მასშივე წასაკითხი — ესაა „საქართველო და მსოფლიო“.

სახელი კარგად მიგნებული და კარგად მორგებული. საქართველო არამხოლოდ შიგნიდან, საკუთარი ნაჭუჭიდან დანახული, არამედ მსოფლიო კონტექსტში განხილული, გარე სამყაროსთან შესაბამისობაში აღწერილი და გააზრებული — ესაა „საქართველო და მსოფლიო“.

გაზეთი მამხილებელი, გაზეთი მებრძოლი, გაზეთი მეამბოხე, გაზეთი მედროშე, გაზეთი წინამძღოლი — ესაა „საქართველო და მსოფლიო“.

შექმნილი მატიანე, გაზეთის ნომრებსა და წიგნებში განივთებული ისტორია ეპოქისა — ესაა „საქართველო და მსოფლიო“. მემკვიდრე წარსულისა, სარკე დღევანდელობისა და ორიენტირი მომავლისა — ესაა „საქართველო და მსოფლიო“.

გუნდი ბრძოლაში ნაწრთობი, გამოცდილ-გამობრძმედილი, ზოგი ათი წლით გაზრდილი, ზოგი ათი წლით შებერებული, მაგრამ დაუღლელი, კვლავაც შემართული, კვლავაც ერის სადარაჯოზე მდგარი — ესაა „საქართველო და მსოფლიო“.

ტკივილიანი ათი წელი, ბრძოლის ველზე დაცემული ახალგაზრდა ლიდერი **ირაკლი თოდუა.** გული, უსამართლობასთან ბრძოლაში გახეთქილი და გაჩერებული — ესაა „საქართველო და მსოფლიო“.

ისტორიისთვის წამია, გაელვებაა ათი წელი, ადამიანისთვის სერიოზული მონაკვეთია ცხოვრებისა, გაზეთისთვის ეპოქაა, საუკუნეა მთელი.

მრავალსაუკუნოვანი სიცოცხლე „საქართველო და მსოფლიოს“. წარმატებები თქვენ, ძვირფასო კოლეგებო!

**«გამიხარდა, რომ ისეთი გაზეთი გამოიცა პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელიც პასკვილებს არავრცელებს მეზობელი სახელმწიფოს მიმართ, არამედ ცდილობს, ანალიზი გაუკეთოს მოვლენებს და პრობლემების არსი გამოავლინოს. «საქართველო და მსოფლიომ» იმთავითვე კეთილშობილური მიზანი დასახა — აღდგეს მეგობრობა და ურთიერთგაგება საქართველოსა და რუსეთს შორის, გააზრებულ იქნას საქართველოს ეროვნული ინტერესები, საქართველოს ფუნქცია და როლი მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში. ოდნავ მოგვიანებით შევიტყე, რომ «საქართველო და მსოფლიო» ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის, პატრიოტისა და დიდად პატივცემული პიროვნების — ალექსანდრე ჭაჭიას თაოსნობით დაარსებულა»**



## „თქვენ მოიპოვეთ სიმართლისათვის მებრძოლი, ეროვნული სულისკვეთების მქონე გაზეთის სახელი და ხალხის დამსახურებული სიყვარული და პატივისცემა“

**ტარიელ სუხიაშვილი, თბილისის მკვიდრი, „გაზეთ საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი:**

— გულით გილოცავთ გაზეთის დაარსებიდან 10 წლისთავს. ამ მცირე დროის განმავლობაში თქვენ მოიპოვეთ სიმართლისათვის მებრძოლი, ეროვნული სულისკვეთების მქონე გაზეთის სახელი და ხალხის დამსახურებული სიყვარული და პატივისცემა, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ ძნელბედობის გამო გადახვეწილ თანამემამულეთა შორის. ისინი, ალბათ, ვერ მოახერხებენ, მოგილოცონ და ამიტომ მათი სახელითაც გილოცავთ. მათი სახელითაც მინდა თქვენ შემოქმედებით კოლექტივს ვუსურვო ჯანმრთელობა, სულის სიმხნევე და ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

მინდა, როგორი ფლაგმანებიც იყავით ჩვენი ყოფის მანკიერებათა მხილებაში, ასეთივე ფლაგმანები დარჩეთ ამ მანკიერებათა გამომწვევი მიზეზების მხილებაშიც, რაც საზოგადოების კონსოლიდაციისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა. მწამს, ერისა და ქვეყნისთვის ამ უკიდურესად გაუსაძლისი ყოფისა და ძნელბედობის ჟამს კვლავ უკომპრომისოდ დაიცავთ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს.



## „საქართველო და მსოფლიო“ მართალი გაზეთი იყო ყოველთვის და ასეთია დღესაც“

**გიორგი გოგოლაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— აღარც კი მახსოვს, თქვენს გაზეთთან პირველი შეხვედრა როდის მქონდა... თურმე ათი წელიწადი გასულა... თქვენ ახალდაარსებულები იყავით და ძალიან მომეწონეთ. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო იყო ის, რომ ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობდი, და გაზეთი ბეჭდავდა იმას, რასაც ვამბობდი. სამწუხაროდ, ეს ყველგან და ყოველთვის არ ხდება, ამას თქვენ აკეთებთ. საბედნიეროდ, „საქართველო და მსოფლიო“ მართალი გაზეთი იყო ყოველთვის და ასეთია დღესაც. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც მაინტერესებდა: განათლება, მეცნიერება, სკოლა თუ უმაღლესი სასწავლებელი, თქვენც გაინტერესებდათ. თქვენ მეცნიერებთან ერთად უდიდესი წვლილი შეიტანეთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლაში დაბრუნების საქმეში.

მიხარია, რომ ისეთი პროფესიული ტრიბუნიდან, როგორიც „საქართველო და მსოფლიოა“, ვესაუბრები ჩვენს მკითხველს.

მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, გისურვებთ წარმატებებსა და გამარჯვებებს ამგვარივე შემართებითა და ამგვარივე სიმართლით!

„რით არის განპირობებული ამ გაზეთის პოპულარობა და სანდოობა საზოგადოებაში? ამას, უწინარესად, თქვენი კოლექტივის პროფესიონალიზმი, მაღალი დონის სტატიები და ანალიტიკური წერილები განაპირობებს. რაც მთავარია, თქვენთან არ ქვეყნდება ჭორებზე აგებული, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი მასალები, რაც, სამწუხაროდ, დღეს ქართულ მედიაში და განსაკუთრებით პრესაში, ხშირია. გაზეთს აქვს აკადემიური სტილი, სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, რომლებიც რეიტინგის ასაწევად ყველა ხერხს მიმართავენ“.

იუბილე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველო და მსოფლიო» 10 წლისაა!



## „საზოგადოებას ყოველთვის აწვდით მოვლენების სწორ და სიღრმისეულ ანალიზს“

**ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე:**

— დღევანდელ ვითარებაში, როცა საინფორმაციო ველის უდიდესი ნაწილი მონოპოლიზებულია ერთი იდეოლოგიის მიერ და განსხვავებული თვალსაზრისის მქონე სუბიექტები სრულ მედიაბლოკადაში იმყოფებიან, ეს გაზეთი არის ძალიან მნიშვნელოვანი. რაც მთავარია, საზოგადოებას ყოველთვის აწვდით მოვლენების სწორ და სიღრმისეულ ანალიზს, ზუსტ ფაქტებსა და შეფასებებს, რაც, რა თქმა უნდა, დასაფასებელია. სწორედ ამიტომ ჰყავს ამ გაზეთს თავისი ერთგული მკითხველი და მჯერა, მომავალში უფრო მეტიც გეყოლებათ. გილოცავთ ათი წლის იუბილეს და წარმატებებს გისურვებთ! ვფიქრობ, მომავალი სწორედ თქვენნაირ სამართლიან და ობიექტურ გაზეთებს აქვთ.



## „ეს არის ერთ-ერთი გამორჩეული გაზეთი“

**ლევან ჩაჩუა, პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე:**

— გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ერთ-ერთი გამორჩეული გაზეთი იმ ღირსეულ და ობიექტურ მედიასაშუალებებს შორის, რომლებშიც კონსერვატიული მოსაზრებების მქონე ადამიანებს შეუზღუდავად ეძლევათ თავიანთი პოზიციების გამოხატვის საშუალება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამ თვალსაზრისით „საქართველო და მსოფლიო“ ნამდვილად არის მოწინავე გაზეთი დღევანდელ რეალობაში. გილოცავთ იუბილეს და წარმატებებთან ერთად, მინდა, გამძლეობაც გისურვოთ! ღმერთმა კიდევ დიდხანს მოგქცეთ იმ ჭეშმარიტი საქმის კეთების საშუალება, რომელსაც, უკვე 10 წელია, ღირსეულად ემსახურებით.



## „საინფორმაციო საშუალება, რომელიც ჭეშმარიტებას ემსახურება“

**მამა გიორგი (რაზმაძე), ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი:**

— გილოცავთ ათი წლის იუბილეს და ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ! ათი წელი ღირსეულად აკეთეთ, რაც უნდა გეკეთებინათ, და კვლავაც განაგრძეთ ინფორმირება ქართველი საზოგადოების. ჩემს დამოკიდებულებას რაც შეეხება, თქვენ კარგად იცით, რომ განსაკუთრებულია ჩემთვის ეს გაზეთი. არ არის მარტივი დღევანდელ დროში, სიმართლეს ემსახურო და თქვენ, ფაქტობრივად, ერთადერთი საინფორმაციო საშუალება ხართ, რომელიც ჭეშმარიტებას ემსახურება. ჭეშმარიტების სამსახურში კი ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. უფალი შეგეწიოთ!



## „ეს გაზეთი ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს“

**აკაკი ასათიანი, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ თავმჯდომარე:**

— გილოცავთ! ათი წელი საკმაოდ დიდი დროა და ეს პერიოდი ღირსეულად გაიარეთ. რაც შეეხება კონკრეტულ მიმართულებებს, ვთვლი, რომ ეს გაზეთი ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს იმით, რომ, განსხვავებით ძირითადი მიმდინარეობისგან, სწორი პოზიცია უკავია და ცდილობს, ობიექტურად გააშუქოს ჩვენი და რუსეთის ურთიერთობები. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, იმიტომ, რომ დღევანდელ ვითარებაში ეს მიმართულება ან უკანა პლანზეა გადაწეული, ან, თუ შუქდება, მხოლოდ ერთ კონტექსტში... გისურვებთ, რომ ასეთივე შემართებით გაგეგრძელებინოთ საქმიანობა და ღირსეულად გეკეთებინოთ თქვენი საქმე. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს!



## „გაზეთის პოპულარობა განპირობებულია კოლექტივის პროფესიონალიზმით“

**ანზორ თოთაძე, დემოგრაფი, პროფესორი:**

— მე, როგორც თქვენი აქტიური მიკითხველი, გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთი შესანიშნავი გაზეთია. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის და ყველა, ვისაც კი რამე შეხება აქვს ბეჭდურ მედიასთან, ამას აღიარებს. რით არის განპირობებული ამ გაზეთის პოპულარობა და სანდოობა საზოგადოებაში? ამას, უწინარესად, თქვენი კოლექტივის პროფესიონალიზმი, მაღალი დონის სტატიები და ანალიტიკური წერილები. რაც მთავარია, თქვენთან არ ქვეყნდება ჭორებზე აგებული, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი მასალები, რაც, სამწუხაროდ, დღეს ქართულ მედიაში და განსაკუთრებით პრესაში, ხშირია. გაზეთს აქვს აკადემიური სტილი და, განსხვავებით სხვა მედიასაშუალებებისგან, რომლებიც რეიტინგის ასაწევად ყველა ხერხს მიმართავენ, პროვოკაციებზე არ ხართ ორიენტირებული. საერთოდ, ამ გაზეთს სხვებისგან მკვეთრად გამოარჩევს ის, რომ ბულვარული არ არის. რასაც წერთ, ყოველთვის დაზუსტებულია. ვფიქრობ, ამ 10 წლის განმავლობაში იმაზე გაცილებით მეტი შევძელით, ვიდრე შეიძლებოდა, წარმოგვედგინათ. ვიცი, იყო წინააღმდეგობები, წნეხი და ზეწოლა, მაგრამ თქვენ ამ ყველაფერს ღირსეულად გაუძელით. ალბათ, იმიტომ, რომ ყოველთვის გრძნობთ საზოგადოების თანადგომას, და მთავარი — იმიტომ, რომ სიმართლეს ემსახურებით. გისურვებთ წარმატებებს, სიკეთესა და მხნეობას, კიდევ დიდხანს შეგწევდეთ ძალა სიმართლის მსახურების! ძალიან დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებთ. გილოცავთ იუბილეს და ვუერთდები თქვენს სიხარულს. ასი წლის იუბილეც გეზეიმოთ!



## „გაზეთი, რომელიც მკითხველს კვალიფიციურ ანალიტიკას სთავაზობს“

**გურამ ნიკოლაიშვილი, გენერალ-ლეიტენანტი:**

— არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ დღეს „საქართველო და მსოფლიო“, ფაქტობრივად, ერთადერთი გაზეთია, რომელიც მკითხველს მაღალი დონის, კვალიფიციურ ანალიტიკას სთავაზობს. მეტიც, ვფიქრობ, ეს დიდწილად ნიშაც კია ამ გაზეთის. ამასთანავე, ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მკითხველისთვის, მნიშვნელოვანია, რომ გაზეთი არის აკადემიური. აქ წაშლილი არ არის ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფას, მხილებასა პიროვნულ დონეზე შეხებას შორის, რაც ზოგიერთ მედიასაშუალებაში არაა დაცული, ამიტომ არის (და არა მხოლოდ ამიტომ) ჩემთვის, ისევე, როგორც უამრავი ადამიანისთვის, ეს გაზეთი გამორჩეული. გილოცავთ იუბილეს და ვისურვებდი, რომ სულ ასეთი შემართებით ყოფილიყავით. გფარავდეთ ღმერთი. გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს!



## „საქართველო და მსოფლიომ“ ქართულ ბეჭდურ მედიაში შექმნა მაღალი სტანდარტი“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, უფლებადამცველი:**

— არ შემიძლია, მილოცვა არ დავიწყო თქვენი აწ განსვენებული მთავარი რედაქტორისა და არაჩვეულებრივი პიროვნების, ირაკლი თოდუას, გახსენებით, რომელიც დღესაც უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული ამ გაზეთთან. მან, ფაქტობრივად, ეპოქა შექმნა ბეჭდურ მედიაში და, თუ ჩვენ დღეს ვსაუბრობთ იმაზე, რომ „საქართველო და მსოფლიოს“ გააჩნია მართლაც დამსახურებული რეიტინგი და სარგებლობს პოპულარობით საზოგადოებაში, ლომის წილი ამ საქმეში მიუძღვის სწორედ ირაკლი თოდუას. აი, ამ ყველაფრიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ გაზეთის შემდგომი პერიოდი უკვე იქნება კიდევ უფრო საპასუხისმგებლო, რადგან ის, რასაც წლების განმავლობაში მიაღწია ამ გამოცემამ, იყო ერთგვარი პიკი. რაც შეეხება ავტორიტეტს, შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ერთ-ერთი გამორჩეული გაზეთი, რომელსაც, მიუხედავად გამუდმებული პროპაგანდისტული შეტევებისა და გამარგინალების მცდელობისა, ვერავინ უწოდა ტაბლოიდი. ცხადია, ამაში არის თითოეული თქვენგანის წვლილი და, რომ არა ის მაღალი პროფესიონალიზმი, რომლითაც თქვენ გამოირჩევით, აქამდე, ალბათ, ვერც მოხვიდოდით. „საქართველო და მსოფლიომ“ ქართულ ბეჭდურ მედიაში შექმნა მაღალი სტანდარტი. ამისთვის დიდი მადლობა თქვენს კოლექტივს. ვისურვებ, რომ სხვებისთვისაც სამაგალითო ყოფილიყოს ეს ყველაფერი. გილოცავთ იუბილეს!



## „მედიასაშუალება, რომელშიც ყოველთვის თავისუფლად შეიძლება ადამიანმა გამოთქვას თავისი მოსაზრებები ეკლესიურ, ზნეობრივ და ეროვნულ საკითხებზე“

**მამა დავითი (ისაკაძე), წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი:**

— ეს საკმაოდ სოლიდური გაზეთია თავისი ანალიტიკური სიღრმეებით, ობიექტურობითა და არატენდენციურობით, როგორიც უნდა იყოს, საერთოდ, მედიასაშუალება. რაც მთავარია, ის არის მედიასაშუალება, რომელშიც ყოველთვის თავისუფლად შეიძლება ადამიანმა გამოთქვას თავისი მოსაზრებები ეკლესიურ, ზნეობრივ და ეროვნულ საკითხებზე. საერთოდ, ჩვენს დროში ამას ნაკლები ყურადღება ექცევა მედიაში და სასიხარულოა, რომ თქვენ ამ მხრივ ხშირად აძლევთ ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებს თავიანთი თვალსაზრისის გამოხატვის საშუალებას. ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ, კიდევ მრავალი წელი გემსახუროთ ღვთისა და ერის სადიდებლად!



## „ეს გაზეთი ღიაა ყველასთვის. განსაკუთრებით ეროვნული სულისკვეთების მქონე ადამიანებისთვის, სასულიერო პირებისა და რიგითი მოქალაქეებისთვისაც“

**თემურ ჩალაბაშვილი, პოეტი:**

— მე, როგორც თქვენი ერთგული მკითხველი, თამამად ვიტყვი, რომ საუკეთესო და გამორჩეული გაზეთია. გამორჩეული არა მხოლოდ იმით, რომ სიმართლეს ემსახურებით, არამედ იმითაც, რომ ყოველთვის საინტერესოდ აწვდით მკითხველს სიმართლეს. საერთოდ, ერთია, რაღაც მოვლენა ობიექტურად გააშუქო, ამბავი მოყვე და გადმოსცე, მაგრამ, მეორეა, როგორ და რა ფორმით ახერხებ ამ ყველაფერს. თქვენ ამას განსხვავებულად აკეთებთ. ამბავთან ერთად ყოველთვის გაქვთ ხოლმე ანალიზი და შეფასება, მოვლენების ქრონოლოგია და პარალელები, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ეს გაზეთი ღიაა ყველასთვის. განსაკუთრებით ეროვნული სულისკვეთების მქონე ადამიანებისთვის, სასულიერო პირებისა და რიგითი მოქალაქეებისთვისაც კი. არ არსებობს, ფაქტობრივად, საკითხი, მოვლენა და ამბავი, რომელსაც თქვენ არ ეხებით და ეხმაურებით... არ შემიძლია, არ გავიხსენო თქვენი აწ განსვენებული რედაქტორი, უნიჭიერესი და უბრწყინვალესი პიროვნება ირაკლი თოდუა. ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

გილოცავთ ჟურნალისტებს, ხელმძღვანელობას, დამფუძნებლებს, სარედაქციო კოლეგიას, წარმატებებს გისურვებთ. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი!

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ილია ჭავჭავაძეს პრესის საპატიო ამოცანად მიაჩნდა საზოგადოებრივი ზნეობის გაუმჯობესება, პიროვნების უფლებათა დაცვა, ოჯახის განმტკიცება. ამ მხრივ ჩვენი გაზეთიც ხმალამოღებული იცავს ეროვნულ ტრადიციებს, ებრძვის ქართველი ერის ცხოვრებაში ყოველგვარი უმსგავსობის დამკვიდრებას — იქნება ეს ნარკომანიის ლეგალიზება თუ ქვეყნის ლგბტ-ზაცია, მომავალი თაობისთვის ტვინის გამორეცხვა, განათლების დაკნინება და ა.შ.**



## „საქართველოს და მსოფლიო" — გაზეთი გონიერი მკითხველისთვის

**ბონდო მძინარაშვილი, ტელერადიოკომპანია „ობიექტივის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი:**

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" 10 წლისაა. ამ ათ წელიწადში ნათლად გამოჩნდა, როგორ აკლდა ქართულ პრესას სერიოზული ჟურნალისტური ანალიზი და პუბლიცისტიკა. სწორედ ეს ნიშა დაიკავა „საქართველო და მსოფლიომ" და იმთავითვე მიიქცია გონიერი მკითხველის ყურადღება. გაზეთი ნომრიდან ნომრამდე იხვეწებოდა და მისი მთავარი რედაქტორის — ირაკლი თოდუასა და რედაქციის თანამშრომლების თუ ავტორების მაღალი პროფესიონალიზმის დასტურს კვირაში ერთხელ ეცნობოდა აუდიტორია, რომელიც არა მხოლოდ ერთგული მკითხველი, არამედ დიდი გულშემატკივარიც იყო და არის დღესაც.

„საქართველო მსოფლიო" ახლა უკვე უპირობოდ ავტორიტეტული გამოცემაა, მის მიმართ მკითხველთა პატივისცემას კი რედაქციის თანამშრომელთა დიდი შრომა და პასუხისმგებლობა განაპირობებს. დარწმუნებული ვარ, 10 წლის წინათ ერთ პატარა ოფისში დაწყებული დიდი საქმე წარმატებით გაგრძელდება. ამ წარმატების მიმართ პოზიტიურ მოლოდინს განაპირობებს ჩემი ემოციური დამოკიდებულება გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსა" და მისი რედაქციის თანამშრომლების მიმართ. ამ ემოციას ღრმა საფუძველი აქვს, რადგან ათი წლის წინათ სწორედ ამ გაზეთში მომეცა ჩემი პროფესიული შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება, როცა, როგორც იტყვიან, დროებით უმუშევარს, ირაკლი თოდუამ დამირეკა და სამსახური შემომთავაზა. ეს დღე უმნიშვნელოვანესია ჩემს ცხოვრებაში. სწორედ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" გამოცემით დასრულდა ჩემი იძულებითი დასვენება, რომელიც მეც და ჩემსავით ათეულობით ჟურნალისტს მოგვისაჯა ნაცრეჟიმმა.

ახლა, ამ გადასახედიდან, კიდევ უფრო ვაფასებ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციაში გატარებულ თითოეულ წუთს, რადგან ის წლები მხოლოდ პროფესიული თვითგამოხატვისთვის არ დაგვიხარჯავს, გაზეთის გამომცემელთან ერთად სერიოზულ ბრძოლაში ვიყავით ჩაბმული და ჩვენ ეს ბრძოლა მოვიგეთ! თუმცა ომი არ დამთავრებულა, ომი ჩვენი სამშობლოს — საქართველოს გადასარჩენად!

**წარმატებებს გისურვებთ, კოლეგებო!**

## «ღმერთმა შეგაძლებინოთ, რომ დიდხანს ემსახუროთ ქვეყანას»



**მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე), სოფელ დილმის წმინდა მარინეს ეკლესიის მოძღვარი:**

— 10 წელია, ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებთ. ღმერთმა შეგაძლებინოთ, რომ დიდხანს ემსახუროთ ქვეყანას. ჟურნალისტობა არ არის იოლი პროფესია, ამიტომ, რაკი უფალმა იმის ნიჭი მოგცათ, რომ ელაპარაკოთ ხალხს, გისურვებთ, ყოველთვის სიმართლისა და ჭეშმარიტების გზაზე გევლოთ. მაშინ გექნებათ სიყვარული ხალხისგან და მაშინ ექნება თქვენს გაზეთს რეიტინგი, რომელიც დღეს გაქვთ. ცხადია, ამ ყველაფერს გაფრთხილება და შენარჩუნება უნდა. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ! კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს!

## გაზეთი «საქართველო და მსოფლიო» 10 წლისაა — ვულოცავთ!

**2009 წელს, 18-24 თებერვლის თარიღით, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" პირველი ნომერი ვიხილეთ. მან მალე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. ჩვენს შორის არის პიროვნება, რომელსაც ხელთ აქვს ამ დიდებული გაზეთის ყველა ნომერი — პირველიდან დაწყებული 474-ის ჩათვლით, თანაც ამაყობს, რომ ამ 10 წლის განმავლობაში გაზეთის გვერდებზე მისი 40 წერილია გამოქვეყნებული.**

გაზეთს პირველი დღიდანვე რედაქტორობდა ბატონი **ირაკლი თოდუა**, რომელიც, სამწუხაროდ, 42 წლისა გარდაიცვალა. სიკეთითა და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებამ ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ამაზე ნათლად მეტყველებს ის დიდი პატივისცემა, რომელსაც მის მიმართ „საქართველო და მსოფლიოს" კოლექტივი ავლენს.

ჩვენ, ქუთაისელი მკითხველები, ამ გაზეთმა დაგვატყვევა, უპირველესად, თავისი სიმართლით, ობიექტურობით, ღრმად ინტელექტუალურ-აზროვნებითი პუბლიცისტიკით. ქართულ მასმედიაში გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" ორიგინალური სტილითა და ერთხელ არჩეული გენერალური ხაზისადმი ერთგულებით გამოირჩევა; კერძოდ, გაზეთისთვის საქართველო მდებარეობს არა ბისკაის ყურეში ან ადრიატიკის სანაპიროზე, როგორც ეს გზააბნეულ ხელისუფალთ, ოპოზიციას, მათ მიერ გაბრიყვებულ ადამიანებს ჰგონიათ — არამედ ევრაზიის აზიურ ნაწილში, სამხრეთ კავკასიაში, სადაც 700-კილომეტრიანი საერთო სამეზობლო საზღვარი აქვს ზესახელმწიფო რუსეთთან. ცხადია, რომ გაზეთის რედაქცია არ იზიარებს ხელისუფალთა მცდარ, გეოპოლიტიკურად ბრმა საგარეო პოლიტიკურ კურსს.

სიმართლისათვის მებრძოლი გაზეთის ცხოვრება არ ყოფილა დალხენილი; პირველსავე წელს მისი რედაქცია სააკაშვილის ნაცებმა ორჯერ დაარბიეს.

ჩვენ ყოველთვის დიდი ინტერესით ვეცნობით ბატონების — **დიმიტრი მონიავას, დავით მხეიძის, ბაკურ სვანიძის, ჯაბა ჟვანიას, გიორგი გაჩეჩილაძის, ბესო ბარბაქაძის, ლუკა ნემსაძის,** ქალბატონების — **დარეჯან ანდრიაძის, ეკა ნასყიდაშვილის,** საერთოდ, ყველას დიდებულ წერილებს.

რაინდული შემართებით თავი გამოიჩინა ბატონმა **გრიგოლ ონიანმა**, რომელმაც იოსებ სტალინის მეტად მდიდარი და რთული ფენომენის კვლევის საქმეში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა და მეცნიერების საპატიო დოქტორის წოდებასაც უცილობლად იმსახურებს. „საქართველო და მსოფლიოს" მშვენება თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ბერმუხა — დიდოსტატი, ბატონი **არმაზ სანებლიძე.**

**მაშ, მარადიული დღეგრძელობა ჩვენს სათაყვანებელ „საქართველო და მსოფლიოს"!**

ქუთაისელი მკითხველები:

**მარინე ქაცარავა,** ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი;
**მზია მაჩიტიძე,** საქონელთმცოდნე;
**ფრიდონ ასათიანი,** ექსპერტ-ანალიტიკოსი;
**ზურაბ კაჭკაჭიშვილი,** ინჟინერ-ტექნოლოგი;
**სურენ მარტიროსიანი,** პედაგოგი, ქართველოლოგი;
**ჯუმბერ ლომსიანიძე,** დამსახურებული ექიმი;
**ზურაბ ხარატიშვილი,** ინჟინერ-მექანიკოსი;
**გივი გურეშიძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი

ქუთაისი, თებერვალი, 2019 წ.

# თუ გაზეთმა მწვავე საკითხები ვერ გააშუქა, მის არსებობას აზრი არ აქვს

„მართლის თქმისათვის ენას მოგჭრიან, ტყუილის თქმა ყოველ კაცს არ ესინდისება" *(ილია).*

**„საქართველო და მსოფლიო" 10 წლისაა. ეს საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ქართული პრესის ისტორიაში ადგილი დაიმკვიდრო და შენი სიტყვა თქვა.**

გადაჭარბებად არ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ „საქართველო და მსოფლიომ" ეს მოახერხა.

ამ ათი წლის განმავლობაში ვცდილობდით, გაბედულად გველაპარაკა მკითხველთან, დადებითი გავლენა მოგვეხდინა საზოგადოებრივ აზრზე, მის ფორმირებაზე. თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებში საზოგადოების აქტიურმა ჩარევამ, მწვავე ბრძოლამ და ვაიპატრიოტებისა თუ ლიბერალების მოგერიების აუცილებლობამ ხელი შეუწყო ჩვენი გაზეთის თემატურ მრავალფეროვნებას, აამაღლა პუბლიცისტიკის ქმედითობა, შინაური და საგარეო პოლიტიკური მიმოხილვის მნიშვნელობა.

ჩვენი გაზეთის ყურადღების ცენტრში იყო და არის საქართველოს სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული საკითხები, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი გაზეთი ქადაგებდა ძმობის, ერთობის, თავისუფლების პრინციპებს; გამოდიოდა ცალკეულ პირთა პრივილეგიების, ყოველგვარი ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ; მხარს უჭერდა ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებას, მანკიერებათა აღმოფხვრას საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

პირველივე ნომრიდან მიზნად დავისახეთ ბრძოლა ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს გაზეთს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჩვენი ეროვნული ინტერესების შემბღალველი არც ერთი გამოხდომა პოლიტიკური პარტიებისა თუ ცალკეული ურაპატრიოტების მხრიდან; დარწმუნებული ვართ, რომ, თუ გაზეთმა მწვავე საკითხები ვერ გააშუქა, მის არსებობას აზრი არ აქვს.

ილია ჭავჭავაძეს პრესის საპატიო ამოცანად მიაჩნდა საზოგადოებრივი ზნეობის გაუმჯობესება, პიროვნების უფლებათა დაცვა, ოჯახის განმტკიცება. ამ მხრივ ჩვენი გაზეთიც ხმალამოღებული იცავს ეროვნულ ტრადიციებს, ებრძვის ქართველი ერის ცხოვრებაში ყოველგვარი უმსგავსობის დამკვიდრებას — იქნება ეს ნარკომანიის ლეგალიზება თუ ქვეყნის ლგბტ-ზაცია, მომავალი თაობისთვის ტვინის გამორეცხვა, განათლების დაკნინება და ა.შ.

თავისი არსებობის განმავლობაში ქართული პრესა ვითარდებოდა, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის, სოციალური განთავისუფლების, დედაენის დაცვის იარაღი, და, როდესაც ჭეშმარიტად ასეთ იარაღად იქცა, მხოლოდ მაშინ დამკვიდრდა.

# ქართული პრესის პირველი ნაბიჯები

**ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორია „საქართველოს გაზეთით" იწყება.**

მანამდე კი, XVIII საუკუნის ბოლოს, საქართველოს ბოლო მეფის შვილმა, **იოანე ბატონიშვილმა**, წარუდგინა მამას საქართველოს უკეთ მოწყობის პროექტი. გიორგი XII-ს პროექტი მოწონებია, მაგრამ მერე ქვეყანა აირია, დამოუკიდებლობა დაკარგა და ეს პროექტიც აღარ განხორციელებულა. დღემდე შემონახული დოკუმენტების მიხედვით, ჩვენში სანამ ჟურნალი თუ გაზეთი გამოვიდოდა, ამ უკანასკნელის დანიშნულებას ასრულებდა ე. წ. **სალაყბო**, სადაც ადამიანები ახალ ამბებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

ასე რომ, საქართველოში გაზეთი პირველად მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. არქიეპისკოპოს **ნერსეს** შეუგროვებია ფული „უმეტეს ასის გაზეთის ხელმომწერთაგან" და პირველი ნომერი 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა. ეს იყო პირველი პერიოდული გამოცემა ამიერკავკასიაში. გაზეთი ოთხგვერდიანი იყო. მაგრამ ვინ იყო პირველი ქართული გაზეთის რედაქტორი, გაურკვეველია. მას გამომცემელთა მთელი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. აშკარაა, რომ გაზეთს ხელმძღვანელობს კავკასიის კორპუსის შტაბის მმართველობა. „საქართველოს გაზეთის" სტამბა კავკასიის საკუთრება იყო და იქვე, ამავე ჯარების შტაბის სახლში, იყო გამართული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აქ, ამ სტამბაში, სხვა უცხო პირს, თუ არა სამხედროს ან შტაბის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულს, არ შეუშვებდნენ.

**გაზეთის გამოშვების ინიციატორი რუსეთი იყო. გაზეთის რედაქციას მასალები ლიტერატურულად უნდა დაემუშავებინა, ყველა შემოსული კორესპონდენცია უნდა ეთარგმნა რუსულად, ხოლო შემდეგ გამართული გაზეთი ქართულ ენაზე უნდა თარგმნილიყო და დაბეჭდილიყო.** იმ ხანებში მოქმედებდა 1804 წლის საცენზურო წესდება, რომელიც ცენზორისაგან მოითხოვდა ფხიზელსა და დაუზარებელ თვალყურის დევნებას პერიოდიკაზე. რუსეთის პირობებთან შედარებით ქართულ გაზეთზე ცენზურა უფრო ძნელი განსახორციელებელი იყო, რადგან იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქართული არ იცოდნენ. ცენზორის როლში კი გვევლინებიან მთავარმართებელი ერმოლოვი და მისი მოხელეები.

„ქართული გაზეთი" პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული ორგანო იყო და ყოველკვირეულად — პარასკევობით გამოდიოდა. გაზეთის წლიური ფასი 3 მანეთი და 20 კაპიკი იყო. გაზეთის ფასი გამომცემლებს არ მიაჩნდათ ძვირად, მაგრამ მოსახლეობას მისი შეძენა უჭირდა. მაშინ, როცა ზოგმა წერა-კითხვაც არ იცოდა და მით უმეტეს — რა იყო გაზეთი, ხელმომწერთა მოგროვება საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა.

ამ გაზეთში ოფიციალური უწყებანი და ბრძანებები იბეჭდებოდა.

ქართული გაზეთი ოთხგვერდიანი გამოცემა იყო. თითოეული გვერდი გაყოფილი იყო ორ-ორ სვეტად. 1820 წლიდან გაზეთს გაუჩნდა წმიდა გიორგის გერბი.

პირველ ქართულ გაზეთს მოსახლეობისათვის უნდა გაეცნო ხელისუფლების „განწესებანი და განკარგულებანი", „მესაზღვრე ქვეყნების" ამბავი, ახალი მიღწევები ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ცნობები ლიტერატურის სამყაროდან, ამავე დროს ადგილობრივი მოსახლეობა ევროპის მცხოვრებთათვის უნდა დაეახლოვებინა. ამიტომ საზოგადოება ქართულ გაზეთს მიზნად უსახავდა, ▶

ისინი „მზად არიან აღებმიცემობის საგნად გახადონ ნაბეჭდი სიტყვა და შანტაჟამდინაც კი მივიდნენ. მათი წესი ლიტერატურული მოღვაწეობისა ეს არის: ამოიღებენ ნიშანში კაცს და დაუწყებენ ლანძღვას, თუ ეს კაცი პირად მათი სარგებლობისათვის არასა ცდილობს, დღეს რომ აქონ ვინმე, ცამდე აიყვანონ, პირველ მოღვაწედ გამოაცხადონ, ხვალ ტალახში სვრიან, იხსენიებენ სრულიად უმართებულოდ, უკადრისად... რო ჰკითხო, როგორ მოხდა, რომ გუშინ სასარგებლო კაცი, დღეს ეგრეთ მახინჯად გადაიქცა, რიგიანს პასუხს ვერ მოგცემენ. თუ დასჭირდათ, ფაქტს დღეში თხუთმეტჯერ დაამახინჯებენ, პატარა თვალი რომ მოაშორო, აბელა ჯამბაზივით თეთრს ისე წარმოგიდგენენ, როგორც შავს, ენიანს უენოდ გამოიყვანენ, ბრიყვს — ზრდილობიანად, სულელს — ჭკვიანად“.

## საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რომ მას მკითხველისათვის სამშობლოს საკეთილდღეო სხვადასხვა ცოდნა მიეწოდებინა.

გაზეთში მოთავსებული მასალა სამგვარი იყო: პირველი — მასალა, რომელიც საქართველოს სინამდვილიდან იყო აღებული; მეორე — მასალა, რომელიც რუსეთის სინამდვილეს ეხებოდა და მესამე — მასალა; რომელიც უცხოეთის ცხოვრებას ასახავდა.

საქართველოს სინამდვილის შესახებ კორესპონდენციებს გაზეთი სხვადასხვა გზით ღებულობდა — გაზეთს მასალას აწვდიდნენ სხვადასხვა დაწესებულებები და კერძო პირები. როცა თბილისიდან ადგილებზე გაზეთებზე ხელმომწერთა მომრავლებას ითხოვდნენ, იქვე იმასაც იწერებოდნენ, რომ ადგილზე მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ ცნობები მოეწოდებინათ გაზეთისთვის.

„ქართულ გაზეთში“ გამოქვეყნებული მასალა თავისი შინაარსით სხვადასხვა საკითხს ეხებოდა, თითოეული მათგანი თავისი ღირებულებით ერთმანეთისგან მკვერად განსხვავდებოდა.

**სხვა მრავალ საკითხთა შორის „ქართული გაზეთის“ გამომცემელნი თავიანთ ფურცლებზე იმაზეც მსჯელობდნენ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა განათლებას საზოგადოებისთვის და ამ მხრივ რა როლის შესრულება შეეძლო გაზეთს. გაზეთი აფართოებდა საზოგადოების ცოდნის არეს და, ამასთანავე, ხელს უწყობდა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას.**

ლიტერატურული ცხოვრებიდან გაზეთი აქვეყნებდა პატარ-პატარა მოთხრობებს, ბეჭდავდა მოსწრებულ სიტყვებსაც, ანუ ნაკვესებს.

გაზეთი წარმოადგენს მხოლოდ საინფორმაციო ფურცელს, სადაც რედაქცია სრულად არ ჩანს. არავითარი წერილი თუ კომენტარი გაზეთში არ არის. იბეჭდებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ბრძანებები, განკარგულებები, სტატიები რუსეთისა და საქართველოს საშინაო მდგომარეობაზე, საზღვარგარეთის ამბები, მოთხრობები, ანეკდოტები, განცხადებები და სხვა მასალა, რომელიც შესანიშნავად ასახავს ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას. ტირაჟი დაახლოებით 150-200 ცალი იყო.

არ ვიცით, იქნებ ცენზურა არ აძლევდა მეთაურების თუ წერილების ბეჭდვის უფლებას, მაგრამ საინფორმაციო მასალის დალაგებაში ხომ მაინც შეიძლებოდა ერთგვარი სისტემისა და ტენდენციის შეტანა.

„საქართველოს გაზეთი“, ოფიციოზის მსგავსად, პირველ გვერდს იწყებს „უმაღლესი“ ამბებით, როგორც, მაგალითად, „სანკტპეტერბურღს. — მათმა იმპერატორობით... ახალწლის დღეს... ინებეს მილოცვის მიღება“ და სხვ. რის შემდეგაც ჩამოთვლილია იმ „ბრწყინვალეთა“ გვარები, რომელნიც წარუდგნენ და სხვ. ამას მოსდევს უმაღლესნი ბრძანებანი, „სახელოთ-ბოძებანი და ჯილდო მოხელეთა“, როგორც, მაგალითად: „ყოვლად უმოწყალესად ებოძათ ორდენი“... ამას მისდევს საშინაო ხასიათის განკარგულებანი: „საქართველოს კეთილ-შობილთ დეპუტატთ შეკრებილობა“, უცხადებს ყოველთავე, ვინც „არა მოხსენებულ არიან ტრახტატსა შინა, უთუოდ წარმოუდგინოს საბუთნი თვისნი“ და სხვ. შემდეგ — ქრონიკის მსგავსი მასალა. გაზეთში „უცხოს ქვეყნის ამბავნ“-შიც იგივე „სტილია“ დაცული. ბოლოს მიდის „პუბლიკაცია“.

რაც შეეხება გაზეთის მხატვრულ მხარეს, უნდა ითქვას, რომ აქ საყურადღებო ძალიან ცოტაა. სულ არის ხუთი მოთხრობა და ხუთივე თარგმანი.

რასაკვირველია, ამ ლიტერატურას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და, ალბათ, იმ დროსაც არ ექნებოდა; ხოლო საინფორმაციო ნაწილი არაფერს არ შეიცავდა დიდებითსა და საგულისხმოს.

მიუხედავად ამისა, „საქართველოს გაზეთი“, როგორც ქართული პრესის დასაწყისი, მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ამ გაზეთმა დაახლოებით ორი წელი იარსება მხოლოდ, მაგრამ საზოგადოებაში პრესისადმი მოთხოვნა გააღვიძა და დიდ საქმეს დაუდო სათავე.

1820 წელს გაზეთს „ქართული გაზეთი“ დაერქვა. მისი გამოცემა 1821 წელს შეწყდა.

1828 წელს დაარსდა გაზეთი **„ტფილისის უწყებანი“**, დაახლოებით იმავე ფორმატის, ისიც ოთხგვერდიანი და კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ეს ოფიციალური ორგანო წინა გაზეთისგან იმით განსხვავდებოდა, რომ რედაქტორი ჰყავდა. მთავარი რედაქტორი **პავლე სანკოვსკი** იყო, რუსული ნაწილისა — **გრიგოლ გორდეევი**, ქართულის — **სოლომონ დოდაშვილი**, რომელიც ხანდახან ახერხებდა, თემისგან გადაეხვია. 1832 წლიდან გაუჩნდა დამატებად პირველი ქართული ჟურნალი **„ტფილისის უწყების სალიტერატურონი ნაწილნი“**, რომელიც მარტო ქართულად თვეში ორჯერ გამოდიოდა. მისი გამოცემა მალევე შეწყდა, რადგან ჩათვალეს, რომ 1832 წლის შეთქმულებას იდეოლოგიურად ამზადებდა, ოფიციალურ მიზეზად კი უსახსრობა დასახელდა.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ ცხარე პოლემიკასაც არ ერიდება. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ზოგჯერ აქ ჩნდება ეროვნული მოტივი და ჟურნალი ცდილობს ამ ეროვნულ სადარაჯოზე მტკიცედ დგომას. მაგალითად: გორდეევს დაუწერია საქართველოს მეფეთა დამარხვის შესახებ წერილი, რომელსაც ჩვენი ჟურნალი აღუშფოთებია და სოლომონ დოდაშვილი თავის წერილში მას პლაგიატს უწოდებს.

ჟურნალმა და მისმა თანამშრომლებმა იციან, რომ პრესა უნდა იდგეს ფხიზლად ქვეყნის სადარაჯოზე და, რაც ძალი შესწევს, ემსახუროს მის საქმეს. და თუ „საქართველოს გაზეთი“ მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციით კმაყოფილდებოდა, „სალიტერატურონი ნაწილნი“ უფრო კულტურულ საქმეს აკეთებდა და ბელეტრისტიკას, პოეზიას თუ მეცნიერებას ეტანებოდა. იგი ცდილობდა მკითხველის შექმნას, ინტელიგენციის დაპყრობას და საერთოდ, საჟურნალო ნიადაგის მომზადებას.

ამის მერე საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არაფერი გამოდიოდა, ქართული



**საქართველოში გაზეთი პირველად მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. არქიეპისკოპოს ნერსეს შეუგროვებია ფული «უმეტეს ასის გაზეთის ხელმომწერთაგან» და პირველი ნომერი 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა. ეს იყო პირველი პერიოდული გამოცემა ამიერკავკასიაში. გაზეთი ოთხგვერდიანი იყო**

სტამბებიც გაანადგურეს. ხოლო 1838 წელს გამოვიდა რუსული გაზეთი „Закавказский весник“, მისი ქართული ვარიანტი — **„კავკასიის მხარეთა უწყებანი“** კი 1840 წელს იხილა მკითხველმა.

ქართულ პრესის ისტორიას ამრავალფეროვნებს და დიდ წონას ჰმატებს **„ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“...** — დროისაგან გაყვითლებული მათი ფურცლები სამარადისოდ ინახავს ერის სულიერ საგანძურს, წინაპართა უანგარო ნამოღვაწარს.

ილია „ივერიაში“ ფორმულასავით აყალიბებს თავის მრწამსს: **„კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორიო“.**

**ილია გულისტკივილით და ირონიით ლაპარაკობს იმ უგემოვნო, ჩამორჩენილ ადამიანებზე, რომელთაც ჰგონიათ: „რაღა კრიტიკაა, თუ აქებ, თუნდა მართლა საქებარიც რომ იყოს?!“ და დასძენს „ამას ჰქვია გამგელებული მადა ბალღურის კრიტიკისაო“. ილია მკაცრად გმობს კრიტიკოსის მიერ ავტორის „ცუდუბრალო გამოკიდებას, ცუდუბრალო ახირებას“.**

**კრიტიკის უპირველეს მოწოდებად ილიას მიაჩნია არა უარყოფითი მხარეების გამოჩხრეკა.** „ივერიას“ არასოდეს უარუყვია პოლემიკა, გარკვეული მოსაზრება ჰქონდა მის ზნეობრივ მხარეზე: **„მწერალმა მოპირდაპირეს თავისი აზრი ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის“.**

როცა ნიკო ნიკოლაძემ ილიას თავისი „გამოცანების“ მწარე ტონი შეახსენა, დიდმა მწერალმა გადაწყვიტა, მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისი კრიტიკის ტონზე, რომელიც ანთებულ ლამპრად უნდა ჰქონდეს ყველა დროის პატიოსან კრიტიკოსს.

„მე მოგახსენებთ ახლად დაბადებულს, ეგრეთ წოდებულ ლიტერატურულ ყიზილბაშობაზედ ეს სულ ახალი ფაქტია და შემოტანილი ჩვენს ლიტერატურაში ზოგიერთ თავგასულ მწერალთაგან...

რამ დაბადა ეს სენი?..

ჩვენ, გვინახავს და დღესაც ვხედავთ ისეთ მწერლებს, რომელთა ცრუთავმოყვარეობას საზღვარი არა აქვს, რომელთაც თავიანთი თავი მიაჩნიათ ციდან ჩამოსულ წინასწარმეტყველებად და თითქმის გენიოსადაც კი... ამ მოვლენას ჩვენ არ გავუკვირვებივართ, მისი ახსნა ისე ძნელი არ არის... სრულიად სხვა არის მეორე გვარი მოვლენა, რომელზედაც ჩვენ გვინდა ლაპარაკი. ავადმყოფობის ვერც ერთ კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ ამ სენით შეპყრობილ მწერალთ... ნაწერებზე ეტყობათ, რო რომელიღაც ძაფი აქვთ გაწყვეტილი, რომ ჩხირი ურჭვიათ ტვინში და ამის გამო ორი ქარი უქრით, მაგრამ ამას რათ უნდა მოსდევდეს ის ზნეობრივი სიმახინჯე, ის თავზეღხელაღებული, ლაგამაწყვეტილი და სინდისს მოკლებული ბაში-ბუზუყობა, რომლითაც თავი გამოიჩინეს ჩვენი ლიტერატურის ყიზილბაშებმა. **ამ ჯურის მწერალთ არაფერი წმინდა არა აქვთ: არ დაინდობენ არც სიმართლეს, არც პატიოსნებას, არც პიროვნებას, არც წარსულს, არც აწმყოს, არც მომავალს. მზად არიან აღებმიცემობის საგნად გახადონ ნაბეჭდი სიტყვა და შანტაჟამდინაც კი მივიდნენ. მათი წესი ლიტერატურული მოღვაწეობისა ეს არის: ამოიღებენ ნიშანში კაცს და დაუწყებენ ლანძღვას, თუ ეს კაცი პირად მათი სარგებლობისათვის არასა ცდილობს, დღეს რომ აქონ ვინმე, ცამდე აიყვანონ, პირველ მოღვაწედ გამოაცხადონ, ხვალ ტალახში სვრიან, იხსენიებენ სრულიად უმართებულოდ, უკადრისად. ...რას არ სწამებენ, რა მახინჯად და საპყრად არ გამოჰყავთ... რო ჰკითხო, როგორ მოხდა, რომ გუშინ სასარგებლო კაცი, დღეს ეგრეთ მახინჯად გადაიქცა, რიგიანს პასუხს ვერ მოგცემენ. თუ დასჭირდათ, ფაქტს დღეში თხუთმეტჯერ დაამახინჯებენ, პატარა თვალი რომ მოაშორო, აბელა ჯამბაზივით თეთრს ისე წარმოგიდგენენ, როგორც შავს, ენიანს უენოდ გამოიყვანენ, ბრიყვს ზრდილობიანად, სულელს — ჭკვიანად.** არც რომელიმე პრინციპი, არც იდეა, არც სხვა რამ საზოგადოებრივი საგანი, გარდა პიროვნულისა, არ მოიპოვება მათ ნაწერებში... ზოგ მწერალს სამარცხვინოდ, თავის დამცირებად არ მიაჩნია იმათ გვერდით ყოფნა, ერთსა და იმავე ფურცლებზე თავიანთი ნაწარმოებების ბეჭდვა... მაგრამ ჩვენ გვწამს კაცობრიობის სიკეთე, რომელმაც ბოლოს და ბოლოს უნდა გაიმარჯვოს. ეს ბაშიბუზუყობა ღვარძლია და იმედი გვაქვს, ჩვენი უკეთესი მოღვაწენი მალე გამარგვლენ და გაანთავისუფლებენ ჩვენს ლიტერატურულ ხნულს ან სამარცხვინო ღვარძლისაგან“.

* * *

ილია ჭავჭავაძის გამოცემები გამოირჩევა დამაჯერებელი მსჯელობით, არგუმენტირებით, ინტიმიური სასაუბრო კილოთი. „სალაყბო ფურცლებიდან“ მოკიდებული, ეს თვისებები ქართული პუბლიცისტიკის სული და გული გახდა, „საქართველოს მოამბეში“ დამკვიდრდა, ხოლო „ივერიის“ წყალობით, მთელმა ქართულმა ჟურნალისტიკამ შეისისხლხორცა.

სტატიათა ავტორები მიზანსწრაფულად იყენებენ ეპიგრაფებს, ციტატებს, ხალხურ გამოთქმებს, იდიომებს, მხატვრულ საშუალებებს. ცდილობენ, შექმნან მკითხველთან გასაუბრების ბუნებრივი, უშუალო ატმოსფერო, ერთდროულად იმოქმედონ მის გულსა და გონებაზე. მტკიცების საშუალებათა არსენალში სულ ფრო მეტ ადგილს იკავებს პოპულარული სტატისტიკა, უმთავრესად ტექსტში ჩართული ეფექტური ციფრობრივი მონაცემები, იშვიათი, გავრცობილი ცხრილებიც.

ილია სათაურების დიდოსტატი იყო, ვერც მის მხატვრულ შემოქმედებაში, ვერც პუბლიცისტიკაში ერთ შემთხვევით, უსახურ სათაურსაც ვერ ვიპოვით, ამასვე მოითხოვდა თანამშრომლებისაგან. ზოგჯერ ეფექტური სათაურის მოძებნას მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე მთელი თხზულების დაწერას.

ილიამ საგანგებო მისია დააკისრა „შინაურ მიმოხილვას“, აამაღლა მისი აქტუალობა, ოპერატიულობა, მამხილებელი მიმართულება. ამ გზით „ივერია“ გაზეთის მოვალეობასაც ასრულებდა და ჟურნალისაც, **მიმდინარე ამბებს უყურადღებოდ არ ტოვებდა, ყოველთვიურად ანგარიშს აბარებდა მკითხველს, მსჯელობდა გადაუდებელ საქმეებზე, იძლეოდა რჩევას, სახავდა სამოქმედო ამოცანას.**

„შინაური მიმოხილვები“, რომელთა დიდი ნაწილი ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, ღრმა აზროვანიცაა და წასაკითხადაც სასიამოვნოა. ისინი სინამდვილის პანორამულ სურათს იძლევა.

რა სურათს იძლება „საქართველო და მსოფლიო“, დაე, მკითხველმა შეაფასოს, რამეთუ ის არის ჩვენი პირუთვნელი მსაჯულიც და შემფასებელიც.

**რუბრიკას უძღვება**
**დარეჯან ანდრიაძე**

## «აქტუალური და საინტერესო გაზეთი»

— 70 წელს გადავაბიჯე. საქართველოში დავბრუნდი 2005 წელს მოსკოვიდან, სადაც თითქმის 40 წელი ვიცხოვრე და ვიმუშავე. ჩამოსვლისთანავე დავიწყე პრესის დაკვირვებით კითხვა, რათა გამეგო, რა ხდებოდა ქვეყანაში. „საქართველო და მსოფლიომ“ გამოსვლისთანავე მიიქცია ჩემი ყურადღება და მას შემდეგ დამტარებელს ყოველ ოთხშაბათს მოაქვს ჩემთან სახლში ახალი ნომერი (მე ახმეტის რ-ნის სოფ. ქვემო ალვანში ვცხოვრობ). გაზეთს ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობ, ზოგიერთ სტატიას კი რამდენჯერმე გადავიკითხავ ხოლმე. შეიძლება ითქვას, „საქართველო და მსოფლიო“ ჩემს სამაგიდო გაზეთად იქცა. სხვა გაზეთები ძირითადად ყოველდღიურ ამბებს აშუქებენ ვიწროდ. თქვენი თვალსაწიერი გაცილებით დიდია.

რამდენიმე ხნის წინათ გამიჩნდა იდეა, ჩვენი სოფლის საშუალო სკოლის უფროსკლასელებისთვის მომეწყო გაზეთის კლასგარეშე კითხვა, რაზეც მოვუყევი სკოლის დირექტორს და მან მოიწონა ჩემი იდეა. ალბათ, მალე იდეას ხორცს შევასხამთ. მინდა მომავალ თაობას ის სტატიები წავუკითხო, რომლებიც საყოველთაო ინტერესს იწვევს, ასეთები კი გაზეთში ბევრი გაქვთ.

მადლობას გიხდით, რომ არსებობს ასეთი აქტუალური და საინტერესო გაზეთი.

**პატივისცემით,**
**არდალიონ ხააძე**

დემოგრაფია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცებ იწყებს ურჩობას ევროპული ქვეყანა, რომელიც აცხადებს, რომ სურს, ჰყავდეს თავისი ბავშვები და არ უნდა მოსახლეობის შეცვლა. ეს არასასიამოვნოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ 10-მილიონიან უნგრეთში შეიძლება დაეტიოს მილიონზე მეტი აფრიკელი, არამედ იმიტომ, რომ ის ძალიან ცუდ მაგალითს აძლევს სხვა ქვეყნებს.**

# უნგრეთი მილიარდებს ხარჯავს დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად

## ვიქტორ ორბანი, საზოგადოების ფართო მხარდაჭერით, უარს ამბობს მოსახლეობის შევსებაზე საერთო ევროპული სქემით — მიგრანტებით

**მასალაში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მოთხრობილია დემოგრაფიული კრიზისის წინაშე მყოფ ევროკავშირის წევრ-ქვეყანა უნგრეთში შექმნილ ვითარებაზე. 10-მილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყნის მთავრობა ყველანაირად ცდილობს, საკუთარი ძალებით მოაგვაროს დემოგრაფიული პრობლემები და უარს ამბობს, ეს პრობლემა სხვადასხვა ქვეყნიდან მიგრანტების შეყვანით გადაწყვიტოს, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, საფრანგეთი ან გერმანია. მიუხედაად ამისა, ევროპის „წამყვანი“ სახელმწიფოები ეწინააღმდეგებიან უნგრეთის ხელისუფლების მცდელობას, გაზარდოს შობადობა და ქვეყანა იხსნას დემოგრაფიული კატასტროფისგან, ხოლო დასავლური მედია უნგრეთის ხელისუფლებას ნაციონალისტებს უწოდებს. და, როცა ევროკავშირის წევრ ქვეყანას ასეთ დღეში აგდებენ „უფროსი ძმები“, ხომ წარმოგიდგენიათ, რას დამართებენ ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, თუკი გადავწყვეტთ, უნგრეთს მოვბაძოთ.**

ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაციის ცნობით, უნგრეთის ხელისუფლებამ ახალი ზომები მიიღო ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად.

**ადრე უნგრეთის მთავრობამ ახალგაზრდა წყვილებს მილიონი ფორინტის (დაახლოებით 36 ათასი დოლარი) უპროცენტო კრედიტები დაურიგა ვალად, რომელიც ავტომატურად გაუქმდება, თუკი წყვილი 3 შვილს იყოლიებს. ამას გარდა, უნგრეთის მთავრობამ შეღავათიან ფასად დაიწყო ბინების მშენებლობა იმ ოჯახებისთვის, რომლებიც გამრავლებას აპირებენ. და აი ახალი ინიციატივა: ოთხშვილიანი ქალები გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან, თანაც — სიცოცხლის ბოლომდე.**

...თუ ფიქრობთ, რომ დასავლურ მედიასაშუალებებს გულწრფელად უხარია უნგრეთისა და მისი მცირერიცხოვანი, მაგრამ ამბიციური, ხალხის წარმატებები, ეს ასე არ არის. პირიქით — **ბრიტანული „გარდიანი“** პროგრესული საზოგადოებრიობის საერთო აზრს გამოხატავს საავტორო სვეტში სათაურით „ნაციონალისტი დამრბევები ქალის სხეულის გაკონტროლებას ცდილობენ“. ნაციონალისტების დანაშაული შემდეგია: **„ანტიქალური პოლიტიკა ინიღბება ქალების დახმარებით... იდეა — ღარიბების თითქოსდა დახმარება — დამოკიდებულია მათ აღწარმოებაზე (შობადობაზე), ანტიუტოპიას ესაზღვრება.**

უნგრეთის გარდა, სტატიაში გალანძღულია **პოლონეთი** (აქ ქალებს 500 ზლოტს უხდიან ყოველთვიურად ყოველ მომდევნო შვილზე) და **ბრაზილია** (სადაც სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ, კარგა ხანია, მომწიფდა დემოგრაფიული კრიზისი). **„ასეთი პოლიტიკა უტილიზებულს ხდის ქალის სხეულს მიზნებისთვის, რომლებიც დასახულია ყველაფრისთვის, ოღონდ არა თანასწორობისთვის“,** — ასკვნის მოწინავე სტატიის ავტორი.

...სინამდვილეში მიზეზები, რომელთა გამოც უნგრეთში ასე ზრუნავენ შობადობის მომატებაზე, ასე ვთქვათ, „კომპლექსურია“. რა თქმა უნდა, აქ ადგილი აქვს რადიკალური ფემინიზმის მოდურ სიგიჟეს, რომლის თანახმად, თუ ქალს არ იცავენ — ეს დანაშაულია მის წინააღმდეგ; თუ იცავენ — დამამცირებელი პატრონიზმი და, აქედან გამომდინარე, დანაშაული; თუ ქალით აღტაცებულნი არიან — ეს მისი გადაქცევაა სექსუალურ ობიექტად; თუ ყურადღებას არ აქცევენ — ეს მისი გაუფასურებაა; თუ შვილის ყოლის გამო ფულს აძლევენ — ეს ექსპლუატაცია და სექსუალური მონობაა; თუ ფულს არ აძლევენ — მაშინ ეს ბინძური გენდერული კონკურენციაა და ა.შ., თუმცა არის კიდევ სხვა შემადგენელიც. უნგრეთის პრემიერმინისტრი **ვიქტორ ორბანი, საზოგადოების ფართო მხარდაჭერით, უარს ამბობს მოსახლეობის შევსებაზე საერთო ევროპული სქემით — მიგრანტებით.**

მიღებული ევროპული (ამერიკული, ავსტრალიური და ა.შ.) სქემის მიხედვით, წამყვანი ერები კი არ კვდებიან, არამედ ხდება „დემოგრაფიული გადასვლა“. ეს შინაარსობრივად იგივეა, თუმცა მოსასმენად უფრო სასიამოვნო. **თუ მოწინავე ერში ხანდაზმულთა რაოდენობა ძალიან ბევრია, მუშახელი კი — ცოტა, მუშახელის დანაკლისი სხვა ქვეყნებიდან უნდა შეივსოს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ სარგებლიანია (ეს ხომ უკვე გამზადებული სამუშაო ხელია); მეორე და მთავარი — იმიტომ, რომ პლანეტაზე ისედაც ბევრი ადამიანი ცხოვრობს და ისინი საკმაოდ ბევრს ჭამენ, სვამენ წყალს, ხარჯავენ რესურსებს და იკავებენ ადგილებს თავიანთი არაეკოლოგიური ავტომობილებით.** და, თუ წაიყვან ჭარბ მოსახლეობას იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც შობადობის მხრივ საქმე კარგად არის, სამუშაოს მხრივ კი — ცუდად, დაასახლებ ქვეყნებში, რომლებშიც შობადობის მხრივ საქმე ცუდად არის, პარალელურად იმუშავებ სხვა ქვეყნებში შობადობის შემცირებაზე, მაშინ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მსოფლიოში დამყარდება სასიამოვნო დემოგრაფიული ბალანსი.

და ამ სქემის მიუხედავად, **უცებ იწყებს ურჩობას ევროპული ქვეყანა, რომელიც აცხადებს, რომ სურს, ჰყავდეს თავისი ბავშვები და არ უნდა მოსახლეობის შეცვლა. ეს არასასიამოვნოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ 10-მილიონიან უნგრეთში შეიძლება დაეტიოს მილიონზე მეტი აფრიკელი, არამედ იმიტომ, რომ ის ძალიან ცუდ მაგალითს აძლევს სხვა ქვეყნებს.**

...თუმცა ამ ყველაფერში ყველაზე საინტერესო სხვა რამეა. საქმე ის არის, რომ უნგრეთის პრემიერი მართლაც უპრეცედენტო ზომებს მიმართავს ერის კვდომის შესაჩერებლად (უნგრეთის მოსახლეობა წელიწადში 32 ათასი ადამიანით მცირდება). მაგალითად, ორბანი ატარებს ექსპერიმენტს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის.



ვიქტორ ორბანი უნგრელ გოგონებთან

**უნგრეთის მთავრობამ ახალგაზრდა წყვილებს მილიონი ფორინტის (დაახლოებით 36 ათასი დოლარი) უპროცენტო კრედიტები დაურიგა ვალად, რომელიც ავტომატურად გაუქმდება, თუკი წყვილი 3 შვილს იყოლიებს. ამას გარდა, უნგრეთის მთავრობამ შეღავათიან ფასად დაიწყო ბინების მშენებლობა იმ ოჯახებისთვის, რომლებიც გამრავლებას აპირებენ. და აი ახალი ინიციატივა: ოთხშვილიანი ქალები გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან, თანაც — სიცოცხლის ბოლომდე**




სახელდობრ: ფაქტობრივად, დღესვე, საველე პირობებში დგინდება, სურს თუ არა მოსახლეობას გამრავლება ევროპული ქალაქური ტიპის უბრალო აღწარმოებისთვის (ეს ხდება მაშინ, როცა ქალს 2 შვილი ჰყავს). აქ მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი — შვედეთზე თუ იაპონიაზე, რუსეთზე თუ ბრაზილიაზე, უნგრეთზე თუ ჩინეთზე.

ყველაფერი ეს — **ქალაქური ცივილიზაცია, აშენებულია (მცირე თუ დიდი წარმატებით) კეთილდღეობის მიზნით სამოქალაქო ვარიანტით, ანუ საზოგადოება ფორმალურად შეიძლება იყოს რელიგიური (როგორიც არის, მაგალითად, პოლონეთში ან ირანში), მაგრამ იქ ბედნიერებად ითვლება არა ორი და მეტი შვილის აღზრდა, „როგორც მოუწოდებენ წინაპრები და რელიგია“, არამედ ცხოვრების კომფორტულად მოწყობა და თვითრეალიზაცია.**

შემთხვევითი არ არის, რომ მოწინავე ერებში „გამამრავლებლები“ არიან რელიგიური თემები, რომლებიც ჯიუტად მისდევენ ტრადიციონალიზმს; აშშ-ში — ამიშები და მორმონები; ისრაელში — ორთოდოქსები; საფრანგეთში — პირველი ორი თაობის აფრიკელი მიგრანტები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ წარმოდგენა მშვენიერებაზე; რუსეთში — „ერთგული მორწმუნეები“: ქრისტიანები და მუსლიმები. ეს ადამიანები დემოგრაფიულად ეფექტიანები არიან, იმიტომ, რომ აქვთ ტიპური თანამედროვე წარმოდგენა ბედნიერებაზე. ამ კონტექსტში უნგრეთი, ურბანიზებული ქვეყანა, საკმაოდ სარწმუნო პასუხს იძლევა შეკითხვაზე — „სიცოცხლისუნარიანია თუ არა თანამედროვე სოციალური მატრიცა“ თვითწარმოების კუთხით, თუკი ყველა მეთოდით ხდება შობადობის წახალისება? **თუ „თანამედროვე ქალაქური ტიპის“ ადამიანები არ გამრავლდებიან, მაშინ სოციალური წყობის ახალი ფორმები იქნება გამოსაგონებელი.**

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ

**2050 წელს საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა უმცირესობაში იქნება, ანუ ქართველები ვიქნებით უცხოელებზე ნაკლები. რას მოგვიტანს ეს? პირველ რიგში, იმას, რომ უცხოტომელებს ენდომებათ, საკანონმდებლო ორგანოში რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი ჰყავდეთ და, რადგან ისინი უმრავლესობაში იქნებიან, მოთხოვნაც ლეგიტიმური იქნება. შემდეგ კი, როგორ გგონიათ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ისინი ქართველებისთვის სასარგებლო კანონებს მიიღებენ თუ თავად შეეცდებიან, ქვეყანა საბოლოოდ გადაიფორმონ და ჩვენ ყველა უფლება შეგვიზღუდონ?**

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მივბაძოთ უნგრეთს!

**ქართული ტრადიციული სუფრა, წინასაარევნო შეხვედრა და.... და მეტი არაფერი — რეალურად, მხოლოდ ეს ორი ადგილი თუ გარემოა, სადაც საქართველოს დემოგრაფიაზე ჩივიან და ვიშვიშებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, თორემ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ხმას არავინ იღებს. მართალია, ამ თემაზე ხმამაღალი განცხადება ცოტა ხნის წინათ პარლამენტარმა ემზარ კვიციანმა გააკეთა, მაგრამ ჯერჯერობით ახალდაფუძნებული ორგანიზაციის რეალურ შედეგებზე საუბარი ძნელია. სამაგიეროდ, ბევრი მოქილიკე გამოჩნდა, აქაოდა, რა დემოგრაფიული ფონდიო და, თუ უკეთესი შეგიძლიათ, ბატონებო, გააკეთეთ, გაგვანათლეთ... მაგრამ არა, ჩვენ ქილიკში ვართ მაგრები, სუფრასთან ვართ მაგრები, წინასაარჩევნოდ კი კამერების წინ, ცრემლების ღვარღვარის გარდა, ისეთი დაპირებების გაცემაც შეგვიძლია, რომელთა შესრულებაზე, ზრუნვას კი არა, ფიქრსაც აღარ განვაგრძობთ. ჰო, ეს გვჭირს ქართველებს და თანაც ყველაზე არასაჭირო დროს — გადაშენების პირას რომ ვართ.**



**საქართველოში ანალოგიური რამ რომ გაკეთდეს, რამდენი ოჯახი შეიქმნება თუნდაც უპროცენტო სესხის ხიბლით (გაჭირვების გამო შეყვარებულები ვერ ქორწინდებიან) და რამდენი ახალშექმნილი ოჯახი იფიქრებს სამ შვილზე, რათა ამ აღებული ფულით მომავალი მოიწყონ და შვილების გარანტიით, სესხის დაბრუნებაზე აღარ იფიქრონ. რაც მთავარია, ორბანი მსოფლიოს გასაგონად ამბობს, რომ ამ ყველაფერს უნგრელი მოსახლეობისთვის აკეთებს და ჯერჯერობით ის შოვინიზმში არავის დაუდანაშაულებია. თუ დაადანაშაულებენ, ეჭვი გვაქვს, დიდად არ იდარდებს და ამის გამო არც უნგრელები გაკიცხავენ, არ ეტყვიან: როგორ გაბედე და ქვეყნის მომავალზე როგორ ფიქრობო**

არაერთხელ დაგვიწერია, რომ პატრიარქის მოწოდებამ, ყველა ოჯახის მესამე შვილს მე მოვნათლავო, დემოგრაფიული მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალა. უფრო ზუსტად, კლება ისეთი კატასტროფული აღარ არის, თორემ მხოლოდ ეს მოწოდება რომ ვერ იმოქმედებდა ერის გადარჩენაზე, იმთავითვე ცხადი იყო. შეიძლება ითქვას, პატრიარქმა, როგორც ერთმა ადამიანმა, თავისი განცხადებით მაქსიმუმი გამოადნო, მაგრამ საშველი ესეც არაა. საშველი საკანონმდებლო სისტემაა, რომელიც, უბრალოდ, არ გვაქვს და, ვისაც ჰგონია, რომ ამის გაკეთება ურთულესია და დროს მოითხოვს, ცდება.

2017 წლის აღწერით, უნგრეთში თითქმის 10 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მათგან 83,7%, ანუ უმრავლესობა უნგრელები არიან, 3,1% — ბოშები, 1,3% — მეორე მსოფლიო ომის დროს დარჩენილი გერმანელები, დანარჩენი ერების რაოდენობა კი ისე მცირეა, პროცენტულად არც კი ითვლიან. ამის მიუხედავად, პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** განაცხადა, რომ მის ქვეყანას დემოგრაფიული კუთხით სერიოზული პრობლემა აქვს. ორბანმა სიტყვას საქმეც მოაყოლა და შვიდპუნქტიანი გეგმაც წარმოადგინა. ამ გეგმის მიხედვით, ახალშექმნილ უნგრულ ოჯახებს 36 ათასი დოლარის უპროცენტო სესხის აღება შეეძლებათ (ეს ის არის, უფასო ფულს რომ გვპირდებოდნენ ჩვენ), თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ წყვილი მომდევნო ათი წლის განმავლობაში სამშობლოს, სულ ცოტა, სამ შვილს გაუჩენს, სესხი გაუნულდებათ და მას სახელმწიფო გადაიხდის; 4 ან მეტი შვილის გაჩენის შემთხვევაში ოჯახი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან, ანუ მშობლებს მიეცემათ ის ხელფასი, რომელიც გამოწერილი ექნებათ, და უნგრეთის საგადასახადო 20%-ს აღარ დაუკავებს.

**„დასავლეთის აზრით, ყველა დაკარგულ ბავშვზე ერთი მიგრანტი უნდა შემოვიდეს და ყველაფერი კარგად იქნება. უნგრელი ხალხი სხვაგვარად ფიქრობს: ჩვენ არ გვჭირდება ციფრები, ჩვენ უნგრელი ბავშვები გვჭირდება. ეს არის გზა ქვეყნის მომავლის დასაცავად“,** — განაცხადა ორბანმა.

ციფრების მიხედვით კი, უნგრეთის მოსახლეობა ყოველწლიურად დაახლებით 32 ათასი ადამიანით მცირდება და ორბანმაც განგაშის ზარებიც ამიტომ დაარისხა.

სხვათა შორის, იმავე უნგრეთში მოსახლეობის აღწერა 2011 წელს უცხოურ ორგანიზაციას დაუკვეთეს, 2014-სა და 2017-ში კი თვითონ ჩაატარეს, რადგან უცხოელებს ბოლომდე არ დაუჯერეს და სწორედ მაშინ დაადგინეს ეს სტატისტიკაც. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა მთავრობის მიერ შობადობის მოსამატებლად გეგმის შემუშავება და შედეგი აუცილებლად იქნება. თავად განსაჯეთ, **საქართველოში ანალოგიური რამ რომ გაკეთდეს, რამდენი ოჯახი შეიქმნება თუნდაც უპროცენტო სესხის ხიბლით (გაჭირვების გამო შეყვარებულები ვერ ქორწინდებიან) და რამდენი ახალშექმნილი ოჯახი იფიქრებს სამ შვილზე, რათა ამ აღებული ფულით მომავალი მოიწყონ და შვილების გარანტიით სესხის დაბრუნებაზე აღარ იფიქრონ. რაც მთავარია, ორბანი მსოფლიოს გასაგონად ამბობს, რომ ამ ყველაფერს უნგრელი მოსახლეობისთვის აკეთებს და ჯერჯერობით ის შოვინიზმში არავის დაუდანაშაულებია. თუ დაადანაშაულებენ, ეჭვი გვაქვს, დიდად არ იდარდებს და ამის გამო არც უნგრელები გაკიცხავენ, არ ეტყვიან: როგორ გაბედე და ქვეყნის მომავალზე როგორ ფიქრობო.**

ჩვენ კი, შობადობის გაზრდა კი არა, უცხოელებს რამე რომ არ ეწყინოთ, აგერ, აჭარის მთავრობამ 20 მილიონი აპატია იმ უცხოტომელებს, რომლებმაც საქართველოში ინვესტიციები ჩადეს, მაგრამ მათივე უნიათობის გამო აღებული ვალდებულება ვერ შეასრულეს და შედეგად მილიონობით ჯარიმა დაუგროვდათ. **აბა, დაძაბეთ გონება და გაიხსენეთ, რამდენ ქართველს აპატიეს 20 მილიონი? მხოლოდ იმას თუ გავიხსენებთ, რომ წინასაარჩევნოდ ხელისუფლებამ ორიათასლარიანი სესხები გაუნულა მოსახლეობას.**

ეგ კიდევ არაფერი — გასულ კვირას სამსახურიდან ვინმე **ლიკა კასრაძე** გაათავისუფლეს. ეს „ვინმე“ კი სამი თვის ორსულია, შინ კიდევ ერთი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს და, იმის მიუხედავად, რომ ფურცელზე კანონი იცავს, რომლის მიხედვით ორსულს სამსახურიდან ვერ გაათავისუფლებენ, მაინც გაუშვეს.

საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევით, **საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, რომელთა აბორიგენ მოსახლეობასაც, ანუ ქართველებს, გადაშენების საფრთხე ემუქრება.** კვლევაში წერია, რომ ამ ტემპით გაგრძელების შემთხვევაში, **2050 წელს საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა უმცირესობაში იქნება, ანუ ქართველები ვიქნებით უცხოელებზე ნაკლები.** რას მოგვიტანს ეს? პირველ რიგში, იმას, რომ **უცხოტომელებს ენდომებათ, საკანონმდებლო ორგანოში რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი ჰყავდეთ და, რადგან ისინი უმრავლესობაში იქნებიან, მოთხოვნაც ლეგიტიმური იქნება. როგორ გგონიათ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი ქართველებისთვის სასარგებლო კანონებს მიიღებენ თუ თავად შეეცდებიან ქვეყანა საბოლოოდ გადაიფორმონ და ჩვენ ყველა უფლება შეგვიზღუდონ?** თუ უცხოელების გულმოწყალების იმედად ვართ, იმის იმედად, რომ ზუსტად ისე დაგვინდობენ, როგორც ჩვენ ვინდობთ და ზუსტად ისეთ სათბურე პირობებს შეგვიქმნიან, როგორშიც ჩვენ გვყავს? არა, ბატონებო, **პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დაგვიმონებენ და საშვილიშვილოდ ჩაგვარტყამენ თავში.** მერე ვერც ბახტრიონის აჯანყება გვიშველის და ვერც რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რადგან ახლა სხვა რეალობაა მსოფლიოში და ერების დამონება-გადაგვარებაც სხვაგვარად ხდება, ანუ ზუსტად ისე, როგორც ჩვენ გვიპირებენ.

ამ პირობებში, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უცნაური იყო განათლების მინისტრის მორიგი შედევრი. **მიხეილ ბატიაშვილმა** ჩინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან შეხვედრისას ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვით, ქართულ სკოლებში ჩინური ენის შესწავლა დაიწყება. ბატიაშვილის განცხადებით, ეს ხელს შეუწყობს ქართველ ახალგაზრდებს, საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ პარტნიორთან ურთიერთობა დაამყაროს და ბიზნესპროექტები განახორციელოს. აღნიშნული მემორანდუმი, ყველაფერთან ერთად, იმასაც ნიშნავს, რომ საქართველოში ჩინელი მასწავლებლების მთელი არმია ჩამობარგდება და, რაც მთავარია, ჩვენი ბიუჯეტიდან მათ ხელფასსაც გადავუხდით, საცხოვრებელ პირობებსაც შევუქმნით და ეს მაშინ, როცა საქართველოს ათასობით მოქალაქეს არც სამსახური აქვს და არც ადამიანური პირობები.

სიმართლე გითხრათ, სათვალავი აგვერია, მერამდენედ გვიწევს ამ პრობლემაზე წერა, მაგრამ პირველი შემთხვევაა, როცა კონკრეტული წინადადება გვაქვს. უფრო ზუსტად კი, უნგრეთის მაგალითი, ქვეყნისა, რომელიც ეკონომიკის მხრივ არც გერმანიაა და არც საფრანგეთი. ევროპის საშუალოზე დაბალი დონის სახელმწიფოა, მაგრამ ამის მიუხედავად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამონახა სახსრები და, ზემოთ თქმული დაპირებების გარდა, ქვეყნის მასშტაბით დამატებით 21 ათასი საბავშვო ბაღის მშენებლობის პირობა დადო, რადგან უნგრელები დარწმუნებულნი არიან, რომ ინიციატივას მოსახლეობა აჰყვება არა მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით, არამედ პატრიოტული სულისკვეთებითაც.

ასპროცენტიანი სიზუსტით შეგვიძლია გითხრათ, რომ იგივე ინიციატივა საქართველოში არა მხოლოდ შობადობის ბუმს გამოიწვევს, არამედ ინფრასტრუქტურაც განვითარდება, რადგან ახალშექმნილ ოჯახებზე გაცემულ თანხას დახარჯვა უნდა და ნაწილი ბიზნესში ჩაიდება, ნაწილი სახლების შესაძენად წავა. ორივე შემთხვევაში ეკონომიკა ამოძრავდება და, რაც მთავარია, ყველა ოჯახს სტიმული ექნება, რომ აღნიშნული თანხა ბავშვების მეშვეობით შეინარჩუნოს. რეალურად, სახელმწიფოს ერთი ქართველი ბავშვი 12 ათასი დოლარი დაუჯდება.

სტატისტიკის მიხედვით, **საქართველოში წლიურად 50-55 ათასი ბავშვი იბადება. თუ ქართველებზე ვისაუბრებთ, მათგან 45 ათასი (საუკეთესო შემთხვევაში) ქართველი იქნება და სახელმწიფოს ეს ყველაფერი 540 მილიონი დაუჯდება, ანუ იმაზე ნაკლები, რამდენიც წინა წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვერ დახარჯა და ბიუჯეტში მორჩა. გვერწმუნეთ, ამ ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, იმ სავარძლებსაც უფრო მარტივად შეინარჩუნებთ, ასე ძალიან რომ ებღაუჭებით, და ქვეყანასაც ეშველება.** იმასაც გეტყვით, რომ აღნიშნული ინიციატივის შემდეგ შობადობა მოიმატებს და შესაძლოა, მეტის გადახდა მოგიწიოთ, მაგრამ გვერწმუნეთ, თქვენ მიერ გაღებული თანხა ისევ საქართველოში დატრიალდება, ისევ აქ ჩაიდება და ისევ ბიუჯეტს დაუბრუნდება. უბრალოდ, ხალხი ამოისუნთქავს და უფულობის გამო ოჯახის შექმნაზე უარს არ იტყვის.

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ისინი ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ სამხედრო წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის წრეებში. დავუშვათ, ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ეს ომი იქნება ბურჟუაზიისთვის ყველაზე საშიში“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4-5 (475-476)

# სტალინის ბოლო დუელი

## სტალინი სლავების სამსახურში და მოკავშირეთა ვერაგობა

„იბადებოდა ქვეყნის სიცოცხლე,
თითქოს იმ აკვანს ფესვით მიება,
იბადებოდა ქალდეველ მონის,
რომის პლებეის შურისძიება“.

*გ. ლეონიძე*

**ევროპა თვეში ჩამდგარი ქალბატონია, რომელმაც, ეს-ეს არის, უნდა შვას ახალი ჰიტლერი. მკითხველმა ცუდად რომ არ გამიგოს და ახალი ფიურერის დაბადება ანგელა მერკელზე არ გადაიტანოს, უნდა განვმარტო, რომ მონები ფიურერებსა და მთავარსარდლებს ვერ შობენ...**

1943 წელს, სტალინგრადის ბრძოლების გმირული ეპოპეის შემდეგ, ფაშიზმის მზის ჩასვენების აღსანიშნავად გენიალური ტილო შექმნა დიდმა ესპანელმა მხატვარმა **სალვადორ დალიმ.** მან თავის შედევრში — „გეოპოლიტიკური ჩვილი, რომელიც აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას“ — ზრდასრულად ცნო კვერცხის ფორმის დედამიწის შუაგულში ჩასახული ადამიანი, რომელმაც კვერცხის თუ დედამიწის სფეროს კედელი გამოანგრია, რადგან მეტი სივრცე და ჰაერი სჭირდებოდა და გარეთ გამოსვლას ცდილობს. დაბადებას, როგორც ჩანს, ყველგან სისხლი სდევს და არც ამ ტილოზეა სისხლის ნაკლებობა, მაგრამ საინტერესო არის ის, რომ დედამიწის სფეროს შუაგულიდან სიცოცხლის დაბადებას თვალყურს ადევნებს გეოპოლიტიკოსი და მისი საჩვენებელი თითი მიმართულია ორ ზღვას შუა მდებარე კავკასიონისკენ, სადაც დიდმა მხატვარმა, პირობითად, სრულიად ახალი სიცოცხლის დაბადება იწინასწარმეტყველა.

ვერც ევროპა შობს ახალ **ჰიტლერს** და ვერც დედამიწის ქერქს გამოანგრევს ახალი **სტალინი,** მაგრამ, თუ რეალურად შევხედავთ მოვლენებს, დავინახავთ, რომ აშკარაა კაპიტალიზმის კრიზისი, რომელმაც თავის უფსკერო ჯურღმულებში ჩაითრია არა მხოლოდ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები, არამედ თითქმის სრულიად მსოფლიო. **რით შეუძლია კაპიტალისტურ სისტემას, იხსნას თავი საფრთხისაგან, რომელიც, ალბათ, გარდაუვალია?**

ცნობილი გამოთქმა „ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია“ მიესადაგება **1934 წლის 26 იანვარს** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობაზე სტალინის მიერ წინასწარმეტყველურად წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც დღევანდელი მსოფლიო კრიზისის სარკისებური ანარეკლია.

„კაპიტალიზმს აღარ შეუძლია, გამოსავალი გამონახოს ახლანდელი მდგომარეობიდან მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, რის გამოც იძულებულია, მიმართოს ომის პოლიტიკას. როგორც ხედავთ, საქმე მიდის ახალი იმპერიალისტური ომისკენ, როგორც გამოსავლისკენ ახლანდელი მდგომარეობიდან. რასაკვირველია, არ არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ომს შეუძლია, მისცეს მათ ნამდვილი გამოსავალი. პირიქით, მან კიდევ უფრო უნდა გაართულოს მდგომარეობა. უფრო მეტიც, ის უეჭველად ხელს გაუხსნის რევოლუციას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს კაპიტალიზმის არსებობას მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველი იმპერიალისტური ომის მსვლელობისას. და, თუ, მიუხედავად პირველი იმპერიალისტური ომის გამოცდილებისა, ბურჟუაზიული პოლიტიკოსები მაინც ებღაუჭებიან ომს, როგორც წყალწაღებული ხავსს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ, ჩიხში მოემწყვდნენ და მზად არიან, თვალდახუჭული გადაეშვან უფსკრულში. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, მოკლედ განვიხილოთ ომის ორგანიზაციის გეგმა, რომელსაც ახლა ამუშავებენ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ წრეებში. **კაპიტალისტები ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოაწყოს „უმაღლესმა რასამ“, ვთქვათ, გერმანულმა, „დაბალი რასის“, პირველ რიგში, სლავების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ასეთ ომს შეუძლია მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან „უმაღლესი რასა“ მოწოდებულია, გაანაყოფიეროს „დაბალი რასა“ და იბატონოს მასზე.** დავუშვათ, ეს უცნაური თეორია, რომელიც ისევე დაშორებულია მეცნიერებისგან, როგორც ცა დედამიწისგან, განახორციელეს პრაქტიკულად. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? ცნობილია, რომ ძველი რომი სწორედ ისე უყურებდა გერმანელებისა და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად უყურებენ „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლები სლავურ ტომებს. ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ „დაბალ რასას“, „ბარბაროსებს“, რომლებიც მოწოდებულნი არიან, მუდამ ემორჩილებოდნენ „უმაღლეს რასას“ — „დიდ რომს“; ამასთანავე (ჩვენ შორის დარჩეს), „ძველ რომს“ ჰქონდა ამის ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ამჟამინდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლებზე. მერე რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ ყველა არარომაელი, ესე იგი, ყველა „ბარბაროსი“ გაერთიანდა საერთო მტრის წინააღმდეგ და იერიშით დაამხეს რომი. ჩნდება კითხვები: სად არის გარანტია, რომ ამჟამინდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენელთა პრეტენზიები არ მიიყვანს მათ სავალალო შედეგებამდე? სად არის გარანტია, რომ ფაშისტი პოლიტიკოსები ბერლინში უფრო ბედნიერი იქნებიან, ვიდრე ძველი და გამოცდილი დამპყრობლები რომში? განა უფრო მართებული არ იქნება, წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შედეგი? **მეორენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ სამხედრო წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის წრეებში.** დავუშვათ, ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ეს ომი იქნება ბურჟუაზიისთვის ყველაზე საშიში. ის იქნება ყველაზე საშიში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვრისთვის, არამედ იგი ყველაზე საშიში იქნება ბურჟუაზიისთვის, იმიტომ, რომ ომი იწარმოებს არა მხოლოდ ფრონტებზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგშიც. ბურჟუაზიას შეუძლია, ეჭვი არ შეიტანოს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი ევროპელი და აზიელი მეგობრები შეეცდებიან, ზურგიდან დაჰკრან თავიანთ მჩაგვრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ. და ჩვენ ნულარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ მათთვის ახლობელი მთავრობები, რომლებიც ამჟამად განცხრომით მეფობენ „წყალობითა ღვთისათა“. თუ გახსოვთ, 15 წლის წინათ უკვე იყო ერთი ასეთი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ყველასგან პატივცემულმა ჩერჩილმა მაშინ ეს ომი გამოხატა პოეტური ფორმულით „თოთხმეტი სახელმწიფოს შესევა“. რასაკვირველია, ამ ომმა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მჭიდროდ გააერთიანა ბანაკად თავდადებული მებრძოლებისა, რომლებიც მკერდით იცავდნენ თავიანთ მუშურ-გლეხურ სამშობლოს მტრებისგან. თქვენ იცით, იგი რით დამთავრდა. იგი დამთავრდა ინტერვენტების განდევნით ჩვენი ქვეყნიდან და რევოლუციური „მოქმედების კომიტეტების“ შექმნით ევროპაში. არა მგონია, საეჭვო იყოს, რომ მეორე ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოჰყვება თავდამსხმელთა სრული დამარცხება, რევოლუცია ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში და ამ ქვეყნების ბურჟუაზიული მთავრობების დამხობა. ასეთია გზააბნეული ბურჟუაზიული პოლიტიკოსების საომარი გეგმები. როგორც ხედავთ, ისინი არ ბრწყინავენ არც ჭკუით, არც მამცობით“ **(სტალინის საანგარიშო მოხსენება პარტიის მე-17 ყრილობაზე. 1934 წელი, გვ. 16-17).**



იოსიფ ბროზ ტიტო და სტალინი

> **«კაპიტალისტები ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოაწყოს «უმაღლესმა რასამ», ვთქვათ, გერმანულმა, «დაბალი რასის», პირველ რიგში, სლავების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ასეთ ომს შეუძლია მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან «უმაღლესი რასა» მოწოდებულია, გაანაყოფიეროს «დაბალი რასა» და იბატონოს მასზე»**

თუ სიტყვა **გერმანია-**ს ჩავანაცვლებთ **აშშ**-თი, სტალინის მიერ 85 წლის წინათ წარმოთქმული სიტყვა მყისვე გათანამედროვდება.

ნათელმხილველის ნათქვამის ახდენა 1939 წელს დაიწყო, როდესაც კაპიტალისტური სამყაროს წაქეზებითა და მხარდაჭერით ჰიტლერი პოლონეთში შეიჭრა. სლავური სახელმწიფოები ფიურერმა საზეიმო მარშით შემოიარა. დაპყრობილი ქვეყნების მილიონობით ადამიანი ქუჩაში ხვდებოდა კაბრიოლეტში ხელაწეულ ჰიტლერს და ერთხმად იძახდა: „ჰაილ, ჰიტლერ!“. პასუხიც ერთი იყო: „ჰაილ!“.

* * *

1945 წლის 23 მარტს კრემლს ესტუმრა ჩეხოსლოვაკიის სამთავრობო დელეგაცია. სტალინმა სტუმრებთან საუბარში განაცხადა: „ახლა ბევრს საუბრობენ სლავოფილობასას და სლავოფილებზე. ჩვენ ხშირად გვადარებენ ძველ, ცარიზმის დროინდელ სლავოფილებს. ეს არ არის სწორი.

ძველი სლავოფილები, მაგალითად, **აქსაკოვი** და სხვები, მოითხოვდნენ ყველა სლავის გაერთიანებას რუსი მეფის ხელისუფლების ქვეშ. მათ არ ესმოდათ, რომ ეს მავნე, განუხორციელებელი იდეა იყო. სლავ ხალხებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული ცხოვრების წესი აქვთ, განსხვავებული კულტურული დონე და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა. სლავ ხალხთა გეოგრაფიული მდებარეობა ასევე უშლის ხელს მათ გაერთიანებას.

ჩვენ, ახალი სლავოფილები, ბოლშევიკი-სლავოფილები, კომუნისტები, მხარს ვუჭერთ არა გაერთიანებას, არამედ სლავი ხალხების კავშირს. **მიგვაჩნია, რომ, პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული სხვაობის მიუხედავად, ყველა სლავი კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან ჩვენი საერთო მტრის — გერმანელთა, წინააღმდეგ. სლავთა ცხოვრების მთელი ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენ კავშირი გვჭირდება სლავურობის დასაცავად.**

აი, თუნდაც ბოლო ორი მსოფლიო ომი, რატომ დაიწყო ისინი? — სლავების გამო. გერმანელებს სლავების დამონება სურდათ. **ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ ომებში? — როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები.**

განა ამ ომშიც იგივე არ ხდება? განა საფრანგეთი უფრო დაზარალდა? — არა. ფრანგებმა გაუხსნეს ფრონტი გერმანელებს. მათ საფრანგეთის ჩრდილოეთის ნაწილის მსუბუქი ოკუპაცია მოახდინეს, სამხრეთ ნაწილს კი ხელიც არ ახლეს. ასევე, ბელგიამ და ჰოლანდიამ მყისვე ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დარწმუნებული ვარ, ტიტოს ლიკვიდაცია რომ განხორციელებულიყო, ბალკანეთზე და მათ შორის იუგოსლავიაშიც მოვლენები ხალხისთვის მისაღები სცენარით განვითარდებოდა. მე-20 საუკუნის ბოლოს კი იუგოსლავიაში ის საშინელი სისხლიანი ეროვნული კატასტროფა აღარ მოხდებოდა, არ იქნებოდა კოსოვოს პრობლემა, რომლის წარმოქმნაშიც ტიტოა დამნაშავე.

◀ ასწიეს თათები მაღლა და დაუწვნენ გერმანელებს. ინგლისი მცირეოდენი ნგრევით გადარჩა. რა საშინლად დაზარალდა უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, იუგოსლაავია, ჩეხოსლოვაკია. მახეში გაება ბულგარეთიც კი, რომელსაც თავის დაძვრენა უნდოდა. ესე იგი, გერმანელებისაგან ყველაზე მეტად სლავები იტანჯებოდნენ. ახლა ჩვენ ძლიერად ვურტყამთ გერმანელებს და ბევრს ჰგონია, რომ ისინი ველარასოდეს დაგვემუქრებიან. არა, ეს ასე არ არის. მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურ შეფასებაში. გერმანელები დიადი ერია. ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია, ისინი დარჩებიან. **ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს და საქმე დასასრულისკენ მიდის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირეები ეცდებიან, გადაარჩინონ გერმანელები და მოელაპარაკონ მათ. ჩვენ დაუნდობლები ვიქნებით გერმანელთა მიმართ, ხოლო მოკავშირეები შეეცდებიან, რბილად მოექცნენ მათ. ამიტომ ჩვენ, სლავები, მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გერმანელები, შესაძლოა, ისევ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავცთა წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ, ახალი სლავოფილები, ასე მედგრად მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისკენ.** ამბობენ, რომ ჩვენ გვსურს, სლავებს თავს მოვახვიოთ საბჭოთა წყობა. ეს ლიტონი სიტყვებია. ჩვენ ეს არ გვინდა, ვინაიდან ვიცით, რომ საბჭოთა წყობის სურვილისამებრ გატანა საზღვარგარეთ არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები. ჩვენ შეგვეძლო ბულგარეთში დაგვემყარებინა საბჭოთა წყობა, იქ ეს უნდოდათ, მაგრამ არ წავედით ამაზე. ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ სლავურ ქვეყნებში, გვინდა, ჭეშმარიტად დემოკრატიული მთავრობები გვყავდეს. კავშირის შექმნით სლავები შეძლებენ ერთმანეთისთვის სამეურნეო და სამხედრო დახმარების აღმოჩენას. ამჟამად ჩვენ წარმატებით შეგვიძლია ამის განხორციელება".

1947 წლიდან საბჭოთა პოლიტიკურმა დაზვერვამ დასავლეთის სახელმწიფოების მცდელობების თაობაზე რეგულარულად დაიწყო ინფორმაციის მოძიება. ერთ-ერთი მათგანი აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ხმელთაშუა ზღვის სამხედრო ბლოკის შექმნას შეეხებოდა, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამ მცდელობების არსი სლავური ექსპანსიის წინააღმდეგ მიმართული „ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ანტანტას" შექმნის გეგმამდე მიდიოდა". **რატომ დაინტერესდნენ ანგლო-საქსები „სლავური ექსპანსიით"?!**

როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა სტალინს ბულგარეთისა და იუგოსლავიის ფედერაციების შექმნის იდეისკენ. სტალინი არ აპირებდა ბალკანეთზე გავლენის დაკარგვას, რომელთანაც რუსეთს დიდი ისტორიული წარსული აკავშირებდა, ფედერაციის შექმნა კი საბჭოთა კავშირისთვის ამ მიმართულებით შორეულ მომავალში თავდაცვის მხრივ გარკვეული დაზღვევა იქნებოდა. ორი საშინელი ომი, რომლებშიც ბალკანეთის როლი საკმაოდ დიდი იყო, დასავლეთის სახელმწიფოების მცდელობების გამო გაქარწყლდა და საბჭოთა კავშირს ზემოხსენებული რეაქციის გამოხატვის გარდა სხვა გამოსავალს არ უტოვებდა. სწორედ ამიტომ, როცა **იოსიფ ბროზ ტიტომ** ფედერაციის შექმნის იდეას მხარი არ დაუჭირა, სტალინს განრისხების სერიოზული მიზეზი ჰქონდა.

რადგან, პირველ რიგში, **სწორედ საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს იუგოსლავია და პრაქტიკულად მთელი ბალკანეთი. ამ ბრძოლის შედეგად მოპოვებული ნაყოფის დაკარგვას კი სტალინი ნამდვილად არ აპირებდა. მეორე — ტიტო თავის სიცოცხლეს სტალინს უნდა უმადლოდეს. როცა შუა ომში ჰიტლერის ჯარმა უღელტეხილზე მიიმწყვდია, სტალინის ბრძანებით, მხოლოდ საბჭოთა მფრინავებმა შეძლეს მისი გადარჩენა. ტიტოს მხრიდან გამოჩენილი უმადურობის, აგრეთვე, სლავური სოლიდარობის განმტკიცების სურვილის არქონის გამო სტალინი ძალიან იყო განრისხებული.** თუმცა ამ ყველაფერმა სტალინსა და ტიტოს შორის მხოლოდ იდეოლოგიური უთანხმოება და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გაცივება გამოიწვია. საბჭოთა ჯარები და სამოქალაქო მრჩევლები იუგოსლავიიდან გამოიწვიეს. 1948 წლის ივნისში ბუქარესტის საინფორმაციო ბიუროს სხდომაზე „იუგოსლავიის მდგომარეობის შესახებ" **ა. ჟდანოვმა** წაიკითხა მოხსენება, რომელშიც პირადად სტალინის მიერ შემდეგი რამ იყო ჩაწერილი: **„შექმნილი ვითარების გამო მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტიტოს, კარდელს, ჯილასსა და რანკოვიჩს. მათი მეთოდები ტროცკიზმის არსენალიდან არის წარმოდგენილი. ქალაქებსა და სოფლებში არასწორი პოლიტიკა ტარდება. კომპარტიაში სამარცხვინო, სუფთა თურქული ტერორისტული რეჟიმი სუფევს. ასეთი რეჟიმი უნდა დასრულდეს".** აშშ და დიდი ბრიტანეთი აქტიურად ცდილობდნენ, მომავალ ბლოკში სხვა ქვეყნებთან ერთად იუგოსლავიაც ჩაეთრიათ. შესაბამისად, ფედერაციის შექმნის იდეაზე ტიტოს უარმა სტალინი აიძულა, ეფიქრა, რომ ის ორმაგ თამაშს თამაშობდა, ცხადია, არა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ამერიკა და დიდი ბრიტანეთი ტიტოს ამ ბლოკში გაწევრების სხვადასხვა პირობას სთავაზობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ტიტომ არამხოლოდ სტალინის მიერ წამოყენებული იდეის მხარდაჭერაზე თქვა უარი, არამედ დასავლეთის ქვეყნების ალიანსში გასაერთიანებლად მისთვის ხელსაყრელ ვარიანტს ირჩევდა. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამძაფრდა იმით, რომ ომის დროიდან სტალინისთვის კარგად იყო ცნობილი ბრიტანეთის დაზვერვასთან ტიტოს კონტაქტების თაობაზე.




**დღესაც, როცა ვითომდა დემოკრატია მეფობს და დასავლეთის დამშინებელი «საბჭოთა მუქარა» ფორმალურად აღარ ისმის, დასავლეთში მაინც ძველებურად მოქმედებენ განსაკუთრებით ანგლო-საქსები. ისინი ცივილიზაციისათვის ყველაზე მწვავე მეთოდების გამოყენებას კვლავაც არ ერიდებიან**

1952 წლის დასწყისში საბჭოთა დაზვერვამ სტალინს დამაჯერებელი მტკიცებულებები წარუდგინა იმის შესახებ რომ, ბელგრადი დასავლეთის სახელმწიფოებთან როგორც პირდაპირი, ასევე შუამავლების მეშვეობით გარკვეულ ვაჭრობას ანხორციელებდა. საბჭოთა დაზვერვამ სტალინს ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების — **ავერელ ჰარიმანისა** და **ენტონი იდენის** ბელგრადში ტიტოსთან კონფიდენციალური ვიზიტების შესახებ შეატყობინა. დაზვერვის სამსახურის მიერ ჰარიმანის ვიზიტის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაში აღნიშნული იყო:

**„იუგოსლავიაზე კონტროლის მოსაპოვებლად და ამ ფორმით მისი პოტენციალის გამოსაყენებლად ამერიკა ნებისმიერ ვარიანტს დასჯერდება, რომელიც იუგოსლავიის მთავრობას სერიოზულ მიზეზს არ შეუქმნის და ქვეყანაში მემარცხენე ოპოზიციის გაჩენის სერიოზულ საფუძველს არ მისცემს".** სტალინისთვის ეს „ნებისმიერი ვარიანტი" საკმარისი აღმოჩნდა. ამერიკის მიერ ბალკანეთზე მსგავსი იდეის განხორციელება სსრკ-ისთვის „ტროას ცხენის" ტოლფასი იქნებოდა, რაც საკუთარი უსაფრთხოებით ისედაც შეწუხებულ სსრკ-ს სულაც არ სჭირდებოდა. ამერიკა ხომ, თავისი ბლოკის სტრატეგიის მიხედვით, საბჭოთა საზღვრების პერიმეტრზე ისედაც ქმნიდა სამხედრო ბაზებს. ამ ყველაფერთან ერთად სტალინისთვის ცნობილი შეიქნა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრის შესახებ იუგოსლავიის ელჩთან, რომელიც პარიზში შედგა. დადგინდა, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იუგოსლავიის ელჩს უხსნიდა, რომ „ალპები-დარდანელის ფრონტში" მონაწილეობა საბჭოთა კავშირისგან ხმელთაშუა ზღვის დაცვას ნიშნავდა. იმხანად თურქეთი უკვე „ნატოს" წევრი იყო, შესაბამისად, იგი ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მითითებებს ასრულებდა. ცოტა მოგვიანებით საბჭოთა დაზვერვამ სტალინს იტალიის მხრიდან იუგოსლავიის ბლოკში გაწევრების საკითხით დაინტერესების შესახებაც აცნობა. 1952 წელს კი დაზვერვამ სპეციალური ინფორმაცია გაუგზავნა: **„ხმელთაშუა ზღვაზე ანტისაბჭოთა პლაცდარმის გაძლიერების მიზნით, ამერიკის ხელმძღვანელ წრეებში ცდილობენ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში იუგოსლავიის გარდა საბერძნეთი, თურქეთის იტალია და სხვა ქვეყნებიც ჩართონ. ბალკანეთის რაიონში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა ნატოსთან მჭიდრო კავშირში იმყოფება".** დოკუმენტში, აგრეთვე, აღნიშნული იყო, რომ აშშ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებას აპირებდა. აქვე საუბარი იყო იმის შესახებაც, რომ გენერალმა **ეიზენჰაუერმა** ბლოკის შექმნის საკითხზე საბერძნეთისა და თურქეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები აწარმოა, რომლის მსვლელობის დროსაც მასში იუგოსლავიის ჩათრევის შედარებით შესაფერისი ფორმები განიხილებოდა. **ყოველივე ეს სსრკ-სა და მის მოკავშირე სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებს კოლოსალურ საფრთხეს უქმნიდა. აი რატომ იყო, რომ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მცდელობების შესახებ მიღებული პირველივე ინფორმაციის შემდეგ სტალინმა ბულგარეთისა და იუგოსლავიის ფედერაციის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ტიტოს მხრიდან უარი კი სტალინისთვის იუგოსლავიის ლიდერის ორმაგ თამაშს ნიშნავდა. მით უმეტეს, რომ სტალინს ტიტოსა და დიდი ბრიტანეთის კონფიდენციალური კონტაქტების შესახებ ინფორმაცია უკვე, დიდი ხანია, ჰქონდა.**

როდესაც ტიტოს დათანხმების მცდელობები საბოლოოდ ჩაიშალა, დაზვერვამ კი სტალინს შეატყობინა, რომ „ამერიკას იუგოსლავიაში კონტროლის დასამყარებლად ნებისმიერი ვარიანტი აძლევს ხელს", როგორც ჩანს, სტალინის მოთმინების ფიალა აევსო და ტიტოს ლიკვიდაციის ბრძანებაც გასცა. არსებული ვითარება ტიტოს ხელისუფლებიდან ჩამოშორების სხვა, შედარებით რბილი ვარიანტის შერჩევის შანსს არ იძლეოდა. იუგოსლავიის სახელმწიფო კონტრდაზვერვის სამმართველოს განყოფილების ხელმძღვანელის, გენერალ **ე.შაშიჩის** მიერ ტიტოს ლიკვიდაციის საკითხის მოგვარებისას ვითარება გართულდა. ამ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა სპეცსამსახურის თითქმის ყველა აგენტი გააუვნებლეს — 1948-1953 წლებში იუგოსლავიაში 29 საბჭოთა აგენტი დააპატიმრეს.

შედეგად საბჭოთა დაზვერვას ტიტოს ლიკვიდაციის ოპერაციისთვის შესასრულებლად სხვა გზის მონახვა მოუწია. გვიან შემოდგომაზე ამ ოპერაციისთვის აგენტ „მაქსის" მონაწილეობით ახალი გეგმა შეიმუშავეს, რომელიც თავის დროზე **ლევ ტროცკის** ლიკვიდაციის ოპერაციაში მონაწილეობდა. ამ აგენტის მონაწილეობით ტიტოს ლიკვიდაციისა და ოპერაცის ორგანიზების შესახებ ბევრი დაიწერა. ყველაზე ბოლო და საუკეთესო წიგნია „სტალინის სუპერაგენტი"(ვ. მ. ჩიკოვი, მ. 2007).

ასეთია სიმართლე ზემოთ მოცემულ მოვლენებზე. რა თქმა უნდა, ეს სიმართლე შეიძლება ვიღაცას ხელს არ აძლევდეს, თუმცა ასეთებს შევახსენებით, რომ ის დრო სრულიად განსხვავებული იყო. ომისა და მშვიდობის საკითხები უკიდურესი სისასტიკით წყდებოდა. თანაც საკუთარი უსაფრთხოებისთვის არც ევროპა და არც სსრკ ლიკვიდაციის საშუალებების გამოყენებას არ ერიდებოდა. მით უმეტეს, როცა „მცირე ზარალის მიყენების სანაცვლოდ შედარებით დიდი ზარალის თავიდან არიდება" შეიძლებოდა, რაც, როგორც წესი, დაზვერვის მიერ განხორციელებული საიდუმლო ოპერაციებისთვის იყო დამახასიათებელი. ასე რომ, სტალინისა და მისი სპეცსამსახურების დანაშაულების არანაირი საფუძველი არ არსებობს.

სსრკ-ის წინააღმდეგ ომი მიმდინარეობდა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცივი ომი იყო, საბჭოთა კავშირი ამის გამო თავს კომფორტულად სრულიადაც არ გრძნობდა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ყველაფერი, რაც სახელმწიფოს უსაფრთხოებას ეხებოდა, შეძლებისდაგვარად პრევენციულად და უზარმაზარი სახსრების გამოყენებით კეთდებოდა. კიდევ ვიმეორებ, რომ სსრკ-ში გამოსაყენებელი საშუალებების არჩევისას მორიდებული არ იყვნენ, ისევე როგორც ბარიკადებს მიღმა. სხვათა შორის, **დღესაც, როცა ვითომდა დემოკრატია მეფობს და დასავლეთის დამშინებელი „საბჭოთა მუქარა" ფორმალურად აღარ ისმის, დასავლეთში მაინც ძველებურად მოქმედებენ განსკუთრებით ანგლო-საქსები. ისინი ცივილიზაციისათვის ყველაზე მწვავე მეთოდების გამოყენებას კვლავაც არ ერიდებიან, თუმცა რუსეთის უსაფრთხოების სამსახურებიც ადეკვატურად რეაგირებენ.**

მართალია, ისტორიას სუბიექტურობა არ უყვარს, მაინც გავბედავ და საკუთარ მოსაზრებას გამოვთქვამ: **დარწმუნებული ვარ, ტიტოს ლიკვიდაცია რომ განხორციელებულიყო, ბალკანეთზე და მათ შორის იუგოსლავიაშიც მოვლენები ხალხისათვის მისაღები სცენარით განვითარდებოდა. მე-20 საუკუნის ბოლოს კი იუგოსლავიაში ის საშინელი სისხლიანი ეროვნული კატასტროფა აღარ მოხდებოდა, არ იქნებოდა კოსოვოს პრობლემა, რომლის წარმოქმნაშიც ტიტოა დამნაშავე.** სერიოზული საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ვიფიქროთ: ალბანელებით კოსოვოს მჭიდროდ დასახლების აზრი ტიტოს ბრიტანულმა დაზვერვამ შთააგონა. შედეგი ყველასათვის ცნობილია. ამ დროს კი, გინდა თუ არა, ნანობ, რომ ტიტო თავის დროზე ლიკვიდირებულ არ იქნა... თუმცა მოვლენები ისევ ისე წარიმართებოდა, რადგან სტალინის დღეები უკვე დათვლილი იყო. ჩინგის ხანის საფლავის გახსნას მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა, ვნახოთ, რა მოჰყვება ტელეფონიანი ჩინგის ხანის საფლავის გახსნას.

(გაგრძელება იქნება)

სანდო წყარო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის გართულებული მდგომარეობა აშშ-სთან ტრამპის პოლიტიკის შედეგი კი არ არის, არამედ იმის ბრალია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ქვეყანას ვერ მართავს. ეს ფუნქცია გადავიდა კონგრესისა და სენატის ხელში, რომლებიც ყოველთვის უკიდურესად ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობილებით გამოირჩეოდნენ და ინტელექტუალური პოლიტიკური განვითარების უკიდურესად დაბალი დონით იყვნენ დაღდასმული.**

**და კვლავ, ამჯერად არა მხოლოდ მრავალმილიონიანი ტელეაუდიტორიის პოპულარული ანალიტიკოსის, არამედ „საქართველო და მსოფლიოს“ განათლებული მკითხველებისთვის უკვე ცნობილი იაკობ კედმის შეფასებებს წარმოგიდგენთ მსოფლიოში დღეს მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე. პრინციპულს, უკომპრომისოსა და ზოგჯერ მოულოდნელს, მაგრამ ყოველთვის ყურადღების მისაქცევ პოზიციას.**

# წააკითხეთ ეს წერილი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს. არ აწყენთ!

# რატომ იქცა რუსეთი აშშ-ის უპირველეს მტრად

## ისტორიის გადაწერის მცდელობა

— ისრაელის ყველა სკოლაში ერთი კვირის განმავლობაში შეისწავლიან ჰოლოკოსტის მემკვიდრეობას, — ამბობს **კედმი**, — მე არ მიყვარს ეს სიტყვა: რადგან რუსულად ვლაპარაკობთ, რუსული შესატყვისი უნდა ვიხმაროთ — კატასტროფა. ისევე, როგორც ოსვენციმი ოსვენციმია და არა გერმანული აუშვიცი.

კედმი გაკვრით მიგვანიშნებს, რომ პოლონელების ინიციატივა საკუთარი ისტორიისთვის ფაშისტური ოკუპაციისდროინდელი ლაქის მოცილება გეოგრაფიული სახელების მანიპულირებით ფუჭი მცდელობაა და ძალიან ჰგავს პოლიტიკური კონიუნქტურისთვის ისტორიის მორგებას, რაც ფრიად გავრცელებული მეთოდია დასავლურ ისტორიოგრაფიაში. ამას აკეთებენ იმ ქვეყნის მოსახლეობის ფაშისტებთან თანამშრომლობის მისაფუჩეჩებლად, რომელიც გერმანელების მიერ დაპყრობილ სახელმწიფო წარმონაქმნებში ხორციელდებოდა.

— ეს კანონი (ჰოლოკოსტის შედეგების სწავლების შესახებ ისრაელში) ჰგავს დიდ ბრიტანეთში შემოღებულ წესს, რომლითაც აიკრძალა ებრაელთა კატასტროფის ხსენება არა მარტო გაკვეთილებზე, არამედ საერთოდაც, რათა არ შეურაცხყონ მუსლიმი მოსწავლეების (და, საერთოდ, მუსლიმთა) გრძნობები. იმ მეთოდებს ჰგავს, რომლებსაც ორი ათასი წლის განმავლობაში სირიაში ებრაელთა წინააღმდეგ, დღეს კი, საერთოდ, რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენებენ.

**რუსეთს წარმოგვიდგენენ, როგორც აბსოლუტურ ბოროტებას, რომლის ბრალიცაა დღეს არსებული ყველა პრობლემა. 1990-იან წლებშიც ამას აკეთებდნენ, მაგრამ თქვენ (მიმართავს კედმი რუსულ აუდიტორიას) ამას ვერ ხვდებოდით, თუმცა აშკარად ჩანდა. რუსეთს მიიჩნევდნენ დანაშაულის ერთ-ერთ უსაშინელეს კერად. ვერაფერი სხვა ვერ მოძებნეს და ეს დააბრალეს — „რუსული დამნაშავეობა“ წალეკავსო რუსეთს.**

ვინ ისარგებლა ამით ყველაზე მეტად? — სვამს კითხვას კედმი და, როგორც სპეცსამსახურის პროფესიონალი, თავადვე უპასუხებს: **MI-5**-მა და აშშ-ის **გამოძიების ფედერალურმა ბიურომ.** ისინი მოითხოვდნენ დამატებით სახსრებს რუსული მაფიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიმდინარეობდა რუსეთის დემონიზაცია ყველა მიმართულებით.

**ანალიტიკოსი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ დღესაც იგივე მეორდება, ყველა დარგსა და სფეროში რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს ტოტალური ომი, მათ შორის, პროპაგანდისტულიც:**

— და როცა თქვენ აბსოლუტურ ბოროტებად გაცხადებენ, უნდა იცოდეთ, რატომ აკეთებენ ამას. აბსოლუტური ბოროტება აბსოლუტურად უნდა განადგურდეს. მას არსებობის უფლება არ აქვს.

როცა **რეიგანმა** საბჭოთა კავშირს აბსოლუტური ბოროტება უწოდა, იგი სწორედ ამას გულისხმობდა.

აბსოლუტურ ბოროტებად წარმოგიდგენენ დღესაც.

თქვენ როგორ რეაგირებთ?

და, როგორც გამოცდილი მკურნალი, კედმი სვამს დიაგნოზს. აცხადებს მრავალმილიონიანი აუდიტორიის წინაშე. პაციენტის თანდასწრებით:

**— ბოლო პერიოდში დაიწყეთ თავის მართლება და... მეტი არაფერი. თქვენ არ იბრძვით. თქმა იმისა, ასეთები არ ვართო, ბრძოლას არ ნიშნავს. თქვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, ჩხუბში თავს კი არ იცავენ, ურტყამენო! თქვენ კი თავს იმართლებთ. ასე განაგრძეთ, თუ გსურთ.** ***(ქვეტექსტი: ვნახოთ, რასაც მოიმკით. დავაზუსტოთ პუტინის ციტატა: „ჯერ კიდევ პიტერის ქუჩების გაკვეთილიდან მახსოვს, თუ ჩხუბი გარდუვალია, პირველმა დაარტყი!“).***

## შვილი მამის გამო პასუხს არ აგებს, მაგრამ...

— 90-იან წლებში აშშ-ის არმიის გაერთიანებულ შტაბებს სათავეში (ხუთვარსკვლავიანი) **გენერალი შალიკაშვილი** ედგა. მამამისი ფაშისტური ეს-ეს-ის ქართული ბატალიონის კაპიტანი იყო, — **იხსენებს კედმი,** — იგი გაექცა (გაერიდა) წითელ არმიას, რადგან (ასე რომ არ მოქცეულიყო) ჩამოახრჩობდნენ როგორც ეს-ეს-ელს.

*(კედმის შეეკამათებიან: — შვილი მამის გამო პასუხს არ აგებს! — უთხარით ეს ამერიკელებს, რომლებსაც სანქციების სიებში (მათთვის არასასურველი აქტორების) ოჯახის წევრებიც შეჰყავთ, — აიცდენს კედმი. — იაკობ, აუხსენით ოპონენტებს, რომ რაც მათ არ წაუკითხავთ, ის თქვენი დაწერილია. ეს ბლიცდაპირისპირება მოჰყვა ამერიკელი ჟურნალისტის რეპლიკას, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შალიკაშვილის მამა თურქეთში იყო ემიგრირებული და ფაშისტებთან შეხება არ ჰქონია. მას სთხოვეს ბოლომდე ჩაეკითხა ინტერნეტში გამოქვეყნებული ეს ინფორმაცია. წაიკითხა და ხელები ასწია: გენერალ შალიკაშვილის მამა ეს-ეს-ის ოფიცერი იყო.*

*ტოკშოუს მონაწილეებმა გულიანად იცინეს ამ კონფუზის გამო).*

**კედმი განაგრძობს:**

— რომელის შვილისგან და სხვა ნაცისტი გენერლების შვილებისგან განსხვავებით, მას (გენერალ შალიკაშვილს) არავითარი სინანული არ გამოუთქვამს მამის წარსულის გამო. არ დაუგმია. მაგრამ ეს წმინდა ამერიკული პრობლემაა.

ახლა სხვა საკითხის შესახებ.



დღეს ამერიკული ტანკები მოსკოვიდან 700 კილომეტრში დგანან. ტანკები გერმანულია, რაც ფრიად ყურადსაღებია. ხოლო F-16-ების ესკადრილიას 10 წუთი დასჭირდება ლენინგრადიდან (პეტროგრადიდან, სანკტ-პეტერბურგიდან) მოსკოვამდე მანძილის დასაფარავად.

რეალური, **პრაქტიკული შეტევა რუსეთის წინააღმდეგ (ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ შეტევასთან ერთად) დაიწყო თბილისში 2004 წელს, როცა თქვენ (რუსეთმა) მათ (დასავლეთს) მხარი დაუჭირეთ და აიძულეთ აბაშიძე, დაეტოვებინა აჭარა...**

ჯერჯერობით, დებიტ-კრედიტის ბალანსს თუ შეაჯერებთ, გაურკვეველია, რა შედეგებს მიაღწიეთ. იმათ (დასავლეთს) აქვთ: ბალტიისპირეთიც, კავკასიაც, ყაზახეთთან დაწყებული ფლირტიც, უზბეკეთთან არშიყი. არავინ იცის, საით შეაბრუნებენ ავღანეთს. ვინც ფიქრობს, რომ ამერიკელები ავღანეთით არიან დაინტერესებული ავღანეთისა და პაკისტანის გამო, ზემიამიტია.

ბოლოს: მხოლოდ თავდაცვა სასურველ შედეგს არ მოგვცემს.

## მაშ, რა ვაკეთოთ?

იაკობ კედმი ფიქრობს, რომ პასუხი ამ ტრადიციულ შეკითხვაზე რუსეთმა უკვე მიიღო უახლესი ისტორიის გაკვეთილით:

— ადამიანს, რომელსაც სჯეროდა, რომ სახელმწიფო საკუთარი ძალებით ვერაფერს გააკეთებს, **მიხეილ გორბაჩოვი** ერქვა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მან ყველაფერი დაუთმო დასავლეთს. მიაჩნდა, რომ ყველა საშინაო პრობლემას სწორედ ასე და ამით გადაწყვეტდა, ხსნა მხოლოდ დასავლეთიდან მოვიდოდა.

მაგრამ მოვიდა სხვა ამხანაგი (ელცინი), რომელსაც საგარეო პოლიტიკა არ აინტერესებდა. იჯდა ტახტზე და რით იყო გართული, ამის თქმაც კი უხერხულია. მის დროს ისეთი „შესანიშნავი“ საგარეო პოლიტიკა ხორციელდებოდა, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი **(კოზირევი)** აცხადებდა — ჩვენს ქვეყანას საგარეო ინტერესები არ გააჩნია. ყველას აქვს, რუსეთს არ ჰქონდა! ასეთმა პოლიტიკამ კატასტროფის ზღვარზე დაგაყენათ. კიდევ რამდენიმე წელიწადს ასე რომ გაგრძელებულიყო, რუსეთი არ იარსებებდა.

*(რეპლიკა: გრძნობთ, რომ ქალები, რომლებიც ახლა გვისმენენ, მზად არიან, გულში ჩაიკრან ტელევიზორები?.. კედმის ოდნავ გაეღიმება).*

— მე თქვენს ქვეყანაში ვმუშაობდი 1980-იან წლებში, ოთხმოცდაათიანებშიც, და კატასტროფის ზღვარზე თქვენი ქვეყნის მიყვანის იმავე აზრებისა და მიზეზების გამეორებას რომ ვხედავ, ცოტა არ იყოს, გაოცებული ვრჩები: ადამიანებმა ვერაფერი ისწავლეს!

ახლახან გარდაცვლილმა დიპლომატმა და მეცნიერმა **ვალენტინ ფალინმა** ჯერ კიდევ როდის განაცხადა (წაიკითხეთ მისი ნაწერები!) აბსოლუტურად ზუსტად: **აშშ-ის მიზანია, გაანადგუროს რუსეთის სახელმწიფო იმ ფორმით, როგორითაც არსებობს, ადრე თუ გვიან. თქვენი არსებობით ხელს უშლით აშშ-ს, შეინარჩუნოს მსოფლიოს ბატონ-პატრონის პოზიცია.**

ბრძოლა თქვენ წინააღმდეგ გაგრძელდება, სანქციებით თუ სხვა ფორმით. რუსული ანდაზისა არ იყოს — სურვილი თუა, მიზეზი მოინახება.

— რა გზები არსებობს ამ მიზნის მისაღწევად? — შეეკითხებიან კედმის.

— ყველა გზა, რომელიც დღეს არსებობს, — უპასუხებს ანალიტიკოსი და განაგრძობს, — ეკონომიკური სანქციები, პოლიტიკური ზემოქმედება, რუსეთის იზოლაცია.

**კედმიმ გაიხსენა ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის სპორტსმენების სახელმწიფო დროშით გამოსვლის, საერთოდ, მონაწილეობის აკრძალვის პრობლემა, როცა ოლიმპიური კომიტეტის არც ერთმა ქვეყანამ რუსეთს მხარი არ დაუჭირა, არც ერთმა ქვეყანამ არ დაიცვა სპორტის სახელი და ღირსება, რომელიც ამ გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ შელახეს. ეს ნიშნავს, რომ მას (დასავლეთს) შეუძლია თავისი ჩანაფიქრის რეალიზება ჯერ — სპორტში, შემდეგ — სხვა სფეროებში.**

— ისინი ცდილობენ თანდათან შეუზღუდონ რუსეთს განვითარების შესაძლებლობა.

— არის ეს პოლიტიკური ელიტის გადაბირების შედეგი?

— გადაბირება სპეციფიკური მეთოდია, რომელსაც გამოიყენებენ იშვიათ შემთხვევებში. ადამიანზე ზემოქმედება კი ფორმალური გადაბირების გარეშეც შეიძლება. ზეგავლენის მოხდენა მისი ამა თუ იმ ინტერესის ან ამა თუ იმ სისუსტის გამოყენებით. თუ ადამიანს აქვს რაიმე პირადი ინტერესი — მატერიალური ან სხვა, რომელიც მოწინააღმდეგის მხარის გამგებლობაშია, ყოველთვის შეიძლება ჩააგონო გაითავისოს მისი პერსონით დაინტერესებული ქვეყნის სურვილები. მაგრამ ეს გადაბირება არ არის.

## რას ნიშნავს თანამედროვე ლიბერალიზმი და დემოკრატია

ბოლო ათეული წლების განმავლობაში წარყვნეს ისეთი ცნებები, როგორებიცაა ლიბერალიზმი და დემოკრატია! ასეთ აზრზე დგას ისრაელელი საზოგადო მოღვაწე, — დემოკრატია გულისხმობს ყველა ადამიანის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს. ლიბერალიზმი გულისხმობს შემწყნარებლობასა და პატივისცემას განსხვავებული თვალსაზრისის მიმართ და არა მხოლოდ ჰომოსექსუალების მიმართ. შეერთებულ შტატებში მათთვის ასეა. განსხვავებული თვალსაზრისის მიმართ — არა. ეს ლიბერალიზმი არ არის, მას სხვა სახელი ჰქვია.

კედმი იხსენებს პანამის მაგალითს. **ამ ქვეყანას მართავდა დიქტატორი ნორიეგა, რომელიც ყოველთვის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან იღებდა ხელფასს. პრეზიდენტობის დროსაც კი.**

**ჰქონდა დამატებითი შემოსავალი — ნარკოტიკებით ვაჭრობდა.**

**მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მან პანამის არხის ნაციონალიზაცია გადაწყვიტა. ამერიკელებმა მყისვე გაუხსენეს წარსული. პანამაში შევიდნენ ამერიკის გმირული შეიარაღებული ძალები. ნორიეგა დაამხეს. მას შემდეგ პანამაში ყველაფერი დალაგდა.**

ამერიკას გაუჩნდა უდიდესი ეკონომიკური პრობლემები გერმანიასთან, სამხრეთ კორეასთან, სხვა ქვეყნებთან, რომლებიც ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად ვითარდებიან, უბრუნდებიან იმ ადგილებს, რომლებიც ეკავათ დამსახურებისამებრ და არა ამა თუ იმ ომის შედეგად.

**რუსეთის გართულებული მდგომარეობა აშშ-სთან ტრამპის** ▶

**კედმიმ გაიხსენა ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის სპორტსმენების სახელმწიფო დროშით გამოსვლის, საერთოდ, მონაწილეობის აკრძალვის პრობლემა, როცა ოლიმპიური კომიტეტის არც ერთმა ქვეყანამ რუსეთს მხარი არ დაუჭირა, არც ერთმა ქვეყანამ არ დაიცვა სპორტის სახელი და ღირსება, რომელიც ამ გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ შელახეს. ეს ნიშნავს, რომ მას (დასავლეთს) შეუძლია თავისი ჩანაფიქრის რეალიზება ჯერ — სპორტში, შემდეგ — სხვა სფეროებში.**

საერთო წყარო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოცდაათიანი წლების ბოლოს იგი (ჰოლივუდი) გაურიგდა ჰიტლერს, და არ გადაუღია ისეთი ფილმი, რომელშიც დაგმობილი კი არა, რაიმე ფორმით მითითება ყოფილიყო ნაცისტურ გერმანიაზე. გამონაკლისი მხოლოდ მტრად შერაცხილი ჩარლი ჩაპლინი იყო. ჰოლივუდი სრული შეგნებით მხარს უჭერდა ამერიკის პოლიტიკას, საკუთარი რწმენით და ყოველგვარი დაძალების გარეშე. ამერიკული რასიზმით იყო გაჟღენთილი ყველა ფილმი ვიეტნამის ომზე, ავღანეთის შესახებ. ყველა ფილმი, სილვესტერ სტალონეს ფილმებით დაწყებული, გაჟღენთილია რასიზმით ამერიკის შეერთებული შტატების მტრების მიმართ, ვიეტნამელები არიან ისინი თუ ავღანელები, სერბები თუ სხვები**

**პოლიტიკის შედეგი კი არ არის, არამედ იმის ბრალია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ქვეყანას ვერ მართავს. ეს ფუნქცია გადავიდა კონგრესისა და სენატის ხელში, რომლებიც ყოველთვის უკიდურესად ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობილებით გამოირჩეოდნენ და ინტელექტუალური პოლიტიკური განვითარების უკიდურესად დაბალი დონით იყვნენ დაღდასმული.**

ტრამპი იძულებულია, შეასრულოს ის, რასაც მას მიაწერენ.

ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოსთვის თქვენ თვითონ მოშალეთ არმია, გაანადგურეთ სამხედრო მრეწველობა, ეკონომიკა საშინელ დღეში ჩააგდეთ, ქვეყნის მართვა თვითდინებაზე მიუშვით.

საკითხავია, **რატომ არ მიიყვანა აშშ-მა ეს პროცესი ბოლომდე? ამას ხომ მცირე ჩარევას ჭირდებოდა? მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, რომელიც ადრეც მითქვამს და ყოველთვის გავიმეორებ — ეშინოდათ, რომელიმე რაკეტა შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არ დავარდნილიყო.**

ვერ გაამართლეთ აშშ-ის იმედი. **იმის ნაცვლად, რომ გაგეგრძელებინათ დეგრადაციის პროცესი და მისულიყავით იმ მდგომარეობამდე, რომელზეც ოცნებობდნენ ამერიკელები, დაჩოქილი რუსეთი ფეხზე წამოაყენეთ, წელში გაიმართეთ. და ამიტომ შტატების ყველაზე დიდი მტერი გახდით, შეურაცხყავით ამერიკელების საუკეთესო გრძნობები, დაამცირეთ. ხელი შეუშალეთ მათ მისწრაფებას, მსოფლიო რუკაზე წაეშალათ თქვენი ქვეყანა, აღეგავათ იგი პირისაგან მიწისა.**

*(შეკითხვა: დაინტერესებულია თუ არა რუსეთი წინააღმდეგობა გაუწიოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკას მსოფლიო მასშტაბით?)*

კედმი ამ შეკითხვას უკრაინის მაგალითის განხილვით უპასუხებს. მისი აზრით, „ნეზალეჟნაიაში" მიმდინარეობს პროცესი, რომლის დროსაც მოფაშისტო „შტურმოვიკები" (მოიერიშე ჯგუფები) წარმართავენ „ქუჩის განწყობილებას", პოლიცია ან უძლურია, ან მათ („შტურმოვიკების") ნებას ემორჩილება. ე.ი., უკრაინა სავსებით გარკვევით 1933 წლისკენ ისწრაფვის და თანდათან უახლოვდება. ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად უკრაინა იძულებული იქნება, ძალის გამოყენებით გაანადგუროს ნაცისტური თუ პრონაცისტული გარეწრები. მათმა გამოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროპული თუ სხვა დემოკრატიები ამ „ამხანაგებს" ვერ მოერევიან. კიევში მოქმედი ხელისუფლების პირობებში სასამართლოს გადაწყვეტილებით ვერაფერი შეიცვლება. როცა ეს ხელისუფლება დაემხობა, მას კი მხოლოდ ძალის გამოყენებით შეცვლიან, მაშინ გათავისუფლდება უკრაინა.

არის ასეთი ამერიკული ანდაზა: თუ იხვივით დააბოტებს და იხვივით ყიყინებს, მაშასადამე, იგი იხვია. თუ ისინი



იაკობ კედმი ისრაელის არმიაში

**ამერიკელების პროფესიული დაავადებაა: სჯერათ იმის, რაც მათთვის არის სასარგებლო. ენდობიან მათ, ვისთანაც ეადვილებათ საუბარი, რადგან სახეიროა. მე ეს პირადი გამოცდილებით ვიცი, მოწმე ვარ იმ დროიდან, როცა რუსეთში ვმუშაობდი. ისინი (ამერიკელები) ურთიერთობდნენ მხოლოდ მათთან, ვინც ეუბნებოდა იმას, რისი გაგონებაც სურდათ. და... ვერ იგებდნენ, რა ხდებოდა რუსეთში**

„შტურმოვიკებივით" დადიან, თუ ისინი ნაცისტურ იდეოლოგიას აღიარებენ, თუ ისინი იმგვარად მოქმედებენ, როგორც კრემენჩუგში პოლიციის წინააღმდეგ, მაშასადამე, ისინი „შტურმოვიკები" არიან.

ეს ერთი.

მეორე. თუ დღეს საფრანგეთში გამართავენ დემონსტრაციას ლოზუნგით „ფრანგული წესრიგი", მსოფლიო შეძრწუნდება; დანიაში — „დანიური წესრიგის" დროშას თუ ააფრიალებენ, მთელი ევროპა აიქოჩრება. აღარაფერს ვამბობ გერმანიაზე. გერმანიას თავი დავანებოთ. ვერც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში მსვლელობას ვერ გაბედავს ვერცერთი ჯგუფი ნაცისტური ლოზუნგებით. და, თუ უკრაინაში მაინც გაბედავენ, ვნახოთ, როგორი რეაგირება ექნება ფაშიზმის ასეთი დემონსტრაციის მიმართ დღევანდელ ევროპას. ხოლო იმას, რაც ახლა უკრაინაში ხდება, ვერ შეედრება წვრილმანი ნაცისტური გამოხდომები, რომლებიც აქა-იქ შეინიშნება ევროპულ ქვეყნებში.

*(რეპლიკა: ამერიკელები ვერ განასხვავებენ პროპაგანდას და სიმართლეს. მათ სჯერათ თავიანთი პროპაგანდის. თვითკრიტიკული ერი არ არის).*

— შემიძლია დაგისახელოთ მაგალითი ჩემი ქვეყნის პრაქტიკიდან. ჩვენ აშშ-ის მტრები არ ვართ. 1992 წელს არჩევნები იყო ისრაელში. მაშინ რუსეთიდან ბევრი ჩამოდიოდა აღთქმულ ქვეყანაში. ამერიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გაიღებდა 10 მილიარდი დოლარის სესხს ახალჩამოსულთა დასახმარებლად. მაგრამ, ამასთანავე, ამერიკის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ამ ფულს არ მისცემდა **იცხაკ შამირის** მთავრობას. მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიღებთ, თუ ისრაელს ახალი მთავრობა ეყოლებაო. ამან იმუშავა. რუსეთიდან ჩამოსულებს პირდაპირ უთხრეს — თუ გსურთ, მიიღოთ დახმარების ფული, ხმა მიეცით სხვა მთავრობას და არა იმას, რომელიც არის.

ანალიტიკოსი მოიშველიებს 1953 წლის მაგალითსაც, როცა ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და სმ-6-მა დააფინანსეს დემონსტრაციები, რომლებიც მიმართული იყო ირანის დემოკრატიულად არჩეული პრემიერმინისტრის **მოსადიკის** წინააღმდეგ და ქვეყნის სათავეში ირანის შაჰის — **რეზა ფეჰლევის** მომხრე ძალების მოსაყვანად.

— ამერიკელებმა თავად აღიარეს ყველაფერი.

ის, რაც მას შემდეგ განვითარდა აღნიშნულ ქვეყანაში, აქ იღებს სათავეს. მსოფლიოში ერთ-ერთმა სერიოზულმა გაზეთმა „ეკონომისტმა" დაბეჭდა წერილი, რომელშიც სავსებით ღიად და თავხედურად ასეთი რამ იყო განცხადებული: **ჩვენ უნდა დავეხმაროთ რუსეთის ოლიგარქებს პუტინის გზიდან ჩამოცილებაში, ისევე, როგორც 1996 წელს დავეხმარეთ მათ ელცინის ხელისუფლების შენარჩუნებაში. ეს არ იყო უბრალო მოწოდება, რომელიც გაზეთმა დაბეჭდა. ერთი მხრივ, ეს იყო კონსტანტაცია ფაქტისა და, მეორე მხრივ, მოწოდება მოქმედებისკენ, რათა იმ მეთოდებით, რომლებითაც ხელი შეუწყვეს რუსეთის ხელისუფლების შეცვლას ამერიკული ფულითა და რუსეთის ოლიგარქების დახმარებით, იგივე გაეკეთებინათ პუტინის დასამხობად.**

დასასრულ, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ამერიკული სანქციების ორი მიზნის შესახებ.

პირველი პრაქტიკულია: **რუსულ ეკონომიკას არ მისცენ საკმარისი განვითარების საშუალება ქვეყნის უშიშროების განსამტკიცებლად.**

მეორე მიზანი **რუსეთში ცხოვრების დონის დაკნინებაა ისე, რომ ქვეყნის მოსახლეობამ იგრძნოს და ხმა არ მისცეს თავის ხელისუფლებას. ამერიკელები ამას არ მალავენ, ღია ტექსტით ლაპარაკობენ.**

უფრო მეტიც. სამი წლის წინათ (ახლა აღარ) ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ, ცოტაც და აზავთებული ხალხის ტალღა წალეკავდა პუტინს. ამერიკელებს ეს სწამდათ ისე, როგორც სწამთ და სჯერათ ბიბლიის. პირადად მომისმენია. მხოლოდ მე არ ვარ ამის მომსწრე.

მაშასადამე, მათი საგარეო პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ უკანონო, ძალისმიერი საშუალებებით შეცვალონ ხელისუფლება ამ ქვეყანაში და არა მხოლოდ აქ.

გაზეთ „ეკონომისტის" მოწოდება სწორედ ამას გულისხმობდა.

## ჰოლივუდის ნაცისტური პასაჟები

იაკობ კედმი განიხილავს ხელოვნებისა და პოლიტიკის ურთიერთობის პრობლემას და აცხადებს, რომ, მაგალითად, ჰოლივუდი ჩამოურეცხავი სირცხვილით არის დაღდასმული:

**— ოცდაათიანი წლების ბოლოს იგი (ჰოლივუდი) გაურიგდა ჰიტლერს, და არ გადაუღია ისეთი ფილმი, რომელშიც დაგმობილი კი არა, რაიმე ფორმით მითითება ყოფილიყო ნაცისტურ გერმანიაზე. გამონაკლისი მხოლოდ მტრად შერაცხილი ჩარლი ჩაპლინი იყო. ჰოლივუდი სრული შეგნებით მხარს უჭერდა ამერიკის პოლიტიკას, საკუთარი რწმენით და ყოველგვარი დაძალების გარეშე. ამერიკული რასიზმით იყო გაჟღენთილი ყველა ფილმი ვიეტნამის ომზე, ავღანეთის შესახებ.**

კედმი აზუსტებს:

**— ყველა ფილმი, სილვესტერ სტალონეს ფილმებიდან დაწყებული, გაჟღენთილია რასიზმით ამერიკის შეერთებული შტატების მტრების მიმართ, ვიეტნამელები არიან ისინი თუ ავღანელები, სერბები თუ სხვები.**

1990-იან წლებში ისინი საერთოდ გადადგნენ ჭკუიდან და კაცობრიობის მთავარ მტრად ყველაზე პოპულარულ სერიალებში გამოყვანილი ჰყავთ სერბები, რომლებსაც სურთ მსოფლიოს განადგურება (!).

ჰოლივუდი ყოველთვის სავსებით შეგნებულად და გაცილებით ეფექტიანად, ვიდრე საბჭოთა წლებში კომუნისტური პროპაგანდა, მთავრობისთვის მუშაობდა. ეს მათ დნმ-შია ჩაწერილი.

ივრითზე ერთი ასეთი ანდაზაა: სიბნელეში შეიძლება ფარნით მოძებნო და იპოვო რამე. ამერიკელები კი ფარნის ქვეშ ეძებენ, იქ რაც დევს, მათთვის უფრო ხელსაყრელია. ამიტომაა, რომ ისინი ყოველთვის ეძებენ, პოულობენ და ეყრდნობიან ოპოზიციას (რომელიც ფანრის ქვეშ, სინათლეს არის მორიდებული) იმ რეჟიმების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მათ ხელს არ აძლევს. თუმცა თავადვე აღიარებენ, რომ ხშირად ცდებიან: ზედმეტად ენდნენ ოპოზიციას ერაყში, ასევე — ეგვიპტის ოპოზიციას, სირიის ოპოზიციას.

**ამერიკელების პროფესიული დაავადებაა: სჯერათ იმის, რაც მათთვის არის სასარგებლო. ენდობიან მათ, ვისთანაც ეადვილებათ საუბარი, რადგან სახეიროა. მე ეს პირადი გამოცდილებით ვიცი, მოწმე ვარ იმ დროიდან, როცა რუსეთში ვმუშაობდი. ისინი (ამერიკელები) ურთიერთობდნენ მხოლოდ მათთან, ვინც ეუბნებოდა იმას, რისი გაგონებაც სურდათ. და... ვერ იგებდნენ, რა ხდებოდა რუსეთში.**

ვისაც ფულს უხდით, ისინი ყოველთვის გეტყვიან იმას, რისი გაგონებაც გსურთ. მაგრამ ასეთნაირად გაგონილს არსებულ ვითარებასთან საერთო არაფერი აქვს.

**P.S. ამიტომ, ვისაც ხმა მიგიწვდებათ, ურჩიეთ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს წაიკითხონ ეს წერილი. ეგებ ცოტათი გონს მოეგონ.**

**ყოველ შემთხვევაში, არ აწყენთ!**

**ა.ს.**

სატელევიზიო პროგრამის
საგაზეთო ვარიანტი
მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მსხვილი ბანკები ხომ წოვენ და წოვენ გაჭირვებულ მოსახლეობას სისხლს. ეს არ იკმარეს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ ერთ წურბელად საზოგადოებას ე.წ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მოევლინენ, რომლებიც უკიდურესად შეჭირვებულ მოსახლეობას ყოველგვარი გირაოს გარეშე ათასობით ლარს სთავაზობენ სესხად.**

# «მონეზამ», — პრემიერის სიტყვა და ძაღლის ყეფა ჩემთვის ერთიაო

**ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ არა მხოლოდ მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდისა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიძლება იმსჯელო, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის დედაქალაქის ქუჩების იერსახიდან გამომდინარეც — ნორმალური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ხარ, სადაც ასე თუ ისე სახელმწიფო ზრუნავს საკუთარი მოქალაქეების საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის თუ სადმე, ე.წ. ბანანის რესპუბლიკაში, რომლის ხელისუფლებას ხალხის ყოფა-ცხოვრება ფეხებზე ჰკიდია და მხოლოდ საკუთარი სტომაქის ამოყორვაზე ფიქრობს.**

სურათი ხომ არ გეცნო, მკითხველო? დიახ, საქართველოზე მოგახსენებთ, რომელსაც, მართალია, ეკონომიკა, ბიზნესი, როგორც ასეთი, ლამის 30 წელიწადია, პრაქტიკულად არ აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჯიუტად მიისწრაფვის დასავლეთისკენ და დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა 31 თებერვალს, გნებავთ, როდინობის კვირის შვიდშაბათს უეჭველად შევა ევროკავშირსა და ნატოში.

ზემოთ, როდესაც ვწერდი „პრაქტიკულად არ აქვს“-მეთქი, ის მქონდა მხედველობაში, რომ ბანანის რესპუბლიკების დარად, არც საქართველოში არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესი (რაც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საფუძველია). აქედან გამომდინარე, ე.წ. საშუალო კლასი და მთავარი — ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბანანის რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოშიც მხოლოდ მსხვილი ბიზნესი არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, ხარობს უზომოდ მდიდართა, გაზულუქებულ-გათავხედებულთა მცირერიცხოვანი კასტა, რომელიც ამქვეყნიური ყველა სიამით ტკბება; ხოლო, მეორე მხრივ, — „პური არსობისას“ მოპოვებისთვის დამაშვრალი საზოგადოების უკეთესი უმრავლესობა.

ენერგომატარებლები, ფარმაცევტიკა და ყველაფერ ამის „გვირგვინი“ — საბანკო ბიზნესი და ბანკთაგან შობილი ლომბარდები თუ ე.წ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, აგრეთვე, ე.წ. პრობლემური სესხების ბიუროები (სწორედ „მიკრო“ და „პრობლემური“ გახდა წინამდებარე წერილის შექმნის მთავარი მიზეზ-საბაბი, მაგრამ ამაზე ქვემოთ) — აი, მთავარი „ბიზნესები“, რომლებიც, როგორც წესი, ყვავის ე.წ. ბანანის რესპუბლიკებში და, სამწუხაროდ, საქართველოში.

ბიზნესები — რატომ ბრჭყალებში? დააკვირდით ჩამონათვალს — ბუნებრივი აირი, ბენზინი, მედიკამენტები. ეს ის პირველადი მოხმარების პროდუქტებია, რომელთა შეძენაზეც, მიუხედავად მათზე არსებული კატასტროფული ფასებისა, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა უარს ვერ ამბობს. რა ქნას კაცმა, სიცივეში ხომ არ ამყოფებს შვილებს ან უწამლობით ხომ არ მოკლავს მოხუც მშობლებს? აქედან გამომდინარე, როგორ ვუწოდოთ ამ პროდუქტების იმპორტს ბიზნესი და მაგ ბიზნესების მფლობელთ ბიზნესმენები? ხალხის გაჭირვებაზე დაფუძნებულ ბიზნესს ყაჩაღობა რომ ვუწოდოთ, უფრო უპრიანი მგონია, რადგან ზემოხსენებული კატასტროფული ფასები ამ, უკაცრავად და, ბიზნესმენთა კარტელურ-მაფიოზური შეთანხმების შედეგია.

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამას საკუთარი გამოცდილებით გავხდი საცნაურს... არის ასეთი იტალიური პრეპარატი „ქსალერტო“, რომელიც გულზე გაკეთებული ოპერაციის გამო თქვენმა მონა-მორჩილმა დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში უნდა ვყლაპო.

ჰოდა, **ერთი თვის სამყოფი ეს მედიკამენტი თუ „დემოკრატიულ“ საქართველოში 240 ლარი ღირს, „ტოტალიტარულ“ რუსეთში რატომ ჯდება, სულ რაღაც, 100 ლარი, იქნებ წამლის „ბარიგა“ ფარმა-ბიზნესმენთაგან ვინმემ ამიხსნას.**

ზემოთ ბანანის ქვეყნების დედაქალაქების ქუჩების ვიზუალური მხარე ვახსენეთ და შორს წასვლა არ დაგვჭირდება — თბილისის ნებისმიერი უბანი, ქუჩები, საზოგადოდ, ხალხმრავალი ადგილები გადაჭედილია ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ლომბარდებით, ბენზინგასამართი სადგურებითა და აფთიაქებით, ცნობილი თუ უცნობი ბანკებით, რაც ჩვენ მიერ ზემოთ დახატული სავალალო სურათის ნათელი დასტურია.

და, აი, მივადექით წერილის მთავარ თემას...

**დღეს ბანკების მძევალი რომ არის ნახევარ საქართველოზე მეტი, ამას ქოცების ხელისუფლებაც არ მალავს — საბანკო ბიზნესის ჯოჯოხეთურმა პროცენტებმა ათიათასობით ოჯახი დატოვა უსახლკაროდ და მრავალი ადამიანი მიიყვანა თვითმკვლელობამდე.** მსხვილი ბანკები ხომ წოვენ და წოვენ გაჭირვებულ მოსახლეობას სისხლს, ეს არ იკმარეს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ ერთ წურბელად საზოგადოებას ე.წ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მოევლინენ, რომლებიც უკიდურესად შეჭირვებულ მოსახლეობას ყოველგვარი გირაოს გარეშე ათასობით ლარს სთავაზობენ სესხად.




**არ დავიზარე და ცინცაძის ქუჩის №12-ში მივაკითხე სისხლისმწოველ მევახშეებს... რა ვალებს მთხოვთ, სადა ხართ, რომელ ქვეყანაში, პრემიერის განცხადება არ მოგისმენიათ-მეთქი? პასუხად ვინმე ხათუნამ, — პრემიერმა ბევრი რამე თქვაო, ანუ ჩვენთვის, «მონეზასთვის», პრემიერის სიტყვას და ძაღლის ყეფას ერთი ფასი აქვსო**

ჰა, როგორია, როცა მობილურ ტელეფონზე დღეში 37 შეტყობინება მოგივა მშიერ-მწყურვალ, გათოშილსა თუ ავადმყოფ ადამიანს: „აიღეთ სახლიდან გაუსვლელად ხუთ წუთში სესხი“. ადვილია ასეთი ცდუნების გაძლება?

ჰოდა, **გაჭირვებული ხალხიც იღებდა და იღებდა სესხს. თქვენმა მონა-მორჩილმაც ავიღე სხვადასხვა ორგანიზაციიდან რამდენიმე ათასი ლარი, რომლის ულმერთოდ დიდი პროცენტები ვერ გადავიხადე. ერთი სიტყვით, ესენი, მიკროსაფინანსო კი არა, ტიპური მევახშე ორგანიზაციებია, კერძო მევახშეთაგან განსხვავებით, სინდისნამუსისგან გარეცხილნი. აბა, რომელი კერძო მევახშე დაგიწესებს წლიურად 100 და მეტი პროცენტის გადახდას?**

ცალკე საუბრის თემაა, ე.წ. პრობლემური სესხების ორგანიზაციები, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან იაფად ყიდულობენ ურჩ გადამხდელთა სესხებს და მათ ამოღებას ათასნაირი უზნეო ხერხით ცდილობენ. მათ, მე ვიტყოდი, ე.წ. ძველბიჭური სამსახურის განყოფილებაც აქვთ, რომელიც პირველ ეტაპზე ერთვება საქმეში. მაგალითად, ჩემს მობილურ ტელეფონზე დილაადრიან გაისმა ზარი და ვიღაც უცნობმა ნაძირალამ ფამილარულად მომმართა — ბიჭო, ვალი რომ გაქვს, როდის გადაიხდიო? და როდესაც, სადაც საჭიროა, იქ გავგზავნე, აღარ დაურეკავს.

მაგრამ ისეთი კურდღლებიც ხომ იქნებიან, რომლებსაც შიშით გული გაუსკდებათ?

**ადამიანებს ქურდულ სამყაროსთან კავშირის გამო იჭერენ და რა, ჩემთან დაკავშირებული შემთხვევა ქურდულად საქმის გარჩევა არ არის?**

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოკლედ ვიტყვი: ეს ე.წ. მიკრო საფინანსო და მათთან ალიანსში მყოფი ე.წ. პრობლემური სესხების ფინანსური ბიუროები ისეთ დიდ პრობლემად ექცა ქვეყანას, რომ გასული წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყნის პრემიერმინისტრმა განაცხადა, დაახლოებით 600 ათას ადამიანს აღებული სესხები (რაც, ჯამში, სამი მილიარდი ლარი ყოფილა) გაუნულდება და ახალ წელს ვალებისგან თავისუფალი მოსახლეობა შეხვდებაო. მაშინ კი აღნავლდა ოპოზიცია: არიქა, პრემიერის ეს განცხადება არჩევნების წინ ამომრჩევლის მოსყიდვააო. და მერე რა? არა მგონია, 600 ათასი კაცისგან ვინმეს სწყენოდა ეს ამბავი და, მათ შორის, მეც გავიხარე, მაგრამ, თურმე ჯერ სად ხარ და სადა ბანაობ, ისე წავიდა ჩემი საქმე და, დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ ჩემი... ნაახალწლევს ჩემი მობილური აწკრიალდა და მიკრო საფინანსო ორგანიზაცია „მონეზამ“, ვალს როდის გადაიხდიო, — მომახალა.

არ დავიზარე და, ცინცაძის ქუჩის №12-ში მივაკითხე სისხლისმწოველ მევახშეებს... **რა ვალებს მთხოვთ, სადა ხართ, რომელ ქვეყანაში, პრემიერის განცხადება არ მოგისმენიათ-მეთქი? პასუხად ვინმე ხათუნამ, — პრემიერმა ბევრი რამ თქვაო, ანუ ჩვენთვის, „მონეზასთვის“, პრემიერის სიტყვას და ძაღლის ყეფას ერთი ფასი აქვსო.**

მოკლედ, ვარ ახლა გაურკვეველ სიტუაციაში, რომელიც ძალიან მაგონებს ერთ ეპიზოდს შესანიშნავი ქართული ფილმიდან „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ — ერთი მხრივ, მე ვარ ფილმის გმირი მოხუცივით, რომ ვკითხულობ: „აკი გადავარდაო ის საოხრე და სატიალო, აკი გადავარდაო?!“ და, მეორე მხრივ, სოფელ დიღმის მამასახლისივით „მონეზა“ მიპასუხებს: „რა გადავარდაო, რა გადმოვარდაო, შენთან სალაყბოდ არა მცალიან“. კინოს ენას თავი რომ დავანებოთ, გამოდის: პრემიერმინისტრ მამუკა ბახტაძის ოხერი დედაც ვატირე, ხოში მაქვს და შენი სესხი „ქართუ ბანკს“ გასანულებლად არ გადავუგზავნეო.

ბატონო პრემიერო! რას ჰგავს ეს? ნათქვამია, მილიონს ერთი კაპიკი რომ აკლდეს, მილიონი აღარ არისო და, თუ ასეა, მაშინ თქვენ მიერ გაცხადებული 600 ათასი, სულ ცოტა, ერთით ნაკლებია ჩემი სახით. ახლა, ალბათ, მეტყვით: კარგი რა, დალოცვილო, ათასობით ადამიანს გაუნულეს ვალი და ერთი კაცი, რა მოხდაო?!

არც არაფერი, ბატონო პრემიერო! თუნდაც იმიტომ, რომ არც თქვენს ამნისტიამდე ვიხდიდი „მონეზას“ ვალებს და მით უმეტეს ახლაც არ ვაპირებ. საცა ვიწროა იქ გაწყდესო, — ნათქვამია. **რაც უნდა იყოს, ჩემი ქვეყნის პრემიერმინისტრი ხართ და მწყინს, რომ ვიღაც „მონეზას“ ჰყოფნის თავხედობა და ქვეყნის პირველი პირის განცხადებას ფეხებზე იკიდებს . ეს არის და ეს, ბატონო პრემიერო...**

**დავით მხეიძე**



**P.S. მართალია, „მონეზას“ წურბელებისგან ვერავის ვათქმევინე, ვინ არის მათი უსტაბაში, ანუ დირექტორი, მაგრამ მაინც დავადგინე, რომ ის ვინმე დავით აღსაბაძე ყოფილა და ახლა მას მივმართავ: ბატონო დავით, თქვენს ხელქვეითებს ვერაფრით შევასმინე, რომ ვალს განა არ ვიხდი, არამედ ვერ ვიხდი. არსა და ვერს შორის სხვაობას, ალბათ, მიხვდებით. ვერ ვიხდი, რადგანც გულის შუნტირების ოპერაციის შემდეგ თვეში 500 ლარის წამლები უნდა ვსვა დარჩენილი სიცოცხლე. ღმერთმა დამიფაროს, თავს ვაცოდებდე ვინმეს და მით უმეტეს თქვენ, რადგან პრემიერის მიერ გაცხადებულ ყველა წინაპირობას ვაკმაყოფილებ, მე, უბრალოდ, ის მაინტერესებს რომელი კრიტერიუმით მოხდა ჩემი დისკრიმინაცია. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს მივხვდი: თქვენგან ჩემი დაწუნების მხოლოდ ერთადერთი მიზეზი ჩემი გვარიშვილობაა, ალბათ — სად თქვენ, ბატონი აღსაბაძე, და სად მე, ვიღაც ბოგანო მხეიძე?!**

**სერიოზულად კი, ბატონო მევახშევ, მანამდე არაფერი ეტკინოთ ჩემს შვილიშვილებს, სანამ ვალი არ გადაგიხადოთ...**

**როდესაც ამ საქმის ფარგლებში ივანიშვილის სავარაუდო მოტივებზე საუბრობენ, როგორც წესი, სამ ძირითად ვერსიას ასახელებენ: პირველი კონფლიქტს ბიზნესინტერესების შეჯახებას უკავშირებს, წილების წართმევის სურვილს და ა. შ.; მეორე ვერსიის ფარგლებში, „ოლიგარქი №1“ „სჯის“ ხაზარაძეს კვირიკაშვილთან საეჭვო ალიანსისთვის, რომლის უკან თითქოს ივანიშვილის „ჩაჩოჩების“ სურვილი იდგა.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას მოგვიტანს ივანიშვილისა და ხაზარაძის დაპირისპირება?

**13 თებერვალს „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებულ კონფლიქტში ახალი ეტაპი დაიწყო. ეროვნულმა ბანკმა „თიბისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილე ბადრი ჯაფარიძეს ხელმოწერის უფლება შეუჩერა და ბანკის აქციონერებს ორთვიანი ვადა მისცა საბჭოდან მათი გაწვევისთვის.**



ეროვნული ბანკის განმარტებით, „გადაწყვეტილების მიღების საფუძველია „თიბისი ბანკის“ შემოწმებისას გამოვლენილი ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები, რომლებიც 2007-2008 წლების ტრანზაქციებს უკავშირდება. საკითხის შესწავლისას გამოვლინდა „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის მიერ ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევა“.

ამ თემის საჯარო განხილვა იანვრის პირველ დეკადაში დაიწყო, მას შემდეგ, რაც მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ უკანონო შემოსავლების შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტს იძიებს. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ფინანსური მონიტორინგის სამსახური „თიბისი ბანკის“ საქმიანობის შესწავლას 2018 წლის მაისში შეუდგა, მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევებს და ივლისში მასალები პროკურატურას გაუგზავნა, რომელმაც გამოძიება 2 აგვისტოს დაიწყო. ქრონოლოგია მნიშვნელოვანია, რადგან მაის-ივნისში დაიწყო სახელისუფლო კრიზისის მწვავე სტადია, რომელიც **გიორგი კვირიკაშვილის** გადადგომით დაგვირგვინდა. მმართველი პარტიის ლიდერები იმ პერიოდში არ უარყოფდნენ, რომ ივანიშვილის მიერ კვირიკაშვილისთვის წაყენებული ბრალდებების კონტექსტში **ხაზარაძის** გვარი ფიგურირებდა.

ამავე პერიოდში „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტული მანქანა მეტწილად ჭორებისა და ვარაუდების სახით ავრცელებდა ინფორმაციას კვირიკაშვილისა და ხაზარაძის საიდუმლო ალიანსზე, რომელიც თითქოს ივანიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ კამპანიამ პიკს სწორედ ივლისში მიაღწია. შემდეგ ყველაფერი თითქოს ჩაწყნარდა, მაგრამ ოქტომბერში ივანიშვილმა კიდევ ერთხელ აგრძნობინა საზოგადოებას, რომ ხაზარაძის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. მან ინტერვიუში თქვა, რომ, როდესაც **ვანო ჩხარტიშვილს** (ფოთის წისქვილკომბინატის გამო) „თიბისი ბანკთან“ სასამართლო დავა ჰქონდა (ჩხარტიშვილმა პირველი ინსტანცია მოიგო) ივანიშვილმა დაარწმუნა ის, დავა აღარ გაეგრძელებინა, ხოლო ხაზარაძეს ივანიშვილისთვის „ნორმალური მადლობა არ უთქვამს“.

ვიდრე პროკურატურის გამოძიებას დავუბრუნდებით, აუცილებლად უნდა შევეხოთ ბიძინა ივანიშვილის ერთ თვისებას, რომელიც გარკვეულ პრობლემებს უქმნის მას. როდესაც ის ვინმეს მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი, დამალვა უჭირს. ასე იყო „რუსთავი 2“-თან დავების პერიოდში — ივანიშვილი არ (ან ვერ) ნიღბავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ტელეკომპანიის მიმართ და ამით აძლევდა საბაბს ნაციონალებს და მათ მოკავშირეებს, სასამართლო პროცესების წინ პოლიტიკური დაკვეთის შესახებ ესაუბრათ. ასეა დღესაც, როდესაც ივანიშვილი ხაზარაძეზე უარყოფით კონტექსტში საუბრობს, ხოლო ამის შემდეგ მას პროკურატურა უტევს, ეს ხელისუფლებას წამგებიან მდგომარეობაში აყენებს.

პროკურატურა მივიდა დასკვნამდე, რომ 2008 წელს შპს „სამგორი მ“-მა და „სამგორი თრეიდმა“ „თიბისი ბანკისგან“ დაახლოებით 17 მილიონი დოლარის სესხი აიღეს, რომელიც იმავე დღეს გაასესხეს ფიზიკურ პირებზე — **მამუკა ხაზარაძესა** და **ბადრი ჯაფარიძეზე**. წლის ბოლოს ბანკმა ეს სესხები ჩამოწერა, ხოლო 2012-ში დათანხმდა ვალდებულებების ოფშორულ კომპანიაზე გადატანას, შესაბამისად, მსესხებელი კომპანიები ვალდებულებებისგან გაათავისუფლა. პროკურატურის განმარტების თანახმად, „შპს „სამგორი თრეიდისა“ და შპს „სამგორი მ“-ის ვალი ხაზარაძესა და ჯაფარიძეს არ გაუსტუმრებიათ“.

მამუკა ხაზარაძის ადვოკატ **ზვიად კორძაძის** განმარტებით, 11 წლის წინათ ნასესხები თანხა ბანკის ლიკვიდურობის გაზრდას მოხმარდა. „გამოჩნდა ისე, რომ ეს თანხა აღებულია და წაღებულია სადღაც. სინამდვილეში თანხა, არა მხოლოდ ეს 17 მილიონი, არამედ 80 მილონამდე, რომლის მობილიზებაც მაშინ მოხდა, მოხმარდა თვით „თიბისი ბანკის“ ლიკვიდურობის გაზრდას. „პრობლემა იყო ბანკის ლიკვიდურობის, გადასარჩენი იყო ომის მერე ბანკი“, — თქვა მან პროკურატურის განცხადების კომენტირებისას „პალიტრანიუსის“ ეთერში.

ამ საქმეში იყო კიდევ ერთი ეტაპი, როდესაც საზოგადოების ნაწილმა ჩათვალა, რომ შემდგომ გართულებებს ადგილი აღარ ექნება. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ კანდიდატმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მოსალოდნელზე ნაკლები ხმა მიიღო, მამუკა ხაზარაძემ გააკეთა მკაფიო განცხადება, რომ ნაციონალების დაბრუნება ხელისუფლებაში ძალიან საშიშია. ზოგს ეგონა, რომ ეს პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება. ისინი ცდებოდნენ — იანვარში გაკეთდა პროკურატურის, ხოლო გასულ კვირას ეროვნული ბანკის განცხადება (ფაქტობრივად, ულტიმატუმი ბანკის აქციონერების მიმართ).

„თიბისი ბანკმა“ ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. მამუკა ხაზარაძის 14 თებერვალს გამოქვეყნებულ საპასუხო განცხადებაში იყო რამდენიმე საგულისხმო ფრაზა: „მსოფლიოში ერთ-ერთმა ცნობილმა იურიდიულმა კომპანია „დენტონსმა“ შეისწავლა 11 წლის წინანდელი საკითხი, რაზეც ახლა მიმდინარეობს მსჯელობა, და დაადგინა, რომ არათუ ფულის გათეთრებას, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ან რაიმე კრიმინალურ ქმედებას, არამედ ინტერესთა კონფლიქტსაც კი არ ჰქონია ადგილი. ჩვენ არ დავთმობთ ჩვენს საქმეს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ღირსებას; არ შევეგუებით უსამართლობას და ყველა ჩვენს ხელთ არსებული საშუალებით დავიცავთ „თიბისი-სა“ და მისი აქციონერების სამართლებრივ უფლებას ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებში. დიდ ეჭვს იწვევს ისიც, რომ ასეთი აჩქარებული ტემპით გამოტანილი გადაწყვეტილება და ჩვენი რეპუტაციის შემლახველი კამპანიის წარმოება ხდება სწორედ ახლა, როდესაც ასე ახლოს ვართ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტის — ანაკლიის პორტის წარმატებით განხორციელებასთან“.

ანაკლიის პორტს პროკურატურის პრეტენზიებთან ფორმალურად კავშირი არ აქვს, თუმცა კომენტატორებმა კონფლიქტის მიზეზებზე საუბრისას ის არაერთგზის ახსენეს. ზოგი ვარაუდობდა, რომ ხაზარაძემ, კვირიკაშვილთან ერთად, რაღაც მომენტში ივანიშვილის (და ვანო ჩხარტიშვილის, როგორც მისი ერთგვარი „ავატარის“) ინტერესები არ გაითვალისწინა. ზოგი მიანიშნებდა, რომ ამ პროექტის გამო ერთმანეთს მძლავრი სახელმწიფოები უპირისპირდებიან, ხოლო ქართული მხარის სხვადასხვა წარმომადგენლები ცდილობენ, მათ ინტერესებს საკუთარი მოარგონ. ხაზარაძის მიერ ანაკლიის ხსენება, სავარაუდოდ, მიზნად ისახავს საქმის მიმართ უცხოელების ინტერესის გაზრდას, შესაძლოა, იმისთვის, რომ კონფლიქტმა ერთგვარი „გეოპოლიტიკური ასპექტიც“ შეიძინოს. ამ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი კითხვაა: **ნიშნავს თუ არა მენეჯმენტის შეცვლა პროექტის შეჩერებას?**

როდესაც ამ საქმის ფარგლებში ივანიშვილის სავარაუდო მოტივებზე საუბრობენ, როგორც წესი, სამ ძირითად ვერსიას ასახელებენ: პირველი კონფლიქტს ბიზნესინტერესების შეჯახებას უკავშირებს, წილების წართმევის სურვილს და ა. შ.; მეორე ვერსიის ფარგლებში, „ოლიგარქი №1“ „სჯის“ ხაზარაძეს კვირიკაშვილთან საეჭვო ალიანსისთვის, რომლის უკან თითქოს ივანიშვილის „ჩაჩოჩების“ სურვილი იდგა, ან, უბრალოდ, ეშინია პოტენციური კონკურენტის. ხშირად ვრცელდება ჭორები რაღაც აუდიოჩანაწერზე, რომელმაც ივანიშვილი თითქოს გააცოფა. კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, პროცესის მიზანია ხაზარაძის დამაჯერებელი „ინსტალირება“ პოლიტიკაში, სადაც ის ძლიერ „კონსტრუქციულ“ ოპოზიციურ პარტიასა და საპარლამენტო არჩევნების წინ ალტერნატივის ილუზიას შექმნის (მაგრამ არა რეალურ ალტერნატივას, რადგან არსებული ოლიგარქიული სისტემა, როგორც ჩანს, სავსებით აკმაყოფილებს არა მხოლოდ ივანიშვილს, არამედ ხაზარაძესაც). ეს ვერსია არსებითად კონსპიროლოგიურია, ვარაუდებს ეფუძნება და ფაქტებით გამყარებას საჭიროებს, თუმცა **გარკვეული რესურსი პოლიტიკური კარიერის დაწყებისთვის ხაზარაძეს ნამდვილად აქვს. ის არ არის პოპულარული ფართო მასებში, ზოგი მას „მევახშეს“ უწოდებს, მაგრამ შეუძლია ელიტურ ჯგუფებს მათთვის გასაგებ ენაზე ესაუბროს და საინტერესო ვარიანტები შესთავაზოს; ხაზარაძეს (მაგალითად, ზაზა ოქუაშვილისგან განსხვავებით) ისინი, სავარაუდოდ, ყურადღებით მოუსმენენ. მას, აგრეთვე, აქვს კარგი კავშირები საპატრიარქოში და არცთუ ცოტა ფული. ეს პოლიტიკური სტარტისთვის სავსებით საკმარისია, თუმცა საუბარი ყოველივე ამაზე ჯერჯერობით ნაადრევია და საქმე შეიძლება არა რთულ პოლიტიკურ კომბინაციებს, არამედ გაცილებით ბანალურ მერკანტილურ ინტერესებს ეხებოდეს.**

მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამენ ამ საქმეს მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. ჩათვლიან ისინი, რომ ივანიშვილმა მათთან 2012-ში გაფორმებული დაუწერელი პაქტი დაარღვია და აკრძალულ ილეთს მიმართა თუ მოიქცევიან ისე, თითქოს მას აქვს სრული უფლება ასე იმოქმედოს? მათი პოზიცია მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საზოგადოების განწყობაზე და, საბოლოო ჯამში, საპარლამენტო არჩევნების შედეგზე. **უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოელების, უპირველესად კი, „თიბისი ბანკის“ უცხოელი აქციონერების, ანაკლიის პროექტის რეალიზაციაში ჩართული პირებისა და ჯგუფების რეაქციაც. თუ ის ნეგატიური იქნება, ივანიშვილს დასავლეთთან ურთიერთობაში (ხოლო ქვეყანას ინვესტორების მოზიდვაში) სერიოზული პრობლემები შეექმნება, ხოლო, თუ ისინი მკაფიო პროტესტს არ გამოხატავენ, გაჩნდება ეჭვი, რომ ხაზარაძესთან დაკავშირებულ ინტრიგაში ამა თუ იმ ფორმით ისინიც მონაწილეობენ.**

**ხაზარაძე დამარცხდება, თუ უცხოელების პოზიცია დაახლოებით ისეთი იქნება, როგორც გასულ კვირას საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივ წარმომადგენელ ფრანსუა პეშოს ჰქონდა: «მაშინ, როცა ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია, მიგვაჩნია, რომ ეროვნული ბანკი, როგორც საქართველოს საფინანსო სისტემის ზედამხედველი, თავის საქმეს აკეთებს თავისი პასუხისმგებლობების გათვალისწინებით»**

ხაზარაძე დამარცხდება, თუ უცხოელების პოზიცია დაახლოებით ისეთი იქნება, როგორც გასულ კვირას საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივ წარმომადგენელს **ფრანსუა პეშოს** ჰქონდა: „მაშინ, როცა ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია, მიგვაჩნია, რომ ეროვნული ბანკი, როგორც საქართველოს საფინანსო სისტემის ზედამხედველი, თავის საქმეს აკეთებს, თავისი პასუხისმგებლობების გათვალისწინებით“ („ინტერპრესნიუსი“).

მთავარი კი, ალბათ, შემდეგია: მიუხედავად იმისა, ვის რა დამოკიდებულება აქვს მამუკა ხაზარაძის მიმართ, მსხვილი „თიბისი ბანკი“ ქართული ეკონომიკისთვის სისტემურად მნიშვნელოვანი ელემენტია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი გაუაზრებელი ქმედება, რომელიც სერიოზულ რყევას გამოიწვევს, შეიძლება უამრავი ადამიანის შემოსავალსა და ქვეყნის მდგომარეობაზე აისახოს. ეს არა იმდენად ეკონომიკის, რამდენადაც უსაფრთხოების პრობლემაა, თუმცა ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება აპირებს, ფრთხილად და წინდახედულად იმოქმედოს — კონფლიქტი მწვავდება და ეს ნებისმიერ შემთხვევაში ცუდია.

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იანუკოვიჩის კომენტარები მიმდინარე მოვლენებზე შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მისი დაბრუნება პოლიტიკურ დაფაზე, ისევე როგორც მედვედჩუკის დახმარება, სავსებით შესაძლებელია. დღეს იანუკოვიჩის გააქტიურება თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, თუ საპრეზიდენტო არჩევნები პოლიტიკურ კრიზისში გადაიზრდება და მას ძალისმიერი დაპირისპირება მოჰყვება, რომელიც გამორიცხული ნამდვილად არ არის, სიტუაცია შეიძლება მყისიერად შეიცვალოს.**

# ვინ არის ზელენსკი და რატომ დაბრუნდა იანუკოვიჩი?

**31 მარტს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ახალ წლამდე ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა მოქმედ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსა და მის ცნობილ ოპონენტ იულია ტიმოშენკოს შორის გაიმართებოდა. მაგრამ საარჩევნო მარათონის ლიდერი მოულოდნელად სხვა პიროვნება აღმოჩნდა — შოუმენი ვლადიმერ ზელენსკი. რა არის ამის მიზეზი და რატომ გააქტიურდა ბოლო პერიოდში უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი?**



იგორ კოლომოისკი და ვლადიმერ ზელენსკი

**ვლადიმერ ზელენსკი კომიკური ჟანრის მსახიობი და პაროდისტია, რომელსაც ადრე პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონია. განათლებით იურისტია, თუმცა ჯერ კიდევ უფროს კლასებში «კა-ვე-ენ»-მა გაიტაცა, სტუდენტობის პერიოდში კი გატაცება ბიზნესად აქცია და გასართობი გადაცემების სტუდია შექმნა. როდესაც პოპულარობა მოიხვეჭა, დაიწყო თანამშრომლობა ცნობილ ტელეარხებთან — «ინტერთან» და «1+1»-თან. ზელენსკი ამ უკანასკნელის მფლობელს, ოლიგარქ იგორ კოლომოისკის დაუახლოვდა**

წინასაარჩევნო რეიტინგები ასე გამოიყურება:

„სოციალური მონიტორინგის ცენტრი“: **ზელენსკი** — 21,9%, **ტიმოშენკო** — 19,2%, **პოროშენკო** — 14,8%.

სოციოლოგიური ჯგუფი „რეიტინგი“: ზელენსკი — 19%, ტიმოშენკო — 18,2%, პოროშენკო — 15,1%.

„კმისი“, „სოცისი“, „რაზუმკოვის ცენტრი“ (ერთობლივი გამოკითხვა): ზელენსკი — 23%, პოროშენკო — 16,4%, ტიმოშენკო — 15,7%.

ქართველებისთვის კარგად ნაცნობი „გრინბერგ რისერჩი“: ზელენსკი — 28%, პოროშენკო — 18%, ტიმოშენკო — 15%.

კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტი: ზელენსკი — 26,9%, პოროშენკო — 17,7%, ტიმოშენკო — 15,8%.

სხვა კანდიდატებიდან მეორე ტურში გასვლის რეალური, თუმცა არც ისე მაღალი, შანსი, ალბათ, მხოლოდ **იური ბოიკოს** აქვს — მისი მაჩვენებელი წინასაარჩევნო გამოკითხვებში 9-10%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ზელენსკის რეიტინგს ბოლო კვირებში სტაბილური ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

ვლადიმერ ზელენსკი კომიკური ჟანრის მსახიობი და პაროდისტია, რომელსაც ადრე პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონია. განათლებით იურისტია, თუმცა ჯერ კიდევ უფროს კლასებში „კა-ვე-ენ“-მა გაიტაცა, სტუდენტობის პერიოდში კი გატაცება ბიზნესად აქცია და გასართობი გადაცემების სტუდია შექმნა. როდესაც პოპულარობა მოიხვეჭა, დაიწყო თანამშრომლობა ცნობილ ტელეარხებთან — „ინტერთან“ და „1+1“-თან. ზელენსკი ამ უკანასკნელის მფლობელს, ოლიგარქ **იგორ კოლომოისკის** დაუახლოვდა. როდესაც ის პრეზიდენტ პოროშენკოს დაუპირისპირდა, ზელენსკის იუმორისტულ გადაცემებში მოქმედი ხელისუფლების მწვავე კრიტიკა დაიწყო. ბევრ უკრაინელ ექსპერტს დღესაც არ სჯერა, რომ კოლომოისკი სრული სერიოზულობით აპირებს, უკრაინის პრეზიდენტობა კომიკური ჟანრის მსახიობს ჩააბაროს. ისინი ვარაუდობენ, რომ მისი მიზანია, მთავარ კანდიდატებს შეევაჭროს, შემდეგ კი, ზელენსკის კანდიდატურის მოხსნის სანაცვლოდ, მაღალი პოლიტიკური და ფინანსური ბონუსები მიიღოს. მოკლედ, ისინი ამ პროექტს სერიოზულად არ აღიქვამენ, თუმცა ფაქტია — ზელენსკი რეიტინგებში დამაჯერებლად ლიდერობს და მეორე ტურში გასვლის ძალიან მაღალი შანსი აქვს.

ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, ცნობილი, მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ფენომენია — ხალხი დაიღალა ძველი პოლიტიკოსებისგან და ახალ, გაუსვრელ ფიგურებს ეძებს. ამ ფაქტორმა საფრანგეთის პრეზიდენტად **ემანუელ მაკრონის** არჩევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ნდობა ძველი პარტიებისა და, შესაბამისად, მათი კანდიდატების მიმართ იმ პერიოდში ისტორიულ მინიმუმამდე შემცირდა. შეგვიძლია გავიხსენოთ 2017 წლის თბილისის მერის არჩევნებიც, როდესაც **ალეკო ელისაშვილმა** რესურსების მწვავე უკმარისობის და ძალიან ცუდი წინასაარჩევნო სტრატეგიის მიუხედავად, დიდი გამოცდილების მქონე პარტიების კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღო, და ვინ იცის, რა მოხდებოდა მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში. საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ქართველი ამომრჩევლების კრიტიკულად დიდ ნაწილს, უპირველესად, ის აინტერესებს, გამოჩნდება თუ არა ასპარეზზე ახალი, გაუსვრელი პოლიტიკური გაერთიანება. ყველაზე ხშირად მას „მესამე ძალას“ უწოდებენ და მოელიან, რომ ის უცნაურ „ნაცქოცურ“ სიმბიოზს ბოლოს მოუღებს. ასეა უკრაინაშიც — ამომრჩევლებმა დაინახეს კანდიდატი, რომელიც ძველ პოლიტიკურ ელიტასთან და მის მიერ ჩადენილ სიბინძურეებთან არ ასოცირდება, და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მის კავშირს სკანდალურად ცნობილ ოლიგარქთან.

მიუხედავად ამისა, **პეტრე პოროშენკოს** მდგომარეობა უიმედო არ არის. ადმინისტრაციული რესურსი მის ხელშია. ყირიმისა თუ დონბასის მოვლენების და ემიგრაციის ზვავისებური ზრდის პირობებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა მოიშალა. ამასთანავე, საარჩევნო უბნები არ გაიხსნება რუსეთის ტერიტორიაზე, სადაც უამრავი უკრაინელი ცხოვრობს. ექსპერტების შეფასებები განსხვავებულია, თუმცა ისინი მიუთითებენ, რომ რამდენიმე მილიონი ხმის გაყალბების რესურსი ხელისუფლებას ნამდვილად აქვს (უკრაინაში დაახლოებით 32 მილიონი ამომრჩეველია — ზუსტი რაოდენობის დადგენას ვერავინ ახერხებს). პეტრე პოროშენკო აქტიურად ათამაშებს ორ კარტს — ის გამუდმებით მიუთითებს გარე საფრთხეზე და საუბრობს იმაზე, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოროშენკო პრეზიდენტი მას შემდეგ გახდა, რაც ოლიგარქებმა ამ საკითხზე კონსენსუსს მიაღწიეს. მართალია, მოგვიანებით მასსა და კოლომოისკის შორის დაპირისპირება დაიწყო, მაგრამ კავშირი სხვა ოლიგარქებთან პოროშენკოს საძლებლობას აძლევს, კრიტიკულ მომენტში „შავ სალაროში“ დიდძალი თანხების სწრაფი აკუმულირება მოახდინოს და არჩევნებს მოახმაროს.

ახალი წლის წინ **იულია ტიმოშენკო** რეიტინგებში დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ მაშინ არ არსებობდა ვლადიმერ ზელენსკის ფაქტორი, ამასთანავე, მან ძირითადი მესიჯები საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გაასაჯაროვა, ხოლო ბოლო თვეებში ახალი არაფერი უთქვამს. შეიძლება ითქვას, რომ მან კარგი სტარტი აიღო, მაგრამ შემდეგ ტემპი დააგდო. ტიმოშენკოს, როგორც ყოველთვის, პრობლემას წარსული უქმნის — საეჭვო კავშირები და გარიგებები მისი პრემიერმინისტრობის პერიოდში. ტრადიციულად მაღალია იმის ალბათობაც, რომ ტიმოშენკომ, არჩევნების გაყალბების საბაბით, შეიძლება „მაიდანის“ აგორება სცადოს. შიდაპოლიტიკური კრიზისის უკონტროლო ესკალაცია, სავარაუდოდ, კოლაფსამდე მიიყვანს ისედაც უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ უკრაინულ სახელმწიფოს.

6 თებერვალს მოსკოვში პრესკონფერენცია გამართა უკრაინის მეოთხე პრეზიდენტმა **ვიქტორ იანუკოვიჩმა**. ის ტელეკამერების წინ თვეების, თუ არა წლების, განმავლობაში არ გამოჩენილა. საბაბი პრესკონფერენციისთვის უკრაინული სასამართლოს გადაწყვეტილებამ შექმნა, რომელმაც ჩათვალა, რომ იანუკოვიჩი „რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობაში ეხმარებოდა“ და მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იანუკოვიჩმა ეს ბრალდება უარყო, შემდგომ კი სხვა თემებზე გადავიდა. მან თქვა, რომ, მისი რწმენით, პეტრე პოროშენკო გაყალბების გარეშე პრეზიდენტის პოსტს ვერ შეინარჩუნებს. იანუკოვიჩმა შეშფოთება გამოთქვა, რომ (მისი ინფორმაციით) უკრაინული სპეცსამსახურები გეგმავენ თავდასხმას „ოპოზიციური პლატფორმის“ ლიდერ **ვიქტორ მედვედჩუკზე**, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა და დაახლოების მომხრეა. 5 თებერვალს უკრაინის პროკურატურამ სამშობლოს ღალატისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მუხლებით მის წინააღმდეგ საქმე მას შემდეგ აღძრა, რაც 29 იანვარს მედვედჩუკი თავისი პარტიის ყრილობაზე წინადადებით გამოვიდა უკრაინის შემადგენლობაში დონბასის ავტონომიური რეგიონის შექმნის თაობაზე.

ვიქტორ იანუკოვიჩი სხვა თემებსაც შეეხო, თუმცა საინტერესოა ერთი ნიუანსი — რატომ ჩატარდა მისი პრესკონფერენცია მაინცდამაინც მოსკოვში? ის საერთაშორისო ძებნაში არ იმყოფება და საზღვარგარეთ დადის, პრესკონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე, მისი თქმით, იქ სამკურნალოდ ჩავიდა. საინტერესოა, რატომ არ ჩაატარა მან პრესკონფერენცია, მაგალითად, ვენაში ან ჟენევაში, არამედ მოსკოვში და დამატებითი საბაბი მისცა ოპონენტებს იმისთვის, რომ „კრემლის მარიონეტი“ უწოდონ. თუმცა, შესაძლოა, ამის გაკეთება რუსმა პარტნიორებმა ურჩიეს და მის გამოჩენას მოსკოვში დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდა.

გამორიცხული არ არის, რომ კრემლს სურს, აშშ-ის მოქმედებას ვენესუელაში ასიმეტრიული პასუხი გასცეს. კრიზისი ამ ლათინოამერიკულ ქვეყანაში გრძელდება, ვაშინგტონი დაუფარავ ზეწოლას ახორციელებს ვენესუელის ხელისუფლებაზე და მის გადადგომას მოითხოვს. ტრამპის ადმინისტრაცია უპრეცედენტო ნაბიჯზე წავიდა და არა მხოლოდ დაამყარა ურთიერთობა თვითგამოცხადებულ პრეზიდენტ **ხუან გუაიდოსთან**, არამედ მას ვენესუელის ხელისუფლების საბანკო ანგარიშების განკარგვის უფლება მისცა. მალე საქმე შეიძლება ღია ინტერვენციამდე მივიდეს.

ამ დროს უკრაინა საპრეზიდენტო არჩევნებს უახლოვდება, შესაბამისად, ამ ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციების გათვალისწინებით, იზრდება მწვავე კრიზისის დაწყების საფრთხეც. შესაძლოა, 6 თებერვლის პრესკონფერენციით კრემლმა, იანუკოვიჩთან შეთანხმებით, მიანიშნა ამერიკელებს, რომ „წითელი ხაზების“ გადალახვას ვენესუელაში, დიდი ალბათობით, მოჰყვება საპასუხო ნაბიჯები უკრაინაში, მით უმეტეს, რომ იურიდიული თვალსაზრისით ვიქტორ იანუკოვიჩს, როგორც პრეზიდენტს, ხუან გუაიდოსთან შედარებით, ლეგიტიმურობის გაცილებით მაღალი ხარისხი აქვს. ამგვარად, იანუკოვიჩის კომენტარები მიმდინარე მოვლენებზე შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მისი დაბრუნება პოლიტიკურ დაფაზე, ისევე, როგორც მედვედჩუკის დახმარება, სავსებით შესაძლებელია. დღეს იანუკოვიჩის გააქტიურება თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, თუ საპრეზიდენტო არჩევნები პოლიტიკურ კრიზისში გადაიზრდება და მას ძალისმიერი დაპირისპირება მოჰყვება, რაც გამორიცხული ნამდვილად არ არის, სიტუაცია შეიძლება მყისიერად შეიცვალოს.

**ლუკა ნემსაძე**

„მათ, ვინც მეტადონს მოიხმარს, ნარკომანს კი აღარ უწოდებენ, არამედ რეაბილიტანტს. ჩანაცვლებითი თერაპია მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აცილებს. ისინი დამნაშავეებიდან პაციენტებად იქცევიან. შემდეგ კი ამ მეტადონით, რომელიც თავისი ზემოქმედებით რამდენჯერმე აღემატება ჰეროინს, 5-10 წელიწადს ცოცხლობენ და კვდებიან ახალგაზრდები“.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ და ვის მიერ არის ორგანიზებული ლეგალური ნარკომანია აშშ-ში და რას ნიშნავს სინამდვილეში ჩანაცვლებითი თერაპია

**დამალვა იმისა, რომ აშშ-ში ოპიოიდური ნარკომანია ბობოქრობს, უკვე შეუძლებელია. განსაცვიფრებელია, მაგრამ ისინი, ვისაც ამ კატასტროფაში მიუძღვის ბრალი, დღემდე ჩრდილში იმყოფებიან. ლაპარაკია არა ნარკობარონებზე, არამედ საზოგადოების პატივცემულ წევრებზე, რომლებმაც ერის ჯანმრთელობა მსხვერპლად მიიტანეს ზემოგების მისაღებად.**

## ჩანაცვლებითი თერაპია ნარკომანების პოპულაციის მხარდამჭერაზე მუშაობს. ლეგალურ ნარკომანიას მილიარდობით მოგება მოაქვს კონკრეტული ოჯახისთვის

ოპიოიდების მასობრივი გავრცელებით გამოწვეულ ნაციონალური მასშტაბის უბედურებაზე **დონალდ ტრამპმა** ჯერ კიდევ 2017 წელს განაცხადა. „ოპიუმის მიმართ საშინელი საგანგებო ვითარებაა“, — განმარტა მან ტელეარხ FOX-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამ მკაცრი შეფასებისთვის ტრამპს აქვს საფუძველი — **ბოლო ოცი წლის განმავლობაში ნარკოტიკებზე დამოკიდებულებამ ეპიდემიის ხასიათი შეიძინა. ჰეროინი და მისი მონათესავე ტკივილგამაყუჩებელი წამლები ყოველწლიურად იმაზე მეტ ამერიკელს ისტუმრებს იმქვეყნად, რამდენიც კვდება ცეცხლსასროლი იარაღით და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში (დაახლოებით 50 ათასი), დოზის გადაჭარბება კი 50 წელს გადაბიჯებული ამერიკელი მოქალაქეების დაღუპვის მთავარი მიზეზია.**

უბედურების ამ სურათში შემაძრწუნებელია ის, რომ ეპიდემიას ხელოვნური ხასიათი აქვს. მისი პროვოცირება შეძლეს ფარმაცევტული კომპანიების მფლობელებმა, რომლებმაც ექიმების მეშვეობით პაციენტებს თავს მოახვიეს ჰეროინის მონათესავე პრეპარატები.

ეს ფირმები განაგრძობენ აყვავებას და მათ მფლობელებს ფიქრიც არ სურთ სასიკვდილოდ სახიფათო წამლების წარმოების შემცირებაზე.

ჟურნალისტები შეეცადნენ, მიეკვლიათ ოპიოიდური ეპიდემიისგან სარგებლის მიმღები კონკრეტული პირებისთვის, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმე აღმოჩნდა. მაგალითად, კომპანია „პერდიუ ფარმა“, რომელიც უშვებს ცნობილ **ოქსიკონტინს,** არის კერძო მფლობელის, რაც საშუალებას იძლევა, არ გახმაურდეს მფლობელების სია. თუმცა ახლახან გაირკვა, რომ ამ ფარმაცევტული გიგანტის მფლობელი არის **საკლერების ოჯახი** — ეს იყო მათი დიდი და ბინძური საიდუმლო. ოჯახის პატრიარქმა **არტურ საკლერმა** უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წამლების მარკეტინგს მიჰყო ხელი და ამ დარგში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა.

ადრე **საუკეთესო რეკლამად ითვლებოდა პრაქტიკოსი ექიმების დადებითი გამოხმაურებები. საკლერი ამ გამოხმაურებებს, უბრალოდ, აყალბებდა. ის აიძულებდა ექიმებს, გამოეწერათ მწვავე ფსიქოზებისთვის განკუთვნილი მძლავრი ტრანკვილიზატორები ნებისმიერი დაავადების დროს — მსუბუქი დეპრესიით დაწყებული, გამოცდების წინა მღელვარებით დასრულებული.** საკლერის ამ ტაქტიკის წყალობით, 1973 წელს ამერიკელმა ექიმებმა დაიწყეს წელიწადში 100 მლნ-მდე რეცეპტის გამოწერა და ტრანკვილიზატორების დანიშვნა. **„ვალიუმმა ადამიანები ნარკომანებად გადააქცია, მაგრამ ის რეალურად მოქმედებდა“,** — იხსენებს არტურ საკლერის ერთ-ერთი თანამშრომელი. 1952 წელს, პატარა ფარმაკომპანიის შეძენის შემდეგ, „რევოლუციონერმა“ თავისი ძმები **(რაიმონდი და მონტგომერი)** დაასაქმა და მთელი ძალისხმევა ბაზარზე წამლების გატანის ახალი მეთოდების შემუშავებისკენ მიმართა. დაიწყო გამოცემა საკუთარი ჟურნალისა, რომელშიც ცნობილი მედიკოსები დიდი ჰონორარების სანაცვლოდ ბეჭდავდნენ დადებით გამოხმაურებებს მის პრეპარატებზე. ეს ყველაფერი, რომელიც შეკვეთილი იყო, მართლაც ჰგავდა სამეცნიერო საემუშაოს და საკლერის წამლებს კარგ რეპუტაციას უქმნიდა. **დაიწყო ექიმების მოსყიდვაც. მათთვის საკლერები რეგულარულად აწყობდნენ „სემინარებს“ მდიდრულ სასტუმროებში, გულუხვად უმასპინძლდებოდნენ, აძლევდნენ ე.წ. სამივლინებო თანხებს ხარჯებისთვის. შემდეგ კი ეს მედიკოსები თავიანთ სტატიებში თავგამოდებით უმტკიცებდნენ სამედიცინო საზოგადოებას, რომ საკლერების წამლები ნამდვილი პანაცეაა.**

1995 წელს საკლერების ფირმამ, რომელსაც იმ პერიოდში **„პერდიუ ფარმა“** უწოდეს, დაიწყო ძლიერი ტკივილგამაყუჩებლის გამოშვება სახელწოდებით ოქსიკონტინი. ქიმიური შემადგენლობით ის ენათესავება ჰეროინს. ბევრ ქვეყანაში ის იყიდება რეცეპტით, რომლითაც გამოწერენ მინიმალურ დოზას. 1990-იანი წლების შუამდე ოპიოიდურ ტკივილგამაყუჩებლებზე გაძლიერებული კონტროლი აშშ-შიც არსებობდა, მაგრამ საკლერებმა შეძლეს მისი დანგრევა.

**ძმების მიერ გამოკვებილმა ექიმებმა გააჩაღეს კამპანია „ტკივილთან ბრძოლა“. გაჩნდა გამოთქმა „ქრონიკული ტკივილი“, რომელიც საეჭვოდ მოგვაგონებდა „ქრონიკულ დაღლილობას“. მედიცინის კორიფეები ამტკიცებდნენ, რომ მცირე ტკივილის მოთმენაც კი დამამცირებელია პეციენტისთვის. მომრავლდა სამეცნიერო ნაშრომები, რომლშიც ამტკიცებდნენ, რომ ოქსიკონტინი — ეს არის არატრადიციული ოპიოდი და არ იწვევს მიჩვევას.** პრესაში კი, გამოკვლევებზე დაყრდნობით, იწერებოდა, რომ ახალი ტკივილგამაყუჩებელი გამოყენებულ უნდა იქნას არა მხოლოდ ოპერაციის შემდეგ ან მძიმე დაავადებისას, არამედ ართრიტის, მოტეხილობების, ნაღრძობისა და გრიპით გამოწვეული კუნთების ტკივილის შემთხვევებში. სპეციალისტებმა ტერმინიც კი მოიგონეს — ოპიოფობია და ამტკიცებდნენ, რომ ეს სამედიცინო მითია. **კოლოსალურმა სარეკლამო კამპანიამ ტკივილგამაყუჩებელი, პრაქტიკულად, ქვეყანას მოახვია თავს. ზოგიერთ შტატში ექიმებს ნება დართეს, ღარიბი პაციენტებისთვის უფასოდ მიეცათ ოქსიკონტინის პირველი ულუფა — შემდეგი დოზისთვის პაციენტი, ჩვეულებისამებრ, თვითონ მიდიოდა.**

რას აკეთებდა სახელმწიფო? კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების სანიტარული კონტროლის სამმართველო (FDA) ნებას რთავდა, დაენიშნათ ოქსიკონტინი ზომიერი და ძლიერი ტკივილის შემთხვევაში. სამმართველოს თანამშრომელმა **კერტის რაიტმა** დაამკვიდრა ფორმულირება, რომ ეს არის ოპიოდურ ტკივილგამაყუჩებელთა შორის ყველაზე კარგი საშუალება და „ამცირებს დამოკიდებულების რისკს“. ცოტა ხნის შემდეგ რაიტი გათავისუფლდა FDA-დან. უცნაური დამთხვევით, მას ახალი თანამდებობა „პერდიუ ფარმამ“ შესთავაზა.

2000 წლისთვის ოქსიკონტინს წელიწადში მილიარდი დოლარი მოჰქონდა საკლერებისთვის. როგორც ყველა ოპიოიდი, პაციენტებში ისიც იწვევდა მიჩვევას, და საჭირო დოზა გამუდმებით იმატებდა. წამლისთვის თავის დანებების მცდელობა კი იწვევდა ე.წ. ლომკას და პაციენტი კვლავ მიდიოდა ექიმთან რეცეპტისთვის, ისინი, ვისაც ფული არ ჰყოფნიდა, გადადიოდნენ ჰეროინზე, ოქსიკონტინის უახლოეს ნათესავზე.

2010 წელს საკლერები იძულებული შეიქნენ, ოქსიკონტინი ამოეღოთ გასაყიდი ქსელიდან, თუმცა სასწრაფოდ გამოუშვეს პრეპარატი მსგავსი დასახელებითა და ანალოგიური მახასიათებლებით. იმ პერიოდისთვის აშშ მოიცვა ოპიოიდური ნარკომანიის ეპიდემიამ. ექიმები ყოველწლიურად წერდნენ 250 მლნ რეცეპტს და პაციენტებს უნიშნავდნენ ოპიოიდურ ტკივილგამაყუჩებლებს. ამჟამად ამერიკელები მსოფლიოში დამზადებული ოპიოიდების მესამედს მოიხმარენ.

შეგახსენებთ: **ოპიოდები — ეს არის სინთეტიკური ნივთიერება — ოპიატები, რომლებსაც აქვს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი და იწვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას. მათ მიეკუთვნება ისეთი ნივთიერებები, როგორიც არის მორფინი, კოდეინი, ოქსიკოდანი და მეტადონი**.

გასაკვირი არ არის, რომ საკლერები აშშ-ის ერთ-ერთი მდიდარი ოჯახია. მათ ქონებას „ფორბსი“ 13 მილიარდ დოლარად აფასებს, ამასთანავე, ამ ოჯახის ყოველწლიური შემოსავალი 700 მლნ დოლარია. არტურ საკლერი 1987 წელს გარდაიცვალა, მემკვიდრეებს კი უანდერძა: „შექმენით უკეთესი მსოფლიო“.

„პერდიუ ფარმა“ კი სულ უფრო ძლიერდება მსოფლიოს ბაზარზე. ბრაზილიის, ჩინეთის, მექსიკის, ახლო აღმოსავლეთის სამედიცინო საზოგადოებებთან მუშაობენ ძველი სქემით — სემინარები მდიდრულ სასტუმროებში, გრანტები, სტიპენდიები, გულუხვი ჰონორარები სამეცნიერო სტატიებისთვის. საკლერების მიერ დაქირავებული სპეციალისტები კვლავ გაჰყვირიან „ოპიოფობიაზე“ და ითვლიან მილიონობით რეცეპტს, თითქოსდა „ქრონიკული ტკივილისთვის“ გამოწერილს. **მხოლოდ მექსიკაში „პერდიუ ფარმას“ ექსპერტებმა ტკივილისგან გატანჯული 28 მლნ ადამიანი იპოვეს — ეს ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედია.**

„ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი ტკივილგამაყუჩებლების ხელმისაწვდომობა თითოეული მომხმარებლისთვის განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე“, — განუცხადა ჟურნალ „ნიუ-იორკერს“ **რამან სინგჰმა**, საკლერების შვილობილი კომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. აშშ-ში გასაყიდი ქსელიდან ამოღებული ოქსიკონტინი ახლა კანადაშიც კი იყიდება. სამი წლის წინათ კი სალერებს ნება დართეს, რეკლამა გაუწიონ ოპიოიდურ ტკივილგამაყუჩებლებს 11 წელზე ზევით მოზარდებისთვის.

აშშ-ში ოპიოიდური ეპიდემიის ორგანიზატორები კი არა მხოლოდ ცხოვრებით ტკბებიან, არამედ საყოველთაო პატივისცემითაც. მათ არ აკრიტიკებენ უფლებათა დამცველები, მათ საქმეს არ იძიებენ გაბედული პროკურორები, მათ წინააღმდეგ არავინ აკეთებს ფლეშმობებს „ფეისბუკში“. არტურ საკლერის სახელი კვლავაც თავს იწონებს სამედიცინო მარკეტინგის დიდების დარბაზში. სანკლერებს ჯერჯერობით კრახი არ ემუქრებათ, მათ ხომ მხოლოდ ოპიუმის ომი გააჩაღეს თანამემამულეების წინააღმდეგ.

აშშ-ში ნარკოტიკების ლეგალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, რომელიც სახელმწიფო დონეზე მოქმედებს.

**„ეს პროგრამა ამერიკელებს ეშმაკობის საშუალებასაც აძლევთ. მათ, ვინც მეტადონს მოიხმარენ, ნარკომანებს კი აღარ უწოდებენ, არამედ რეაბილიტანტებს. ჩანაცვლებითი თერაპია მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აცილებს. ისინი დამნაშავეებიდან პაციენტებად იქცევიან. შემდეგ კი ამ მეტადონით, რომელიც თავისი ზემოქმედებით რამდენჯერმე აღემატება ჰეროინს, 5-10 წელიწადს ცოცხლობენ და კვდებიან ახალგაზრდები“,** — ასეთია ექსპერტების დასკვნა. აშშ-ის რამდენიმე შტატში უკვე ლეგალიზებულია მარიხუანა, თითქოსდა „სამკურნალო მიზნით“. ასეთი ექსპერიმენტი ბევრ ქვეყანაში ჩატარდა, მათ შორის შვედეთსა და საფრანგეთში, მაგრამ, საბოლოოდ, თავი შეიკავეს ამ ნაბიჯისგან, ექსპერიმენტმა აჩვენა მხოლოდ ის, რომ ნარკოტიკები სიკვდილია.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**









არტურ საკლერი

**ბოლო ოცი წლის განმავლობაში ნარკოტიკებზე დამოკიდებულებამ ეპიდემიის ხასიათი შეიძინა. ჰეროინი და მისი მონათესავე ტკივილგამაყუჩებელი წამლები ყოველწლიურად იმაზე მეტ ამერიკელს ისტუმრებს იმქვეყნად, რამდენიც კვდება ცეცხლსასროლი იარაღით და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად (დაახლოებით 50 ათასი), დოზის გადაჭარბება კი 50 წელს გადაბიჯებული ამერიკელი მოქალაქეების დაღუპვის მთავარი მიზეზია**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## «ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა» პედოფილი... ქალი

**ინგლისის უილტშორის საგრაფოში პირველად დასაჯეს ქალიშვილი ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გამო, — იუწყება ტაბლოიდი „დეილი მირორი“.**

ქალაქ სუინდონის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის 18 წლის აღმზრდელს — **სოფი ელმსს** შვიდი წლითა და ათი თვით პატიმრობა მიუსაჯეს. მსჯავრდებულმა დანაშაული აღიარა.

გამოძიებამ მას 16 ეპიზოდში დაუდასტურა დანაშაული, რომლებიც მან ჩაიდინა, როცა 17 წელი შეუსრულდა. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ მას ჰყავდა თანამზრახველი — 59 წლის ლონდონელი დეტექტივი **დევიდ გერინგი,** რომელიც სოცქსელებში გაიცნო. მას 15 წლით პატიმრობა მიესაჯა. გერინგი ელმსს უკვეთავდა ფოტო და ვიდეომასალებს, რომლებსაც შემდეგ თავისნაირებს უზიარებდა.

სოფი ელმსის შემთხვევა იშვიათია არა მხოლოდ მისი ასაკის გამო, არამედ სქესის გამოც. ქალები იშვიათად წარმოგვიდგებიან პედოფილიის ფაქტების ფიგურანტებად. ამ მოვლენის ბუნება ბოლომდე შესწავლილი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, მთავარ როლს დედის ინსტიქტი თამაშობს.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## პედოფილიისთვის მსჯავრდებული ესტონეთის მოქალაქე დააჯილდოვეს

**ესტონეთის იუსტიციის მინისტრმა საპატიო ნიშნით „თავისუფლების მუხის გვირგვინი“ დააჯილდოვა სილვერ სილდი. გაზეთი Postimees იუწყება, რომ ეს კაცი 2008 წელს პირობით იყო მსჯავრდებული პედოფილიის ბრალდებით.**

ამ საპატიო ნიშნით გამოარჩევენ ესტონეთის თავისუფლებისთვის მებრძოლ და ესტონეთის თავისუფლებისთვის ბრძოლის მხარდამჭერ ადამიანებს. უწყების ცნობით, სილდი დააჯილდოვეს ესტონეთის თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიის გარკვევაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე, ქალაქ ვირუში დეპორტაციის მსხვერპლთა მემორიალის შექმნაში მონაწილეობისთვის.

იუსტიციის მინისტრ **ურმას რეინსალუს** განცხადებით, ჯილდოს გადაცემის მომენტისთვის მან არაფერი იცოდა დაჯილდოებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. უახლოეს დღეებში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც გადაწყვეტს პედოფილისთვის ჯილდოს ჩამორთმევის საკითხს.





## «ოსკარზე» წარდგენილ ფილმ «ბოჰემური რაფსოდიის» რეჟისორს ძალადობის ბრალდება კვლავ წაუყენეს

**ჟურნალისტური გამოძიების პროცესში გამოკითხული 50 ადამიანიდან ოთხმა აღიარა, რომ ბრაიან სინგერის მხრიდან განიცადეს ამორალური ძალადობა, — იუწყება The Atlantic.**

ოთხმა მამაკაცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რეჟისორმა მათზე მაშინ იძალადა, როცა ისინი ბავშვები იყვნენ. სექსზე დათანხმების სანაცვლოდ იგი მათ ფილმში გადაღებას ჰპირდებოდა. მათგან უმცროსი 13 წლის იყო. ბავშვებმა დაადასტურეს, რომ რეჟისორმა არ იცოდა მათი წლოვანება.

გამოცემა წერს, რომ რეჟისორის მრავალ მეგობარს ხშირად მიჰყავდა მასთან ლამაზი ყმაწვილები „გასაცნობად“. უფრო ადრე „ლაიფი“ იუწყებოდა, რომ ამერიკელ რეჟისორს ბრალად ედებოდა 17 წლის ყმაწვილის გაუპატიურება.




## პარიზელ პოლიციელებს პატიმრობა მიუსაჯეს ტურისტი ქალის გაუპატიურებისთვის

**ორ პოლიციელს 7-7 წლით პატიმრობა მიუსაჯა პარიზის სასამართლომ კანადელი ტურისტი ქალის გაუპატიურებისთვის... უშუალოდ სამართალდამცავთა შტაბ-ბინაში, — იუწყება ტელეარხი BFMTV.**



გაზეთმა „ფიგარომ“ დაიმოწმა საფრანგეთის გენერალური პროკურორის მოადგილე და დაწერა, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს „აბსოლუტურად განსხვავებული ვერსიები“, მაგრამ პოლიციელების ვერსია „შესაბამობის დაფარვის(?) მცდელობის შემცველია“.

ინციდენტი თითქმის ხუთი წლის წინათ მოხდა — 2014 წლის 23 აპრილის ღამეს, როცა კანადელმა ტურისტმა **ემილია ს**-მ გაიცნო ორი პოლიციელი ირლანდიურ პაბში, რომელიც მდებარეობს პარიზის სისხლის სამართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს კომისარიატის მოპირდაპირე მხარეს, ორფევსის სანაპიროზე.

იუწყებოდნენ, რომ 39 წლის ქალმა და მისმა ახალგაცნობილებმა დიდი რაოდენობით ალკოჰოლი დალიეს, შემდეგ გადაწყვიტეს, კომისარიატის დათვალიერება. შევიდნენ შენობაში. საათ-ნახევრის შემდეგ, დაახლოებით ღამის 2 საათზე, იქიდან გამოვიდა ეს ტურისტი ქალი, თვალცრემლიანი, უკოლჰოტოდ, „შოკურ მდგომარეობაში“.

ბრალდებაწაყენებულმა პოლიციელებმა — **ანტუან კ-მ** და **ნიკოლა რ-მ** არ უარყვეს, რომ დაზარალებულთან ჰქონდათ სექსუალური ურთიერთობა სხვადასხვა ფორმით, მაგრამ განაცხადეს, რომ ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით ხდებოდა.

2016 წელს გამომძიებლებმა საქმე დახურეს. მათი დასკვნით, დაზარალებულის ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, მაგრამ პროკურატურის აპელაციის შემდეგ ვნებააშლილი პოლიციელების საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცეს.

## არა შეჯდა გეი ხესა...

**უფრო ზუსტად, — მოტოციკლეტს: შეჯდა და მოკლეს. ეს მოხდა კუნძულოვანი სახელმწიფოს — პუერტო-რიკოს დედაქალაქ სან-ხუანში.**



**24 წლის პოპულარული რეპერი კევინ ფრეტი ჰომოსექსუალად იყო აღიარებული. უცნობმა პირებმა ის დაცხრილეს არატრადიციული ორიენტაციის პოპულარიზაციის გამო. უბედურს 2019 წლის 10 იანვარს ესროლეს, როცა მოტოციკლით მგზავრობდა. ეს ინფორმაცია გაავრცელა ბი-ბი-სიმ.**

ჟურნალისტები წერენ, რომ ლათინოამერიკელი რეპერი არ მალავდა კაცებისადმი ლტოლვას, აქტიურად გამოდიოდა ლგბტ-თემის დასაცავად. ფრედის სადებიუტო კლიპი „ვარ ისეთი, როგორიც ვარ“ „იუთუბიზე“ 500 ათასმა მნახველმა გააზიარა.

8 ტყვია დაახალეს საწყალს ბარძაყსა და თავში. პოლიცია ცდილობს ბოროტმოქმედთა დადგენას. გეიაქტივისტები, როგორც პრესა იუწყება, ფრიად შეაშფოთა ამ ტრაგედიამ: 2019 წელს სან-ხუანში, ამ პატარა კუნძულოვან სახელმწიფოში, უკვე 22 ადამიანი მოკლეს.

**„ᲘᲒᲘ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲒᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲐᲡ ᲓᲐ ᲦᲘᲐᲓ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲓᲐᲡᲪᲘᲜᲘᲐᲜ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲔᲑᲡ, ᲓᲔᲕᲜᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲕᲔᲜ“,** — წერს ერთ-ერთი გეიაქტივისტი აშშ-დან.

ანტიოქიის საპატრიარქო პატივის მიხედვით მესამეა მსოფლიოს 15 მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. თუ ალექსანდრიის ეკლესია აერთიანებს აფრიკის ხალხებს, ანტიოქიის ეკლესია თავის მისიას ახორციელებს არაბული სამყაროს ქრისტიანებს შორის. მათ იურისდიქციაშია სირია, ლიბანი, ერაყი, ქუვეითი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ბაჰრეინი, ომანი, აგრეთვე, ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში დასახლებული არაბული წარმოშობის მრევლი.

მართლმადიდებელი სამყარო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინული სცენარი ანტიოქიის ეკლესიისთვის?

**საინფორმაციო სააგენტოებმა ცოტა ხნის წინათ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა უკრაინის ეკლესიის მსგავსად ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიბანურ და სირიულ ნაწილებად გაყოფის თაობაზე. ლაპარაკია ერთ-ერთ უძველეს აღმოსავლურ-ქრისტიანულ საპატრიარქოზე. გადმოცემის თანახმად, წმინდა მოციქულებმა — პეტრემ და პავლემ ის დაახლოებით 37 წელს დააარსეს. ახალი აღთქმის მიხედვით, წმინდა მოციქულთა საქმეების გამო იესო ნაზარეველის მიმდევრებმა პირველად სწორედ ანტიოქიაში უწოდეს თავიანთ თავს ქრისტიანები.**



დღეს ანტიოქიის საპატრიარქო პატივის მიხედვით მესამეა მსოფლიოს 15 მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. თუ ალექსანდრიის ეკლესია აერთიანებს აფრიკის ხალხებს, ანტიოქიის ეკლესია თავის მისიას ახორციელებს არაბული სამყაროს ქრისტიანებს შორის. მათ იურისდიქციაშია სირია, ლიბანი, ერაყი, ქუვეითი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ბაჰრეინი, ომანი, აგრეთვე, ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში დასახლებული არაბული წარმოშობის მრევლი.

ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია 22 ეპარქიისგან შედგება, მათგან 6 სირიაშია, 6 — ლიბანში. მრევლის რაოდენობა ომამდე შეადგენდა 2 მლნ-ს, მათგან 1 მლნ სირიელია (მოსახლეობის 5%) და 400 ათასი ლიბანელი (10%). სამოქალაქო ომის პერიოდში ისლამისტების ტერორის გამო სირიელი ქრისტიანების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო, ლიბანში გაქცეულიყო. დღეს სირიაში მცხოვრები ქრისტიანების რეალური რაოდენობის, ისევე როგორც მსხვერპლის, შეფასება რთულია, თუმცა, უფლებადამცველი ორგანიზაციების მოხსენებების თანახმად, სირიამ დაახლოებით მილიონამდე ქრისტიანი დაკარგა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ერთადერთი ეკლესიაა, ხოლო რუსეთის ფედერაცია ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ეხმარება სირიელებს სამოქალაქო ომის შედეგების აღმოფხვრაში, ამასთანავე, არა მხოლოდ მართლმადიდებლებს, არამედ ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ეხმარება სირიელ დაჭრილებსა და ხეიბრებს — ისინი სამკურნალოდ მიჰყავთ რუსეთის კლინიკებში.

პატრიარქი **იოანე X** ხშირად უხდის მადლობას რუს დებსა და ძმებს დახმარებისთვის, იმისათვის, რომ „გადაარჩინეს სირია და შეუნარჩუნეს ღირსება და პატივი მის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ამ ისტორიულ და წმინდა მიწაზე, რომელიც მოწმეა ქრისტეს ცხოვრებისა უკვე 2000 წელზე მეტია.

ამა წლის თებერვლის დასაწყისში პატრიარქ **კირილეს** ინტრონიზაციის საზეიმო ღონისძიებებზე მოსკოვში ჩასულმა ანტიოქიის პატრიარქმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა:

**„ჩვენ გვინდა, ჩვენი სიმართლის ხმა შესმენილ იქნას, იმიტომ, რომ ჩვენს დროს გაჩუმება უღირსი საქციელია. ჩვენ აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ ამაზე ხმამაღლა. ამიტომაც მოვუწოდებდით და კვლავაც მოვუწოდებთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, სხვა ადგილობრივ ეკლესიებს, რომ დაუბრუნდნენ დიალოგის, თანამშრომლობის გზას... ჩვენ არ ვეთანხმებით იმას, რომ სრულიად მართლმადიდებელი სამყაროს მეშვეობით ცდილობენ საეკლესიო პრობლემების ცალმხრივად გადაწყვეტას, რომელსაც შედეგად ამ სამყაროს გახლეჩვისკენ მივყავართ“.**

ჟურნალისტების პირდაპირ შეკითხვაზე უკრაინის ეკლესიის მაგალითზე არის თუ არა ანტიოქიის ეკლესიის გახლეჩვის მცდელობა სირიასა და ლიბანში, იოანე X-მ თქვა: **„თუ ლაპარაკია მცდელობაზე, რომლებსაც ახორციელებენ გარე ძალები, ანტიოქიის ეკლესიის დასასუტებლად, მაშინ ეს საიდუმლო არავისთვისაა“.** თუმცა პატრიარქი დარწმუნებულია, რომ სირიელი ქრისტიანები „მიმდევრები არიან საერთო საქმის, საერთო ამოცანების, საერთო პრინციპების ლიბანსა და სირიაში“ და მათთვის მიუღებელია დაყოფა და დანაწევრება. მან, აგრეთვე, აღნიშნა, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობას მხარს უჭერს სირიის პრეზიდენტი **ბაშარ ასადი** და ლიბანის პრეზიდენტი **მიშელ აუნი.**

2018 წლის ოქტომბერში ანტიოქიის ეკლესიის სინოდის წევრებმა, მოსკოვის პატრიარქის მიერ ყველა ეკლესიისთვის გაგზავნილი წერილის მიღების შემდეგ, მოეწვიათ კრება და განეხილათ ბართოლომეოსის ეკუმენისტური საპატრიარქოს შეჭრა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე უკრაინაში, მხარი დაუჭირეს მოსკოვის პატრიარქის წინადადებას საყოველთაო მართლმადიდებლური შეკრების მოწვევის თაობაზე. 2018 წლის 5 ოქტომბერს ბალამანდრის მონასტერში მიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ **„ანტიოქიის ელესია გამოხატავს დიდ შეშფოთებას იმ მოქმედებების გამო, რომლებიც იწვევს მართლმადიდებელი ეკლესიების გეოგრაფიის შეცვლას და მიიჩნევს, რომ ისტორიის ცალმხრივად განხილვა არ ემსახურება მართლმადიდებელთა ერთობას, პირიქით — აღვივებს სიძულვილს და ხელს უწყობს ერთი ეკლესიის შვილების განცალკევებას“.**

19 ოქტომბერს ბელგრადში შეხვედრისას სერბეთის **პატრიარქ ირინეისა** და ანტიოქიის პატრიარქ იოანე X-ის შეხვედრისას ხელი მოეწერა ერთობლივ განცხადებას. პატრიარქებმა მოუწოდეს ეკუმენისტ პატრიარქს, „აღადგინოს ძმური დიალოგი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რათა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის წარმომადგენელთა მხარდაჭერითა და მონაწილეობით მოგვარდეს კონფლიქტი ცარეგრადსა და მოსკოვის საპატრიარქოს შორის და აღდგეს მშვიდობა მართლმადიდებელ ეკლესიაში“.

**„ბოლო უნდა მოეღოს სახიფათო ვითარებას მართლმადიდებელ სამყაროში, რომელიც შეიქმნა უკრაინაში, რადგან ეს დანაწევრებით ემუქრება მართლმადიდებელ ეკლესიას“,** — ნათქვამია ორი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივ განცხადებაში.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



ანტიოქიის პატრიარქი

**ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია 22 ეპარქიისგან შედგება, მათგან 6 სირიაშია, 6 — ლიბანში. მრევლის რაოდენობა ომამდე შეადგენდა 2 მლნ-ს, მათგან 1 მლნ სირიელია (მოსახლეობის 5%) და 400 ათასი ლიბანელი (10%). სამოქალაქო ომის პერიოდში ისლამისტების ტერორის გამო სირიელი ქრისტიანების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო, ლიბანში გაქცეულიყო. დღეს სირიაში მცხოვრები ქრისტიანების რეალური რაოდენობის, ისევე, როგორც მსხვერპლის, შეფასება რთულია, თუმცა, უფლებადამცველი ორგანიზაციების მოხსენებების თანახმად, სირიამ დაახლოებით მილიონამდე ქრისტიანი დაკარგა**

# ლიტვაში პარლამენტართა რაოდენობას ამცირებენ



**ლიტვის პარლამენტი 141 დეპუტატიდან შეიძლება 121-მდე შემცირდეს. რეფერენდუმის გამართვას საკითხზე — შემცირდეს თუ არა ლიტვის საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატების რაოდენობა, მხარი დაუჭირა 58-მა პარლამენტარმა, წინააღმდეგი იყო 42.** კონსტიტუციის შეცვლა და პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირება განპირობებულია მოსახლეობის სწრაფი შემცირებით. თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში ლიტვაში ცხოვრობდა 3,7-3,8 მლნ ადამიანი, დღეს — მილიონით ნაკლები ცხოვრობს.

# «შავ ზღვაზე ნატოს აქტიურობა უსაფრთხოების სფეროში ვითარებას გააუარესებს»

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე გრუშკომ კომენტარი გააკეთა ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის, განცხადებაზე შავ ზღვაში ნატოს ყოფნის შესახებ:**



ალექსანდრე გრუშკო

**„ჩვენ იმ მოცემულობიდან გამოვდივართ, რომ ნატოს აღნიშნული აქტიურობა უსაფრთხოების სფეროში ვითარებას გააუარესებს. შავი ზღვა ყოველთვის იყო თანამშრომლობის ზღვა“,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

იენს სტოლტენბერგმა 14 თებერვალს განაცხადა, რომ ნატო უკრაინისთვის დამატებითი მხარდაჭერის გაწევისა და შავ ზღვაში ყოფნის გაფართოების შესაძლებლობას განიხილავს. **„ნატო უკრაინას პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას უწევს. ახლა განვიხილავთ, კიდევ რისი გაკეთება შეგვიძლია. ასევე განვიხილავთ შავ ზღვაში ნატოს ყოფნის შემდგომ გაზრდას. უახლოეს დღეებში შავ ზღვაში ჩვენი ხომალდები მონაწილეობას მიიღებენ სწავლებებში“,** — დასძინა სტოლტენბერგმა.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მსოფლიოში განთქმულ პრაღის ასტრონომიულ საათს, რომელიც რატუშის ერთ-ერთ კოშკშია დამონტაჟებული, პრაღის კურანტებს უწოდებენ. მექანიკური საათი და ასტრონომიული ციფერბლატი, რომელიც მზისა და მთვარის მდებარეობას განსაზღვრავს რეალურ დროში, 1410 წელს დადგეს. 1490 წელს დაუმატეს კალენდრის ციფერბლატი, ხოლო 1600-იან წლებში — ხის სკულპტურები, რომლებიც განსაზღვრულ დროს „ცოცხლდებიან“ და მოძრაობას იწყებენ.

# შუასაუკუნეების 5 ღირსშესანიშნაობა, რომლებიც აუცილებლად უნდა მოინახულოთ





## წმინდა მიქაელის მთა, საფრანგეთი

წმინდა მიქაელის მთა (Mont Saint Michel) ცნობილი კუნძული-ციხესიმაგრეა, რომელიც მდებარეობს ქვედა ნორმანდიაში, საფრანგეთის ჩრდილოეთით. ეს განსაცვიფრებელი ქალაქი კლდეზე, რომელსაც ყველა მხრიდან ზღვა აკრავს, განთქმულია არა მხოლოდ საკვირველი ისტორიით, არამედ იმითაც, რომ ამ ადგილას ძალიან ძლიერი მოქცევა და მიქცევა იცის. ციხესიმაგრის ისტორია VIII საუკუნიდან იწყება, როცა ამ ადგილას პატარა დასახლება გაჩნდა, მაგრამ სახელი გაითქვა მას შემდეგ, რაც აქ მცხოვრებ ღვთისმსახურს გამოეცხადა მიქაელ მთავარანგელოზი. ამ ადგილას თემმა ააგო პატარა სამრეკლო წმინდანის პატივსაცემად და მას შემდეგ კუნძულს წმინდა მიქაელის მთას უწოდებენ. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა სააბატოს მშენებლობა, რომელიც 966 წელს დასრულდა. მას შემდეგ ეს ადგილი მომლოცველთა ცენტრად იქცა. ცოტა ხნის შემდეგ იქ ააგეს დამცავი კედელი და ადგილი გადაიქცა ქალაქ-ციხესიმაგრედ. გოთიკური და რომანული სტილის არქიტექტორული შედევრები უამრავ ტურისტს იზიდავს. 1974 წლიდან წმინდა მიქაელის მთა იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის ობიექტთა სიაშია.



## ბრიუგეს არხები, ბელგია

ბრიუგე — დასავლეთი ფლანდრიის დედაქალაქი, ბელგიის ვენეციაა. ის თითქმის მთლიანად განლაგებულია არხებზე, ეს თავისებური საწყლოსნო გზები, ვიწრო ხეივნები, მტირალა ტირიფები და კოლორიტული კოტეჯები ზღაპრული ქალაქის სიმბოლოდ იქცა.

ბრიუგეს გასაოცარი არხები 1128 წელს შეიქმნა. ეს არხები მრავალი ასწლეულის განმავლობაში ასრულებდნენ მთავარი „არტერიების“ როლს ქალაქის განვითარების საქმეში. არხების სისტემამ არა მხოლოდ გააძლიერა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ ბრიუგე სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქად აქცია ევროპის რუკაზე. მიუხედავად იმისა, რომ არხების როლი საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა ქვეყნისა და კონტინენტის ცხოვრებაში, თვით არხები, ძირითადად, უცვლელი რჩებოდა, რაც შესაძლებლობას იძლევა, წარმოვიდგინოთ, როგორი ცხოვრება იყო შუა საუკუნეების ბელგიაში. ამჟამად ეს ყველაზე მოდური ღირსშესანიშნაობაა, რომლის დათვალიერებასაც უამრავი ტურისტი ცდილობს.



## სენტ-შეპელის კაპელა, საფრანგეთი





კაპელა სენტ-შეპელი (Sainte Chapelle) 1248 წელს ააგეს პარიზში მეფე **ლუი IX**-ის ბრძანებით. განლაგებულია სამეფო ციხესიმაგრის ეზოში. ის ჩაფიქრებული იყო არა მხოლოდ როგორც ღმერთისადმი მიმართვის საშუალება, არამედ, როგორც ჯვაროსნების მიერ ლაშქრობებში მოპოვებული რელიკვიების საცავი. ნივთების დიდი ნაწილი ჩამოტანილი იყო კონსტანტინოპოლიდან. ეკლესიაში ინახებოდა კათოლიციზმისთვის განსაკუთრებით ღირებული არტეფაქტები, მათ შორის ეკლიანი გვირგვინი და ჯვრის ფრაგმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რელიკვია გადატანილი იქნა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში (1804 წ.), სენტ-შეპელის კაპელა კვლავ რჩება მომხიბვლელ არქიტექტურულ ნაგებობად ტურისტებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვიტრაჟები, რომლებზეც გამოსახულია 1113 ბიბლიური სცენა



## პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, საფრანგეთი

ღვთისმშობლის სახელობის პარიზის საკათედრო ტაძარი (Notre-Dame Cathereal) შუასაუკუნეების ერთ-ერთი ცნობილი არქიტექტურული ძეგლია. ეს ტაძარი განთქმულია თავისი დიზაინითა და შთამბეჭდავი სკულპტურებით, აგებულია ღვთისმშობელი მარიამის პატივსაცემად. ამ გიგანტური ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1160 წელს და 200 წელიწადს გაგრძელდა. 1847-1864 წლების საფრანგეთის რევოლუციის შედეგად ნაწილობრივ დანგრეული ტაძრის სკულპტურები და მორთულობები **ლასმა** და **ვიოლიე-ლე-დიუკმა** აღადგინეს. სწორედ ამ რესტავრაციისას გადაწყვიტა ვიოლიე-ლე-დიუკმა, შეექმნა 56 ქიმერა, რომლებიც დღესაც ამშვენებს კოშკის გალერეას. ეს უნიკალური ტაძარი განთქმულია არა მხოლოდ თავისი ზომებითა და დაუჯერებელი ვიტრაჟებით, არამედ უზარმაზარი ზარითაც, რომლის წონაც 13 ტონაა. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ყველაზე პოპულარული ფრანგული ღირსშესანიშნაობაა ტურისტებს შორის.



## პრაღის ასტრონომიული საათი, ჩეხეთი



მსოფლიოში განთქმულ პრაღის ასტრონომიულ საათს, რომელიც რატუშის ერთ-ერთ კოშკშია დამონტაჟებული, პრაღის კურანტებს უწოდებენ. მექანიკური საათი და ასტრონომიული ციფერბლატი, რომელიც მზისა და მთვარის მდებარეობას განსაზღვრავს რეალურ დროში, 1410 წელს დადგეს. 1490 წელს დაუმატეს კალენდრის ციფერბლატი, ხოლო 1600-იან წლებში — ხის სკულპტურები, რომლებიც განსაზღვრულ დროს „ცოცხლდებიან“ და მოძრაობას იწყებენ. აღსანიშნავია, რომ ძველად საათის მექანიზმის გამართული მუშაობისთვის იქ იდგნენ ზედამხედველები, რომლებსაც, თუ საათი გაფუჭდებოდა, მიზეზი უნდა აღმოეფხვრათ და ისრებს მოძრაობა განეგრძოთ. სამწუხაროდ, საათის ამჟამინდელი ვარიანტი ცნობილი პრაღის კურანტების ასლია, იმიტომ, რომ 1945 წლის 8 მაისის ხანძრის შემდეგ (საათს ცეცხლგამჩენი ბომბი მოხვდა), რომელმაც რატუშა გაანადგურა, მის აღდგენას 3 წელიწადი დასჭირდა, ყველაფრის მიუხედავად, პრაღის საათი უძველესი ასტრონომიული საათია, რომელიც დღემდე მუშაობს და უამრავ ტურისტს იზიდავს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2001 წელს ნიუ-იორკის საშინელი ტერაქტის შემდეგ ბობი ფიშერმა, რომელიც ყოველთვის ემალებოდა პრესას, ფილიპინების რადიოში დარეკა და განაცხადა: „ეს მშვენიერი ახალი ამბავია. შტატებისთვის დიდი ხნის წინათ უნდა ამოეცხოთ პანღური. ტაშს ვუკრავ ამ ოპერაციას. მინდა, ვიყო მოწმე იმისა, როგორ აღიგვება ამერიკა პირისაგან მიწისა“. თავის სხვა რადიომიმართვაში ფიშერმა განაცხადა: „ამერიკას სრულიად აკონტროლებენ ებრაელები, ხელმძღვანელები ებრაელები არიან ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ვირთხები, რომლებიც ებრაელებისთვის მუშაობენ. სახელმწიფო მდივანი და თავდაცვის მინისტრი მოფარფატე ყევერები არიან. ნახეთ, რა ჩაიდინეს მათ იუგოსლავიაში“.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №5 (476)

# ბობი ფიშერი — მეამბოხე მოჭადრაკე

**არჩევანის წინაშე მყოფმა ფიშერმა თანხმობა განაცხადა მატჩის ისლანდიაში გამართვაზე, მაგრამ წამოაყენა კიდევ ერთი პირობა — გაეორმაგებინათ საპრიზო ფონდი. ლონდონელმა ფინანსისტმა ჯიმ სლეიტერმა, როცა ეს ამბავი შეიტყო, 125 ათასი დოლარი ჩარიცხა საპრიზო ფონდში, რომელმაც მიაღწია იმ პერიოდისთვის უპრეცედენტო თანხას — 250 000 დოლარს. ყველაფრის მიუხედავად, 1972 წლის 1 ივლისს რეიკიავიკში მატჩის გახსნის ცერემონიაზე ფიშერი არ ჩანდა.**

ფორმალურად მისთვის დამარცხება უნდა ჩაეთვალათ კენჭისყრაზე გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ ფიდეს პრეზიდენტმა **ეივემ** გახსნის ცერემონიის გადატანა გამოაცხადა. კენჭისყრა კიდევ 2-ჯერ გადაიდო, სანამ დასავლურ პრესაში არ გაჩნდა სტატიები, რომლებშიც ფიშერს სიმხდალის გამო მატჩის ჩაშლის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. მოჭადრაკე ვერ ბედავდა ნიუ-იორკიდან გამოფრენას — ეშინოდა, რომ მის თვითმფრინავს რუსებიააფეთქებდნენ. ვითარებაში ჩაერია აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტის მრჩეველი **ჰენრი კისინჯერი.** მან პირადად დაურეკა ფიშერს და უთხრა: „ამერიკას სურს, რომ თქვენ წახვიდეთ და გაანადგუროთ რუსები“. საჩემპიონო მატჩი 11 ივლისს დაიწყო — 10 დღის დაგვიანებით. პირველი პარტია ფიშერმა წააგო. ამის შემდეგ მოითხოვა, მოეშორებინათ ყველა ტელეკამერა. ორგანიზატორებმა იუარეს, რადგან მატჩის ტელეტრანსლაციის უფლებები გაყიდული იყო. ამის გამო ბობი მეორე პარტიაზე არ გამოცხადდა და ტექნიკური წაგება ჩაეთვალა. მატჩს ჩაშლის საფრთხე დაემუქრა, მაგრამ გენიოსმა ფიშერმა იცოდა, რომ ყველა იბრძოდა მატჩის გადასარჩენად, და ბობი დათანხმდა, თამაში განეგრძო. სანაცვლოდ ორგანიზატორებისგან მოითხოვა სპორტული ავტომობილი, გეიზერების წყლის აუზი, საჩოგბურთო კორტი, აგრეთვე, დარბაზის სხვაგვარად მოწყობა, საჭადრაკო დაფის შეცვლა და მწვანე შუქის ჩართვა ყველა შუქნიშანზე, როცა მატჩზე წავიდოდა. ბოლოს, მთავარი — მესამე პარტია უნდა ჩატარებულიყო დახურულ შენობაში, ჟურნალისტებისა და მაყურებლების გარეშე. **„ჩემს მთავარ ამოცანად მიმაჩნია ის, რომ დავთრგუნო მოწინააღმდეგის ეგო“,** — ამბობდა ფიშერი. რამდენიმე დღის შემდეგ **ბორის სპასკი** მოულოდნელად დათანხმდა, ეთამაშა მესამე პარტია დახურულ შენობაში. ეს გადაწყვეტილება მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მესამე პარტიის მოგების შემდეგ ამერიკელმა გატეხა მოწინააღმდეგე, 7 გამარჯვება მოიპოვა და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა. გამარჯვებულ ფიშერს ამერიკაში შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირს. პრეზიდენტმა **ნიქსონმა** ბობი სადილზე მიიწვია, მაგრამ მან იუარა და განაცხადა: „ვერ ვიტან, როცა ვღეჭავ და ყველა პირში მიყურებს“.

სპასკისთან გამართული მატჩის ბოლო პარტია ფიშერის მიერ ნათამაშები უკანასკნელი ოფიციალური პარტია იყო. 1975 წელს მან უარი თქვა, ეთამაშა მატჩი ახალ პრეტენდენტ ანატოლი კარპოვთან მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაზე. 1975 წლის 3 აპრილს ფიშერს ტექნიკური დამარცხება ჩაუთვალეს და ჩემპიონის ტიტული საბჭოთა მოჭადრაკეს მიაკუთვნეს.

1990-იანი წლების დასაწყისამდე ფიშერი განმარტოებით ცხოვრობდა პასადენაში (კალიფორნია), საზოგადოებაში არ ჩნდებოდა. ის თითქმის ყველასგან იყო მივიწყებული, როცა იუგოსლაველმა ბანკირმა **ე. ვასილევიჩმა** შესთავაზა კომერციული მატჩრევანშის ორგანიზება სპასკისთან. და ექსჩემპიონი მოულოდნელად დათანხმდა, მატჩის საპრიზო ფონდმა 5 მლნ დოლარი შეადგინა. შეხვედრა გაიმართა იუგოსლავიის კუნძულ სვეტი-სტეფანიზე. მატჩის დაწყებამდე ფიშერმა მიიღო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წერილი, რომ იუგოსლავიის ტერიტორიზე გამართულ მატჩში მონაწილეობით ის დაარღვევდა საერთაშორისო ემბარგოს, რომელიც 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. **წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ფიშერმა დემონსტრაციულად დახია წერილი, მის ნაკუწებს დააფურთხა და თქვა: „მე შევძელი, დამერწმუნებინა ადამიანები, რომ აშშ ინტელექტუალური სახელმწიფოა, რომ იქ ცხოვრობენ ჭკვიანი ადამიანები, მათ კი მადლობის ნაცვლად გამალატაკეს, დამამცირეს და მომაფურთხეს. მეც ვუპასუხებ მათ ანალოგიურად“.** მატჩი გაიმართა და ფიშერმა გაიმარჯვა ანგარიშით 10:5. სულ ითამაშეს 30 პარტია, ამ მატჩს მან საჩემპიონო მატჩი უწოდა. ამით ხაზს უსვამდა, რომ თავს კვლავ მსოფლიოს ჩემპიონად მიიჩნევდა, რადგან მისი დამარცხება ვერავინ შეძლო. გამარჯვების შემდეგ ის ვერ დაბრუნდებოდა აშშ-ში, რადგან ემბარგოს დარღვევასთან ერთად 1976 წელს გადასახადების გადაუხდელობაშიც დაადანაშაულეს. **ფიშერის ახალ სამშობლოდ სწორედ ის ქვეყანა იქცა, რომელშიც ითამაშა თავისი ბოლო ოფიციალური პარტია და რომელმაც წერტილი დაუსვა მის ექსტრავაგანტურ საჭადრაკო კარიერას.**

გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს ლეგენდარული მეამბოხე მოჭადრაკის ბიოგრაფიიდან:

**1.** 1996 წელს ფიშერმა საზოგადოებას წარუდგინა მის მიერ შემუშავებული შემთხვევითი ჭადრაკი. ამ ჭადრაკში შენარჩუნებულია თამაშის ყველა წესი, ფიგურების საწყისი განლაგების გარდა, რომელიც შემთხვევით აირჩევა 960 ვარიანტიდან (შეცვლილია როქის მიმდევრობა). საწყისი პოზიციების ინვარიანტულობა უშედეგოს ხდის საჭადრაკო დებიუტების გამოცდილებასა და „საშინაო მომზადებას“. ეს აიძულებს მოჭადრაკეებს, პირველივე სვლებიდან ითამაშონ არა დაზუთხული შაბლონებით, არამედ შემოქმედებითად;

**2.** 1988 წელს ფიშერმა საჭადრაკო პრაქტიკაში შემოიღო ახალი საათი, დაფუძნებული სალ იდეაზე — ნაწილობრივ მაინც გათანაბრდეს მოწინააღმდეგეთა შანსები თამაშის ბოლოს, როცა ცაიტნოტში ერთ მოთამაშეს (ან ერთდროულად ორივეს) „დაკიდებული აქვს ალამი“. ფიშერის საათი გარკვეული რაოდენობის წამს უმატებს მას, ვინც სვლას გააკეთებს. ამრიგად, თუ მოჭადრაკე ლიმიტში „ჩაჯდება“, მისი „დაკიდებული ალამი“ საათზე არასდროს ჩამოვარდება. უფრო მეტიც: დაუხარჯავი წამები გროვდება და შემცირების ნაცვლად დარჩენილ დროს ემატება. ასეთი საათი და დროის ასეთი კონტროლი გამოყენებულ იქნა 1992 წელს იუგოსლავიაში ფიშერისა და სპასკის მატჩში;

**3.** 2001 წელს ნიუ-იორკის საშინელი ტერაქტის შემდეგ ბობი ფიშერმა, რომელიც ყოველთვის ემალებოდა პრესას, ფილიპინების რადიოში დარეკა და განაცხადა: „ეს მშვენიერი ახალი ამბავია. შტატებისთვის დიდი ხნის წინათ უნდა ამოეცხოთ პანღური. ტაშს ვუკრავ ამ ოპერაციას. მინდა ვიყო მოწმე იმისა, როგორ აღიგვება ამერიკა პირისაგან მიწისა“. თავის სხვა რადიომიმართვაში ფიშერმა განაცხადა: „ამერიკას სრულიად აკონტროლებენ ებრაელები, ხელმძღვანელები ებრაელები არიან ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ვირთხები, რომლებიც ებრაელებისთვის მუშაობენ. სახელმწიფო მდივანი და თავდაცვის მინისტრი მოფარფატე ყევერები არიან. ნახეთ, რა ჩაიდინეს მათ იუგოსლავიაში“. ფილიპინების რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში ფიშერმა განაცხადა, რომ სრულიად უჭერს მხარს „ალქაიდას“ მოქმედებებს და 11 სექტემბრის ტერაქტს;

**4.** თამაშის დროს ფიშერი ითხოვდა აბსოლუტურ სიჩუმეს დარბაზში და ავადმყოფურად რეაგირებდა მცირეოდენ ხმაურზე. რეიკიავიკში სპასკისთან შეხვედრის პირველი პარტიის მსვლელობისას მან მოულოდნელად მოსწყვიტა მზერა საჭადრაკო დაფას და დაიყვირა:

„გოგონავ, მეთორმეტე რიგში, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ შაქარყინულის წუწნა!“

„მე მხოლოდ მესამე ცალი ავიღე“, — თავის მართლება სცადა ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალმა **ასტრიდ ბიერნდოტირმა.**

„მესამე კი არა, მეშვიდე, პატარა მატყუარავ!“ — აღშფოთდა ფიშერი.

**5.** ერთხელ ფიშერს შესთავაზეს ავტომობილის რეკლამირება, მაგრამ მან, როცა შემოწმების შემდეგ უამრავი ხარვეზი აღმოაჩინა, განაცხადა, რომ „არ აპირებს თვითმკვლელების ავტომობილის რეკლამირებას. ფიშერი, პრაქტიკულად, არასოდეს იძლეოდა ინტერვიუს, თუმცა დაწესებული ჰქონდა გადასახადი ნებისმიერ საზოგადოებრივ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის. მაგალითად, წერილის წაკითხვისთვის 1000 დოლარს ითხოვდა; ტელეფონზე საუბრისთვის — 2500 დოლარს; პირადი შეხვედრისთვის — 5000-ს; ინტერვიუს კი 25 ათას დოლარად აფასებდა.





**წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ფიშერმა დემონსტრაციულად დახია წერილი, მის ნაკუწებს დააფურთხა და თქვა: «მე შევძელი, დამერწმუნებინა ადამიანები, რომ აშშ ინტელექტუალური სახელმწიფოა, რომ იქ ცხოვრობენ ჭკვიანი ადამიანები, მათ კი მადლობის ნაცვლად გამალატაკეს, დამამცირეს და მომაფურთხეს. მეც ვუპასუხებ მათ ანალოგიურად»**




მოამზადა
ნიკა კორინთელმა

# ფულადი გზავნილების მიხედვით რუსეთი კვლავ ლიდერია

**სწრაფი ფულადი გზავნილების მიხედვით რუსეთი ლიდერობას არ თმობს. გასული წლების ანალოგიურად როგორც საქართველოში გადმორიცხვების, ისე ქვეყნიდან გადარცხვების მიხედვით რუსეთი პოზიციებს არ კარგავს. სისტემების მიხედვით გადმორიცხული თანხის 19,2% რუსულ Zolotaia Korona-ზე მოდის.**



2019 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 115.7 მლნ აშშ დოლარი (308.4 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 5.1 პროცენტით (5.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2018 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.0 პროცენტი იმ 15 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ იანვარში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 15 ქვეყანაზე გასული წლის იანვარში ფულადი გზავნილების 92.3 პროცენტი მოდიოდა. რაც შეეხება ხუთეულს, 2019 წლის იანვარში ყველაზე მეტი თანხა — 25,59 მლნ დოლარი — **რუსეთიდან** გადმოირიცხა, 17,53 მლნ დოლარით მეორე ადგილზეა **იტალია,** 13,37 მლნ დოლარით მესამე ადგილზეა **საბერძნეთი.** მეოთხე და მეხუთე ადგილებს 12,33-12,30 მლნ დოლარით **ისრაელი** და **ამერიკა** ინაწილებენ.

2019 წლის იანვარში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.5 მლნ აშშ დოლარი (41.3 მლნ ლარი) გაიგზავნა, ნაცვლად 15.0 მლნ აშშ დოლარისა (38.2 მლნ ლარისა) 2018 წლის იანვარში. სწრაფი ფულადი გზავნილების ბაზარზე 20-მდე საფინანსო სისტემა მოქმედებს, მათი უმრავლესობა ბანკებში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებშია ინტეგრირებული. ფულადი გზავნილების მთლიან ბრუნვაში ბაზრის ლიდერია რუსული Zolotaia Korona, წელს ამ სისტემით ჩარიცხულმა გზავნილებმა მთლიანი გზავნილების 19,2% შეადგინა.



# ევროპარლამენტის დეპუტატები ვენესუელაში არ შეუშვეს

**„ჩვენ პასპორტები წაგვართვეს. ვენესუელიდან გვაძევებენ. ერთადერთი განმარტება, რომელიც მივიღეთ, არის ის, რომ ნიკოლას მადუროს არ სურს ჩვენი ყოფნა ვენესუელაში“, — განაცხადა ევროპარლამენტარმა გონსალეს პონსმა.**

აღნიშნულ ინციდენტს ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრი **ხორხე არეასა** გამოეხმაურა. **„ოფიციალური დიპლომატიური არხებით ჩვენთვის ცნობილი შეიქნა, ჩამოსვლა ევროდეპუტატებისა, რომელთა ვიზიტის მიზანი იყო შეთქმულება. მათ რჩევა მივეცით, თავიდან აეცილებინათ პროვოკაციები“,** — განაცხადა ვენესუელის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. მისივე თქმით, ვენესუელას ხელისუფლება არავის მისცემს უფლებას, ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა დაარღვიოს.

# მაგთიკომის აბონენტებისთვის ნომრის მომსახურების საფასური ამოქმედდა



**მაგთიკომი სატარიფო პოლიტიკას ცვლის, თუმცა გარკვეული შესწორებით. კერძოდ, კომპანიის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ 18.02.2019-დან ანგარიშზე დადებითი ბალანსის შემთხვევაში თქვენი ნომერი მუდმივად აქტიური იქნება, ნომერი არ გაუქმდება და მომსახურებას მიიღებთ შეუზღუდავად.**

ანგარიშზე თანხის ამოწურვისას ნომერი გაითიშება ცალმხრივად და შემომავალ ზარებსა და შეტყობინებებს მიიღებთ 150 დღის განმავლობაში; ნომრის ცალმხრივად გათიშვიდან 151-ე დღეს ნომერი გაითიშება ორმხრივად, ხოლო ორმხივად გათიშვიდან 30 დღეში (თუ არ შეივსო ანგარიში) ნომერი გაუქმდება. ნომრის მომსახურების 180 დღის საფასური — 1 ლარი. მობილური ქსელების გაძვირებაზე ინფორმაცია 21 იანვარს გავრცელდა. „სილქნეტი“ სატარიფო ცვლილებებს 1 მარტიდან გეგმავდა. მაგრამ მარეგულირებელმა კომისიამ გაავრცელა განცხადება, რომ მობილური ქსელების ტარიფების გაძვირების წინაპირობა არ არსებობდა.

# ესტონეთში პოპულარობას იხვეჭს ნაციონალისტური პარტია EKRE

**ესტონეთში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ 20%-იანი მხარდაჭერით მეორე რეიტინგულ პარტიად ჩამოყალიბდა ნაციონალისტური პარტია EKRE, რომლის ლიდერიც მიიჩნევს, რომ ესტონელებისთვის უცხოა დასავლური ლიბერალიზმისა და ტოლერანტობის იდეები და ლიბერალური იდეოლოგია საფრთხეს წარმოადგენს ესტონელების ეროვნული იდენტობისთვის.**

პარტიის ხელმძღვანელობა, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ საჭიროა ქვეყანაში მყოფი ლტოლვილების დეპორტაცია და ესტონეთის რუსული მოსახლეობის ასიმილაცია.

# დონალდ ტრამპი ნობელის პრემიაზე წარადგინეს

**იაპონიის პრემიერმინისტრმა სინძო აბემ ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნობელის მშვიდობის პრემიაზე წარადგინა „კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციაში წვლილის შეტანისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობის მხარდაჭერისთვის“. იუწყება „დოიჩე ველე“ იაპონურ მედიასაშუალებაზე დაყრდნობით.**

გამოცემის ცნობით, 15 თებერვალს ამერიკის ლიდერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მიიღო სინძო აბეს ხუთგვერდიანი წერილის „უმშვენიერესი ასლი“, რომელშიც მისი ნომინირების შესახებ არის საუბარი. სააგენტო „როიტერს“ თეთრ სახლში ინფორმაცია არ დაუდასტურეს, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში კი განაცხადეს, რომ ტრამპის განცხადების შესახებ ინფორმაციას ფლობენ. თუმცა, თავს იკავებენ კომენტარისგან.

ამერიკის პრეზიდენტის **დონალდ ტრამპის** განცხადებით, ნობელის მშვიდობის პრემიის მიღების იმედი არ აქვს. „რაც შემეხება მე, ალბათ, არასოდეს მივიღებ ნობელის პრემიას, მაგრამ ეს არაფერი. მათ ეს პრემია მისცეს ბარაქ ობამას, რომელმაც არც კი იცოდა, რისთვის“, — აღნიშნა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში ჟურნალისტებთან შეხვედრისას.



საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# საქართველოდან ისრაელში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა



**1TV-ის ინფორმაციით, საქართველოდან ისრაელში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი 70 პროცენტით შემცირდა. 2017 წელს ისრაელში თავშესაფარი საქართველოს 1 351-მა მოქალაქემ მოითხოვა, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 399-მდე ადამიანამდე შემცირდა.**

განაცხადებების რაოდენობის შემცირებას საქართველო უსაფრთხო ქვეყნად აღიარებას უკავშირებენ. საქართველოს მოქალაქეებისთვის უარის თქმის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ისინი ქვეყანას, კანონით დადგენილი სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ არ დატოვებდნენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს მონაცემებით, ისრაელში გამგზავრებული საქართველოს მოქალაქეებიდან ყოველ მეათეს უკან აბრუნებენ. 2019 წლის იანვარში ისრაელში საქართველოს 1 320 მოქალაქე გაემგზავრა, ქვეყანაში შესვლა კი 141-მა ვერ შეძლო.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

**სარედაქციო კოლეგია**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894